დიმიტრი უზნაძე

აზროვნების ფსიქოლოგია

გამომცემლობა „გეო“
თბილისი–2022

დიმიტრი უზნაძე – აზროვნების ფსიქოლოგია, გამომცემლობა „გეო“, თბილისი, 2022, 106 გვ.

უაღრესად რთული და საინტერესო თემაა დიმიტრი უზნაძის კვლევის საგანი - ადამიანის აზროვნება მისი საიდუმლოებებითა და წარმოუდგენელი წიაღსვლებით, მოულოდნელი დასკვნებით და გადახრებით. ეს ყველაფერი კი მიმდინარეობს სხვა მეცნიერებთან კამათისა და თვალსაჩინო მაგალითების ფონზე.

წიგნი განკუთვნილია ფსიქოლოგებისა და ფსიქოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

ISBN 978-994-8-4034-0

აზროვნება

1. აღქმა და აზროვნება

შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა და აზროვნება შემეცნების პროცესებს წარმოადგენენ, მაშასადამე, თითოეული მათგანი სინამდვილის ასახვის მიზანს ემსახურება, და ამდენად მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის. განსხვავება შეიძლება მხოლოდ იმას ეხებოდეს, თუ სინამდვილის რა მხარეს ასახავს თითოეული მათგანი. ჩვეულებრივ, აღინიშნება, რომ შეგრძნება და აღქმა აქტუალური საგნებისა, მოვლენებისა და მათი თვისებების უშუალო ასახვას იძლევა; ხოლო წარმოდგენა ამავე მიზანს არა აქტუალურის, არამედ წარსულში მოქმედი ობიექტების მიმართ ემსახურება. მაშასადამე, იგულისხმება, რომ სამივე ეს ფუნქცია შინაარსეულად არსებითად ერთსადაიმავე საქმეს აკეთებს. საგანთა, მოვლენათა და მათ თვისებათა უშუალო ასახვის შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ სინამდვილე ხომ მარტო საგნებითა და მოვლენებით არ ამოიწურება! იგი ამ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულს მრავალფეროვან კავშირებს, დამოკიდებულებებს, მიმართებებსაც შეიცავს. და უდაოა, რომ უკანასკნელთა ასახვის გარეშე სინამდვილის სწორი და სრული შემეცნების შესახებ ლაპარაკი უსაფუძვლო იქნებოდა. და აი, ამ ამოცანას, ესე იგი, მიმართებათა ასახვას, ჩვეულებრივ, აზროვნებას აკისრებენ. მისი ჩვეულებრივი განსაზღვრა ამისდა მიხედვით ასეთია: აზროვნება ობიექტური სამყაროს კავშირებისა და მიმართებების, ხოლო აღქმა საგნებისა და პროცესების ასახვას წარმოადგენსო.

მაგრამ აღქმისა და აზროვნების ასეთი გათიშვა გაუმართლებელია. არაა სწორი, თითქოს ცოცხალ არსებას საგანთა ასასახავად ერთი ფუნქცია ჰქონდეს მიცემული, ხოლო მათ შორის არსებულ მიმართებათა ასასახავად - მეორე. მართალია, აზროვნება ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებად ითვლება, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ მუდამ ვაზროვნებდეთ. ხშირია შემთხვევები, რომ ჩვენი ქცევა აზროვნების მონაწილეო-

ბის გარეშეც მიმდინარეობს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ასეთი შემთხვევებით. იქ, სადაც ჩვენ ჩვეულებრივი ამოცანების გადაჭრასთან გვაქვს საქმე, აზროვნება საჭირო არ არის: იქ ჩვენი ჩვევებიც საკმარის სამსახურს გვიწევენ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, ასეთ შემთხვევებში ჩვენი ქცევა ისე მიმდინარეობდეს, რომ იგი გარემოში არსებულ მიმართებებს არავითარ ანგარიშს არ უწევდეს. სულ უბრალო მაგალითი დაგვარწმუნებს, რომ ეს მართლა ასეა. ვთქვათ, აი ეხლა, ამ სტრიქონებში წერის დროს წითელი სამელნე დამჭირდა, რომელიც შავი მელნის მარცხნივაა ჩემს საწერ მაგიდაზე მოთავსებული. საკმარისია, თვალი მოვავლო მაგიდას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელი სწორედ მარცხნივ წავიდეს - წითელი სამელნის მიმართულებით, და არა მარჯვნივ - შავი მელნისკენ. გარდა ამისა, შავი სამელნე ახლოს დგას ჩემთან, წითელი უფრო შორს. საგულისხმოა, რომ, როდესაც წითელი მელანი მჭირდება, იმთავითვე მისი მიმართულებით უფრო ძლიერი იმპულსით ვწევ ხელს, ვიდრე შავი სამელნის მიმართულებით. როგორც ვხედავთ, ჩემი ხელის მოძრაობას ამ შემთხვევაში სწორედ მიმართება განსაზღვრავს: ერთ შემთხვევაში მარჯვენა-მარცხენა, მეორეში შორი და ახლო: მარჯვნით მდებარე სამელნე მარჯვნით იწვევს ხელის მოძრაობას, უფრო შორი საგანი მოძრაობის მეტ იმპულსს განსაზღვრავს.

რასაკვირველია, არცერთს აღნიშნულ შემთხვევაში ჩემი ხელის მიზანშეწონილ მოძრაობათა გამოსაწვევად საგანგებო მოფიქრება და მოაზრება არ მჭირდება. უდაოა, რომ ამ შემთხვევაში ის მიმართებები, რომელიც ჩემს მიზანშეწონილ მოძრაობებს უდევს საფუძვლად, ჩემი აზროვნების წყაროდან არ გამომდინარეობენ. მაშ საიდან მაქვს ისინი?

როგორც ჩანს, მიმართებების განცდა მარტო აზროვნების ფუნქციას არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენს მაგალითებში ცხადად ჩანს, რომ სამელნის შედარებითს სიშორე-სიახლოვეს, მის მარჯვნივ თუ მარცხნივ მდებარეობას, თვითონ სამელნესთან ერთად განვიცდი: წითელ სამელნეს, როგორც მარცხნივ მდებარეს, როგორც უფრო დაშორებულს აღვიქვამ და არა უბრალოდ, როგორც სამელნეს, თავისთავად და დამოუკიდებლად. უეჭველია,

მიმართების განცდის წყაროდ ამ შემთხვევაში აღქმა უნდა ჩაითვალოს.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მიმართების განცდის საკითხი ერთ-ერთი ძველი სადაო საკითხთაგანია. მაშინ როდესაც ზოგი მკვლევარი მიმართებათა აღქმის შესაძლებლობის აზრს იცავს, სხვები ამის წინააღმდეგი არიან და მიმართების წვდომას მხოლოდ აზროვნების საქმედ სთვლიან: ამათთვის მიმართება ყოველთვის აზროვნების პროდუქტს წარმოადგენს, ხოლო იმათთვის შეიძლება იგი აღქმაშიც გვეძლეოდეს.

ამ უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ განსაკუთრებით საყურადღებო საბუთები ა. ბრუნსვიგს აქვს თავმოყრილი. იგი გვიჩვენებს, რომ მიმართების უშუალო აღქმის შესაძლებლობის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, როდესაც წინასწარ დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენზე მარტო შეგრძნების შესატყვისი გამღიზიანებელი მოქმედებს და არა თვითონ საგანთა შორის არსებული მიმართებაც. ბრუნსვიგი გვიჩვენებს, თუ რაოდენ მცთარია ეს შეხედულება.

"როდესაც ჩემს წინაშე ორი ფერადი ლაქაა, ანდა ორი სხვადასხვა სიგრძის ხაზი, განსაზღვრულ პირობებში ხშირად ერთგვარ მდგომარეობას განვიცდი, რომელსაც ამნაირად დავახასიათებდი: მე უშუალოდ ვხედავ, რომ ფერები ერთმანეთს ჰგვანან ან ორი ხაზიდან A უფრო გრძელია, ვიდრე B და ეს უშუალო ხედვა, რასაკვირველია, აღქმად უნდა ჩაითვალოს. მართალია, არა გრძნობად აღქმად, მაგრამ მაინც აღქმად, ესე იგი, ობიექტის უშუალო წვდომად ".

ამრიგად, მიმართების ("A უფრო გრძელია, ვიდრე B") აღქმა ამ შემთხვევაში ყოველ ეჭვს გარეშეა.

რასაკვირველია, მიმართების ასეთი უშუალო განცდის დაკვირვების შემთხვევები ყველას აქვს. მაგრამ, თუ ამის მიუხედავად, დასავლეთის ფსიქოლოგთა შორის მიმართების აღქმის შეუძლებლობის აზრი მაინც ფართოდაა გავრცელებული, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ისინი დღემდე იდეალისტურ პოზიციებზე განაგრძობენ დგომას. მართლაცდა, თუ წინასწარ ვიგულისხმებთ, რომ მიმართებები თვითონ ობიექტურ სინამდვი-

ლეში კი არ არსებობენ, არამედ მხოლოდ ჩვენი შემეცნების ფორმებს წარმოადგენენ და ჩვენ მიერ არიან იქ შეტანილნი, - როგორც ფიქრობდა, მაგალითად, კანტი, - მაშინ, ცხადია, მიმართების აღქმა შეუძლებლად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ ჩვენთვის უდაოა, რომ მიმართება თვითონ ობიექტური სინამდვილის მოვლენათა თუ საგანთა შორის არსებობს: დიალექტიკური მატერიალიზმისთვის ეს ერთ-ერთი უდაო დებულებათაგანია. მაშასადამე, საოცარი იქნებოდა, ადამიანს ობიექტური სინამდვილის მარტო საგნებთან და მოვლენებთან ჰქონოდა პირდაპირი კავშირი, ხოლო მათ შორის არსებულ მიმართებებთან - არა. ჩვენთვის უდაოა, რომ აღქმა ობიექტური სინამდვილის ასახვას იძლევა და, მაშასადამე, მასში არსებული მიმართებებისასაც.

ამრიგად, არაა სწორი, თითქოს აზროვნებასა და აღქმას შორის ის განსხვავება არსებობდეს, რომ პირველი მიმართებების ასახვას ახერხებს, ხოლო მეორე ამ უნარს მოკლებულია.

აღქმასა და აზროვნებას შორის შინაარსეულად არსებითი განსხვავება საზოგადოდ არ არსებობს. ამიტომ არც ისაა სწორი, თითქოს ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ასახვა მხოლოდ აღქმის და წარმოდგენის საქმე იყოს, ხოლო აზროვნებას ეს სრულიად არ ეხებოდეს. არა, აზროვნებას საგნისა და მოვლენის წვდომაც შეუძლია: მეცნიერულ აზროვნებას არა ერთი მოვლენა გაუთვალისწინებია წინასწარ, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ ქცეულა ფაქტად და, მაშასადამე, აღქმისთვისაც მხოლოდ ამის შემდეგ გამხდარა მისაწვდომი.

ამრიგად, ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მიმართებების ასახვა აღქმასაც შეუძლია და აზროვნებასაც. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს შემეცნების ამ გზებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდეს. უდაოა, რომ განსხვავება მათ შორის არის. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

2. აღქმისა და აზროვნების განსხვავება

აღქმა და აზროვნება შემეცნების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ. ესაა ძირითადი გარემოება, რომელიც მათ განსხვავე-

ბას უდევს საფუძვლად. ამიტომ საჭიროა, ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ ამაზე.

აღქმა აქტუალურ გამღიზიანებელთა ზემოქმედებას გულისხმობს: აღქმა მხოლოდ იმისი შეიძლება, რაც უშუალოდ მოქმედებს სუბიექტზე. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც აღქმის სუბიექტი, ყოველთვის მკვეთრად არის განსაზღვრული, როგორც დროის, ისე სივრცის პირობებით. აღქმა უთუოდ როდისმე, ესე იგი, გარკვეული დროის მონაკვეთში მიმდინარეობს, და უთუოდ სადმე, ესე იგი, სივრცის რომელსამე გარკვეულ წერტილზე, ხდება. ამიტომ იგი ობიექტური სინამდვილის მხოლოდ ვიწროდ განსაზღვრული ამონაკვეთის ასახვას იძლევა, იმის ასახვას, რაც ამ გარკვეულს დროსა და სივრცეში უშუალო ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე. აღქმა სინამდვილის უშუალო ასახვას წარმოადგენს და ამიტომ იგი მხოლოდ ისეთ საგნებსა და მოვლენებს, ისეთს თვისებებსა და მიმართებებს ეხება, რომელნიც თითოეულს კერძო შემთხვევაში მოქმედობენ ჩვენზე, და რომელთაც ამიტომ შემთხვევითი და კერძოობითი ხასიათი აქვთ.

ობიექტური სინამდვილე, რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება. იგი საგანთა და მოვლენათა თვალუწვდენელ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც ერთს მთლიან სისტემადაა შეკავშირებული. აღქმა მხოლოდ იმას გვითვალისწინებს, რაც ჩვენს თვალწინაა; რაც ამას იქითაა, მისთვის სრულიად ხელმიუწვდომელია: აღქმა მხოლოდ გვიჩვენებს იმას, რაც უშუალოდ მოქმედებს ამ გარკვეულ მომენტში და ამ განსაზღვრულ ადგილას ჩვენზე, და ამით კმაყოფილდება. მეტი მას არაფერი შეუძლია. ასეა წარმოდგენაც: იმის ფარგლებს, რაც აღქმას მოუცია ოდესმე ჩვენთვის, იგი ვერასოდეს ვერ სცილდება. წარმოდგენა მხოლოდ აგროვებს იმას, რაც აღქმაში გვქონია მოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად აგროვებს: წარმოდგენა გაცილებით ნაკლებ ნათელია და ნაკლებ ზუსტი, ვიდრე აღქმა. გვითვალისწინებს, რაც უშუალოლოდაა ჩვენს თვალწინ; ამას იქით იგი ვერ მიდის.

მაგრამ ასეთი ასახვა არა მარტო იმ მხრივ არაა დამაკმაყოფილებელი, რომ იგი სინამდვილის ყოველთვის ვიწროდ შემო-

ფარგლულ ნაწილს ეხება, არამედ განსაკუთრებით და უმთავრესად იმ მხრივ, რომ იგი არც ამ შემოფარგლული ნაწილის ნამდვილ ასახვას იძლევა. აღქმა იმასაც კი ვერ გვეუბნება, თუ რა არის ის, რასაც აღვიქვამთ; იგი მის სურათს, მის ხატს გვაძლევს მხოლოდ. რაც შეეხება მის ნამდვილ არსს, წმინდა აღქმისთვის ეს სრულიად უცხო რჩება. აი, რას აშბობს ამის შესახებ მარქსი: "საქონლის ღირებულების სუბსტანცია იმით განსხვავდება ფალსტაფის მეგობრის, ქვრივი კვიკლისგან, რომ კაცმა არ იცის, სად იმყოფება იგი... თქვენ როგორც გინდათ, ისე შეგიძლიათ შინჯოთ ხელში ან ათვალიეროთ თითოეული ცალკე საქონელი, მისი ღირებულება მაინც შეუმჩნეველი დარჩება თქვენთვის "-ო.

რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს სინამდვილის ასახვას აღქმაში? შეიძლება თუ არა ცოცხალი არსება სინამდვილის აღქმაში ასახვით დაკმაყოფილდეს? შეიძლება თუ არა ცხოვრება, სინამდვილესთან მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარება, თუ რომ ეს სინამდვილე მხოლოდ აღქმაში გვეძლევა?

ამ კითხვებზე, რასაკვირველია, დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება. უეჭველია, რომ ცხოველი გარე სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, ჩვეულებრივ, მხოლოდ აღქმით კმაყოფილდება. როდესაც ჩვენ ქცევის ისეთ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, რომელნიც წმინდა რეფლექსის ხასიათს ატარებენ, მაშინ გასაგებია, რომ მათი წესიერი მიმდინარეობისთვის აღქმაზე მეტი არაფერია საჭირო: რეფლექსი გარკვეულ სტიმულებთანაა დაკავშირებული, და საკმარისია ამ სტიმულის აღქმა, რომ სათანადო რეფლექსმა თავი იჩინოს.

იგივე უნდა ითქვას ე. წ. ინსტინქტურის, ისე როგორც ყოველგვარი იმპულსური ქცევის შესახებ. როგორც ვიცით, ქცევის იმ ფორმათა შემთხვევებში ცოცხალი არსების მოძრაობებსა და გარედან მოქმედ სტიმულებს შორის ან მემკვიდრეობით განმტკიცებული კავშირი არსებობს - როგორც ამას ინსტინქტური ქცევის შემთხვევებში აქვს ადგილი - ანდა პირდაპირ სტიმულიდან გამომდინარე იმპულსის ნიადაგზე აღმოცენებული კავშირი როგორც ეს იმპულსური ქცევის შემთხვევებში დასტურდება. ობიექტური სინამდვილის როგორი ასახვაა ქცევის ამ შემთხვე-

ვებში საკმარისი? უეჭველია, მხოლოდ უშუალო, მხოლოდ აღქმადი ასახვა, იმიტომ, რომ ინსტინქტურსაც და იმპულსურ ქცევებსაც კონკრეტულს თვალსაჩინო სტიმულებთან აქვთ საქმე. რაა, მაგალითად, საჭირო, რომ მშიერმა თოთო ბავშვმა ძუძუს წოვა დაიწყოს? მხოლოდ ერთი: საკმარისია მან ძუძუს ტუჩებზე შეხება იგრძნოს. რაა საჭირო, რომ მწყურვალე ადამიანმა წყალი დაისხას და დალიოს? აქაც მხოლოდ ერთი: წყლის ჭურჭლის აღქმა სათანადო პირობებში.

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ქცევასა და სტიმულებს შორის უშუალო კავშირი არსებობს, როგორც ამას რეფლექსის, ინსტინქტისა და იმპულსური ქცევის შემთხვევებში აქვს ადგილი, ქცევის დასაწყებად მარტო აღქმაა საკმარისი.

მაგრამ, ვთქვათ, რომ გარე სინამდვილესა და ჩვენს ქცევას შორის ასეთი პირდაპირი კავშირი არ არსებობს; ვთქვათ, რომ გარედან ჩვენზე ისეთი სტიმული მოქმედობს, რომ სრულიად არ ვიცით, თუ რა მოძრაობით ვუპასუხოთ მას: ისეთს სიტუაციაში მოვხვდით, რომ არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ.

უეჭველია, პირველ რიგში აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა სტიმულის გაგებას ექნებოდა. იმისთვის, რომ მიზანშეწონილად ვუპასუხოთ მას, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს იგი. და აი, ასეთ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ სტიმულის აღქმაზე იმ წამსვე შესატყვისი რეაქცია გაჩნდეს, ჩვენში ერთგვარი გაკვირვების გრძნობა იღვიძებს: რა არის ეს? თითქოს ვეკითხებით ჩვენს თავს, და ჩვენი გულისყური აღქმული სტიმულისკენ მიიმართება.

ამრიგად, სტიმულის აღქმა, ნაცვლად იმისა, რომ საპასუხო მოძრაობას იწვევდეს, გაკვირვების საგნად იქცევა. გაკვირვება ჩვენზე მოქმედი სტიმულის უცნობობის ნიადაგზე ჩნდება, და გასაგებია, რომ ფსიქიკა შემეცნების მიზნით მასზე ჩერდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რასაც აღქმა გვაძლევს სტიმულის შესახებ, ამ შემთხვევაში საკმარისი არ აღმოჩნდა, და ამიტომ მისი ხელმეორედ ასახვა გახდა საჭირო, ოღონდ, რასაკვირველია, არა ხელახალი აღქმის სახით: ჩვენ იმიტომ კი არ ვგრძნობთ გაკვირ-

ვებას, რომ სტიმულის ნათელი აღქმა ვერ მოვასწარით. არა! სრულიად პირიქით. სტიმულის სწორედ ზუსტი აღქმაა, რომ ჩვენს გაკვირვებას იწვევს, იმიტომ რომ უცნობ საგანს გვიჩვენებს. მაშასადამე, გაკვირვებას ხელახალი აღქმა კი არა, სხვა გზით ასახვა უნდა: მას პასუხი უნდა თავის კითხვაზე: რა არის ეს? იმისთვის, რომ ასეთი პასუხი მოხერხდეს, აუცილებელი ხდება, უცნობი სტიმულის აღქმა სხვა ცნობილ სტიმულებს დაუპირისპირდეს, მათ შორის არსებული დამოკიდებულება, მათი ურთიერთმიმართება გათვალისწინდეს და ამ გზით მონახული იქნეს ის ადგილი, რომელიც მას ობიექტური სინამდვილის სხვა აღქმულ საგანთა და მოვლენათა შორის ეკუთვნის. ასეთი შემეცნების პროცესი, რასაკვირველია, აღქმითი პროცესი არაა. იგი თავისებური შემეცნებითი პროცესია. ეს ის პროცესია, რომელსაც აზროვნება ეწოდება.

ამრიგად, ყველაზე უფრო ძირითადი ნიშანი, რომელიც განასხვავებს აზროვნებას აღქმისგან, ეს იმისთვის რომ ვიაზროვნოთ, საჭიროა სინამდვილის რაღაც ნაწილი აღქმული გვქონდეს. აზროვნება მხოლოდ იმას ეხება, რაც ასე თუ ისე ჩემი აღქმის საგანი ყოფილა: იმაზე რაც არ მინახავს, რაც არავითარნაირად არ აღმიქვამს, აზროვნება არ შეიძლება. აზროვნების მასალას ყოველთვის აღქმული სინამდვილე წარმოადგენს.

მაშასადამე, შემეცნებითს პროცესში სინამდვილე ორჯერ აისახება: ჯერ უშუალოდ - აღქმის პროცესში აღმოცენებული ხატის სახით, და მერე - ამ ხატზე დაყრდნობით, აღქმის ობიექტივაციის საშუალებით, ესე იგი, არაპირდაპირ და შუალობით. ამიტომ თუ აღქმა ობიექტური სინამდვილის უშუალო ასახვას იძლევა, აზროვნება მის გაშუალებულ ასახვას წარმოადგენს.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ აზროვნებისა და აღქმის განსხვავებას, ჩვენთვის ნათელი შეიქნება, თუ რას ნიშნავს, როდესაც მათ შესახებ, როგორც შემეცნების სხვადასხვა საფეხურის შესახებ ვლაპარაკობთ. მართლაცდა ჩვენ ვხედავთ, რომ აღქმა შემეცნებითი პროცესის პირველი საფეხურია, ხოლო აზროვნება, რამდენადაც იგი მის ბაზაზე აიგება, შემეცნებითი პროცესის მეორე საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ აღქმა ობიექტური სინამდვილის უშუალო ასახვას იძლევა: იგი არა მარტო საგნებსა და მოვლენებს, არამედ მის ზოგიერთ თვისებებსა და მიმართებებსაც გვიჩვენებს. მაგრამ იგი სინამდვილის მხოლოდ გარე ხატს, მის სურათს იძლევა. ამიტომ იგი ცოცხალი არსის ქცევის მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვისაა საკმარისი, რომლებშიც ობიექტური სინამდვილის წიაღიდან მომდინარე ესა თუ ის სტიმული ამა თუ იმ გარკვეული რეაქციის მხოლოდ სიგნალის როლს ასრულებს: რეფლექსის, ინსტინქტის, ალბათ, იმპულსური ქცევის შემთხვევებშიც. მაგრამ იქ, სადაც სტიმული უცნობია, იქ რეაქციის ნაცვლად გაკვირვების გრძნობა და ამასთან ერთად აღქმის ობიექტივაცია ჩნდება. იწყება აღქმულის ფსიქიკური გადამუშავება, ახალი შემეცნებითი პროცესი, რომელიც აზროვნების სახელითაა ცნობილი.

მაშასადამე, აზროვნებისთვის პირველ რიგში ისაა დამახასიათებელი, რომ იგი გაკვირვების იმპულსით აღქმის ობიექტივაციას ახდენს და თავის მიზანს - სინამდვილის არსებითი ხასიათის ასახვას, აღქმათა მასალის გადამუშავების ნიადაგზე აღწევს. ამრიგად, თუ აღქმა, როგორც სინამდვილის უშუალო ასახვა, პირველადს შემეცნებით პროცესს წარმოადგენს, აზროვნებისთვის დამახასიათებლად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მეორადი შემეცნებითი პროცესია.

3. გაკვირვება როგორც აზროვნების აქტუალიზაციის პირობა

მეორადი შემეცნების პროცესს, აზროვნებას, გაკვირვების მომენტი უდევს საფუძვლად. იქ, სადაც აღქმული სინამდვილე ასეთ განცდას არ იწვევს, აზროვნების აღმოცენებას არავითარი აზრი არ ექნებოდა. შევჩერდეთ ერთხანს გაკვირვების ცნების განხილვაზე.

როგორც ცნობილია, გაკვირვება (θαυμάζειν) ჯერ კიდევ პლატონმა (მე-4 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდის) გამოაცხადა ფილოსოფიური აზროვნების სტიმულად. მისი აზრით, ვისაც ეს უნარი არა აქვს, იგი არაა ფილოსოფიური აზროვნებისთვის მოწოდებუ-

ლი. პლატონის ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. გაკვირვება მართლაც უდევს საფუძვლად აზროვნებას. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი აზროვნების ძირითად წყაროს მაინც არ წარმოადგენს. იგი მხოლოდ მეორადი პროცესია, რომელიც უფრო ღრმად მდებარე იმპულსს ეყრდნობა. აზროვნების ძირითად სტიმულს, რასაკვირველია, მოთხოვნილება წარმოადგენს, რომლის ნიადაგზეც ცოცხალი არსება ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობას ამყარებს. როგორც ვიცით, ყოველგვარ აქტიობას უთუოდ რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსი აქვს სარჩულად. ამიტომ გასაგებია, რომ, რაც უფრო ძლიერია მოთხოვნილება, რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი სუბიექტისთვის, მით უფრო ენერგიულ აქტიობას იწვევს იგი.

როდესაც ეს აქტიობა ბრკოლდება და, მაშასადამე, მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ხერხდება, ბუნებრივია, რომ სუბიექტი ინდიფერენტული არ რჩება: მასში ის სპეციფიკური გრძნობა ჩნდება, რომელიც გაკვირვების სახელწოდებითაა ცნობილი და რომლის ნიადაგზეც აზროვნების პროცესის აღმოცენება ხდება. აზროვნება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროებათათვის გაჩნდა: იგი პრაქტიკის ნიადაგზე აღმოცენდა და არსებითად პრაქტიკის ინტერესებს ემსახურება.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მას საფუძვლად ყოველთვის მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესი აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანთა საზოგადოებაში არა მარტო ჩვეულებრივი ვიტალური მოთხოვნილება ვითარდება და სხვაფერდება, არამედ ახალ მოთხოვნილებათა დაუსრულებელი რიგი ჩნდება, რომლის მსგავსსაც კი ვერაფერს ვპოულობთ ცხოველთა სამყაროში. თავისთავად იგულისხმება, აზროვნების ამოქმედების იმპულსს ყოველი ასეთი მოთხოვნილება შეიძლება დაედვას საფუძვლად. ოღონდ გადამწყვეტი როლი აქ იმას აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოთხოვნილება პიროვნებისთვის.

მაგრამ მოთხოვნილება მხოლოდ შინაგანი სუბიექტური ფაქტორია. გაკვირვების გრძნობა და აზროვნების პროცესი გარე ფაქტორსაც გულისხმობს. ჩვენ უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ

სიტუაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს გაკვირვებას: 1) როდესაც იგი არაა ქცევის ჩვეულს აქტებთან უშუალოდ დაკავშირებული, და 2) როდესაც ამის გამო სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმე ბრკოლდება. წინააღმდეგ შემთხვევაში აზროვნების დაწყებას საფუძველი არ ექნებოდა. ამრიგად, აზროვნების აქტუალიზაციის გარე პირობას სიტუაციის ორი მომენტი შეადგენს: მისი სიახლე ან უჩვეულობა და მისი პერსონალური ღირებულება.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტორებს, ეს კარგად ჩანს შემდეგი დაკვირვებიდან, რომელიც შტერნს აქვს მოყვანილი: შინამოსამსახურეს დავალებული ჰქონდა ყოველდღიურად სამუშაო ოთახიდან უვარგისი ქაღალდებით სავსე კალათა გაეტანა და ნაგვის ყუთში დაეცალა. ეს საქმე მას სრულიად ჩვეულებრივ, ავტომატურ საქმედ ჰქონდა გადაქცეული. ერთ დღეს შემთხვევით კალათში საკმაოდ ძვირფასი ნივთებით სავსე პატარა ყუთი ჩავარდნილიყო და მას ზემოთან ქაღალდები დაჰყროდა, ასე რომ ყუთი სრულიად აღარ ჩანდა. მოსამსახურემ იგრძნო, რომ კალათი იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო მძიმე იყო, მაგრამ ამისთვის მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია და კალათი ჩვეულებრივი წესით ნაგვის ყუთში დაცალა.

რატომ დაიკარგა ძვირფასი ყუთი? იმიტომ, რომ კალათის სიმძიმემ არავითარი გაკვირვება არ გამოიწვია მოსამსახურეში და, მაშასადამე, არც რაიმე აზროვნების პროცესი, რომელიც მას კალათის შინაარსის შემოწმებას გადააწყვეტინებდა. რატომ არ მოხდა ასე? ჯერ ერთი იმიტომ, რომ კალათის სიმძიმის შეცვლა არც ისე დიდი იყო, რომ დამლაგებელს ამაში რაიმე უჩვეულო, რაიმე მართლა ახალი დაენახა, და მეორე - იმიტომ რომ კალათის შინაარსს ჩვეულებრივ არავითარი პერსონალური ღირებულება არ ჰქონია აღნიშნული სუბიექტისთვის - არც ერთ მის მნიშვნელოვან მოთხოვნილებასთან არ ყოფილა დაკავშირებული. წინასწარ რომ გაეგო მას ძვირფასი ყუთის დაკარგვა და კალათის ჩვეულებრივზე ცოტა მეტი სიმძიმე ამის შემდეგ ეგრძნო, საფიქრებელია, ეს გარემოება კალათის შინაარსს მეტ პერსონალურ ღირებულებას მისცემდა და იგიც ასე ინდიფერენტულად აღარ დასც-

ლიდა მას ნაგვის ყუთში.

ამრიგად, ნათელია, რომ გაკვირვება, რომელიც უსათუოდ უსწრებს წინ ყოველი აზროვნების პროცესს, მეორად ფაქტორს წარმოადგენს: მას საფუძვლად შინა და გარე ფაქტორების რიგი უდევს.

გაკვირვება ერთი განცდაა, რომელიც პირველ რიგში უნდა ჩაითვალოს დამახასიათებლად აზროვნებისთვის. ეს განცდა აზროვნების პროცესის დასაწყის მომენტს ეხება. სამაგიეროდ, მეორე განცდა მისი დასასრულისთვისაა დამახასიათებელი. ყოველი აზროვნების მიმდინარეობა აღძრული კითხვის გადაჭრით, გაკვირვების დაკმაყოფილებით, სრულდება; მას ის სპეციფიკური განცდა ახლავს თან, რომელიც აჰა-განცდის სახელწოდებითაა ცნობილი (ბიულერი, ვერთჰაიმერი). ამისდა შესატყვისად, თუ პირველ განცდას დაძაბულობის ხასიათი აქვს, აჰა-განცდას, პირიქით, შვების ემოციური მდგომარეობა ახასიათებს. ამიტომ აზროვნების პროცესი როგორც უაღრესად დინამიკური მდგომარეობა განიცდება, რომელსაც დასაწყისი და დასასრული მომენტი ერთს მთლიან დახშულ მიმდინარეობად აკავშირებს ერთს მთლიან პროცესად, რომელშიც ყოველი წინა საფეხური გარკვევით ბოლო საფეხურისკენ მიიმართება. შეიძლება ითქვას, ეს ნიშანი აზროვნების პროცესის ერთს განსაკუთრებით სპეციფიკურსა და განსაკუთრებით დემონსტრაციულ ნიშანს წარმოადგენს, რომ ავიღოთ წარმოდგენათა ჩვეულებრივი ასოციაციური ჯაჭვი, სულ სხვა სურათს მივიღებთ: აქ, ჯერ-ერთი, იმდაგვარს დაძაბულობისა და შვების განცდებს, როგორც გაკვირვებისა და აჰა-განცდის შემთხვევებში გვაქვს, სრულიად არა აქვს ადგილი. ეს თავისთავად გასაგებია, რადგანაც წარმოდგენათა ასოციაციური ჯაჭვის შემთხვევაში თვითონ ამ განცდებზე - გაკვირვებასა და აჰა-განცდაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ ასოციაციის ნიადაგზე აღმოცენებული წარმოდგენების დასაწყისს არაფერი არა აქვს საერთო მის ბოლო წევრთან: აქ ჩვენ წარმოდგენათა უბრალო თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე, სადაც თითოეული წევრი მხოლოდ თავის წინაწევრთან არის დაკავშირებული, და არა დახშულ მთლიანობასთან, სადაც აზრთა მთელი მიმდინარეობაა

გაერთიანებული.

4. დეტერმინაციის ტენდენცია

აზროვნების მიმდინარეობის დახშულობა, მისი სისტემატური მთლიანობა, აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებიდან გამომდინარეობს. როდესაც პირველად ჩვენი საუკუნის დასაწყის წლებში აზროვნების პროცესის შესწავლა ექსპერიმენტული გზით იქნა დაწყებული (კიულპე, ახი, უატი), აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ როლს ის ამოცანა ასრულებს, რომლის გადაწყვეტაც მთელი ამ პროცესის მიზნად არის დასახული. როდესაც ცდისპირს რაიმე ამოცანა ეძლევა გადასაწყვეტად, ჩვეულებრივ, მას თავში მხოლოდ ის წარმოდგენები მოსდის, რომელთაც მიწოდებული ამოცანის გადაწყვეტისთვის აქვთ მნიშვნელობა: წარმოდგენათა ასოციაციას ამ შემთხვევაში ძალა ეკარგება. ეს გარემოება იმდენად სპეციფიკურია აზროვნების პროცესისთვის, რომ უიმისოდ უმარტივესი აზროვნების შემთხვევასაც არა აქვს ხოლმე ადგილი: საკმარისია ამოცანის ცნობიერების გავლენა შესუსტდეს, რომ იმწამსვე აზროვნების ნაცვლად სხვამ, არააზროვნებითმა პროცესებმა იჩინონ თავი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამოცანა თავისთავად, მექანიკურად როდი ახდენს ასეთ განსაზღვრულ გავლენას ჩვენი ცნობიერების მუშაობაზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სუბიექტი მიწოდებული ამოცანის გადაჭრას მართლა სერიოზულად იღებს თავის თავზე. ამის შემდეგ ცნობიერება ისე ეწყობა, რომ მასში ჩვეულებრივი ასოციაციური ტენდენცია ძალას კარგავს და თავის ადგილს ახალ ტენდენციას, ე. წ. "დეტერმინაციის ტენდენციას" (ნ. ახი) უთმობს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: ადამიანს რომ აზროვნების პროცესში სწორედ შესაფერისი, სწორედ მიზანშეწონილი აზრები უჩნდება, ამას არსებითად უფრო აქტიური ხასიათი აქვს, ვიდრე პასიური: საფუძვლად ამას სუბიექტის მიერ ამოცანის აღიარება, ამოცანის გადაჭრის გადაწყვეტილება, ესე იგი, ნებელობის აქტი

უდევს.

5. აქტიურობა

აზროვნების ეს აქტიური ხასიათი მისი მიმდინარეობის შემდგომ სპეციფიკურ თავისებურებად ითვლება. ფსიქოლოგიაში აზროვნების ამ მხარეს ყოველთვის განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ეს გასაგებია, იმიტომ რომ ასოციაციისა და აზროვნების განსხვავებულ ბუნებას არაფერი ისე თვალსაჩინოდ არ ამტკიცებს, როგორც სწორედ ამ გარემოების ნათლად ჩვენება.

აზროვნების პროცესს რომ მართლა აქტიობა ახასიათებს, ეს არა მარტო იმ განცდებიდან ჩანს, რომელიც აზროვნების დროს გვაქვს, არამედ მიმდინარეობის იმ თავისებურებიდანაც, რომელიც აზროვნების პროცესს ახასიათებს: აზროვნება ფენომენოლოგიურად და ფუნქციონალურადაც აქტიურ პროცესს წარმოადგენს.

რას განვიცდით, როდესაც ვთქვათ, რაიმე რთულს მათემატიკურ ამოცანას ვწყვეტთ და როდესაც ჩვეულებრივი ოცნების მიმდინარეობას ვაძლევთ თავს? განცდათა სხვადასხვაობა აქ სრულიად უდაოა, პირველ შემთხვევაში ჩვენ უაღრესად თვითმოქმედად ვგრძნობთ თავს, უაღრესად აქტიურად: ჩვენ ყოველ წუთს სიძნელეთა და დაბრკოლებათა პირისპირ განვიცდით თავს და მათ გადასალახად განუწყვეტლივ შესაფერის ზომებს ვღებულობთ. სამაგიეროდ, ოცნების შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს: აზროვნების ჩვეულებრივი დაძაბულობა აქ პასიურ მოდუნებას უთმობს ადგილს: ოცნების მიმდინარეობა ჩვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე ხდება. თუ იქ თითქმის ყოველი ცალკე აზრი ჩვენი შეგნებული ძიების პროდუქტად განიცდება, აქ წარმოდგენები ისე მიდიან და მოდიან, რომ ჩვენ მხოლოდ პასიური მჭვრეტელის როლიღა გვაქვს შერჩენილი. აზროვნების შემთხვევაში ჩვენ ვმოქმედებთ; აქ, ოცნების შემთხვევაში, ჩვენ ვჭვრეტთ იმას, რაც თითქოს ჩვენი მონაწილეობის გარეშე ხდება.

არანაკლებ ნათლად ჩანს აზროვნების აქტიური ხასიათი

მისი მიმდინარეობის თავისებურებიდან. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ამოცანის ცნობიერება აზროვნების პროცესში: მთელი პროცესი ისეა წარმართული, რომ იგი თავიდან ბოლომდე მიზანშეწონილ ხასიათს ატარებს და, დასასრულ, ამ ამოცანის გადაწყვეტის აქტით თავდება. აზროვნების პროცესის ეს მიზანშეწონილებითი ბუნება ნათლად მიუთითებს, რომ პიროვნება პირველი ნაბიჯიდანვე იღებს მასში თავისი მიზნებით მონაწილეობას და ბოლომდე აქტიურად წარმართავს მას. ასეთი აქტიობა შეიძლება მხოლოდ ნებელობის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევას ახასიათებდეს, თორემ სხვა ფსიქიკური პროცესების შესახებ ამას ვერ ვიტყვით.

6. ტრანსპოზიცია

როგორც დავინახეთ, აზროვნება იმ ფსიქიკურ პროცესს ეწოდება, რომელიც ყოველთვის საკითხის დასმით იწყება და მისი გადაწყვეტით სრულდება. ყოველს კერძო შემთხვევაში საკითხი ერთია - გარკვეული, ინდივიდუალურად განსაზღვრული შინაარსით - და აზროვნება სწორედ ამ ერთის, ინდივიდუალურად განსაზღვრული საკითხის გადაწყვეტას გვაძლევს. მაგრამ ვთქვათ, მეორედ ჩვენს წინაშე აბსოლუტურად იგივე კი არა, ანალოგიური ამოცანა დადგა. ისევე გაუჭირდება ჩვენს აზროვნებას ამ ამოცანის გადაჭრა, როგორც პირველის თუ არა? იმავე სიძნელეებს ვიგრძნობთ ამ შემთხვევაშიც და ისეთივე ძალისხმევა და აქტიური დაძაბვა დაგვჭირდება, როგორც ამოცანის პირველად გადაჭრის დროს თუ არა? სულ მცირე დაკვირვებაც საკმარისია, რომ ამ საკითხზე უარყოფითი პასუხი გავცეთ. ანალოგიური ამოცანის გადაწყვეტისას აზროვნების პროცესი შეუდარებლად უფრო იოლად და დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, ვიდრე პირველ შემთხვევაში, და დროსაც გაცილებით ნაკლებს მოითხოვს. შეიძლება ითქვას, საკმარისია გაგებულ იქნეს, რომ ამოცანა ანალოგიურია, რათა გადაწყვეტა იმწამსვე იქნეს მონახული.

აზროვნებისთვის ეს გარემოება განსაკუთრებით დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. აზროვნება რომ ამოცანას სწყვეტს,

ეს "ერთხელ და სამუდამოდ" ხდება: ყველა კერძო შემთხვევაში ხელახლა თავიდან დაწყება საჭირო აღარაა. აზროვნებას ერთხელ გადაჭრილი ამოცანის ხერხი ანალოგიურ ახალ ამოცანებზე "გადააქვს", და ესაა, რომ მას ეგოდენ მაღალ ღირებულებას ანიჭებს: აზროვნებას "გადატანის", "ტრანსპოზიციის" უნარი აქვს.

თუ რაოდენ დამახასიათებელია ეს მომენტი აზროვნებისთვის, ეს ნათლად ჩანს ამოცანის, ასე ვთქვათ, უცაბედი, შემთხვევითი გადაწყვეტის ფაქტების შესწავლიდან. არის შემთხვევები, რომ ზოგჯერ ამოცანის გადაჭრას ვერ ახერხებ. მაშინ აზროვნებაზე ხელს იღებ და უბრალოდ ცდას მიმართავ: ხან ისე ცდი, ხან ასე; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ამ ცდას რაიმე გონივრული საბუთი ჰქონდეს, არამედ უბრალოდ, რაც მოგივა თავში, იმას ცდი. არის შემთხვევები, რომ ზოგჯერ ამ გზით ამოცანის სწორ გადაჭრას წააწყდები. არ იცი, რატომ წყდება ამოცანა ასე. ხედავ კი, რომ გადაწყდა. ასეთ ბრმად გადაწყვეტას, როგორც ვხედავთ, "ცდისა და შეცდომის" მეთოდის გამოყენების შემთხვევებში აქვს ადგილი. ვთქვათ, ახლა ხელახლა მოგცეს ეს ამოცანა გადასაწყვეტად, ანდა ანალოგიური ამოცანა მოგაწოდეს. თუ მექანიკურად არ გახსოვს, როგორ მოხდა წინათ ამ ამოცანის გადაჭრა, ხელახლა თავიდან უნდა დაიწყო, ხელახლა "ცდისა და შეცდომის" გზით უნდა სცადო მისი გადაწყვეტა: ამოცანის უაზროდ, ბრმად გადაჭრის შემთხვევებში გადატანას, ტრანსპოზიციას, ადგილი არ აქვს.

პრაქტიკული აზროვნება

ჩვეულებრივ, აზროვნება ადამიანის ერთ-ერთ განსაკუთრებით სპეციფიკურ თავისებურებად ითვლება. მას მეტყველების უნარს უკავშირებენ და მისი გამოვლენის დასრულებულ ფორმად ლოღიკურს მეცნიერულ აზროვნებას სთვლიან. ბუნებრივად იბადება საკითხი: ეს ერთადერთი ფორმაა აზროვნებისა, თუ მისი სხვა ფორმებიც არსებობს? წინათ ასე ფიქრობდნენ: ნამდვილი აზროვნება მეტყველების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს; ამიტომ აზროვნება მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონ-

დეს, როგორც ერთადერთს მეტყველების უნარით აღჭურვილ არსებასო.

მაგრამ თუ განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მაშინ შეიძლება უფრო შესაწყნარებლად ამისი საწინააღმდეგო აზრი მივიჩნიოთ, რომლის მიხედვითაც ადამიანის ვერბალური, ლოღიკური აზროვნების შემთხვევაში განვითარების უმაღლეს საფეხურთან გვაქვს საქმე, და, მაშასადამე, მისი განვითარების წინა საფეხურების შესატყვისი ფორმებიც უნდა არსებობდნენ.

როგორც სათანადო გამოკვლევებიდან გამოირკვა, აზროვნება, მართლაც, განვითარების რამოდენიმე საფეხურს განვლის და თითოეულს ამ საფეხურზე თავისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმას გვიჩვენებს. ასეთებად შეიძლება შემდეგი ძირითადი ფორმები ჩავთვალოთ:

1) პრაქტიკული აზროვნება,

2) თვალსაჩინო, ხატოვანი აზროვნება და

3) ვერბალური, ლოგიკური აზროვნება.

1. კელერის ცდები

პრაქტიკული აზროვნების ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული კელერის სახელთან. შეიძლება ითქვას, ეს ცნება პირველად მხოლოდ მისი ზოოფსიქოლოგიური ცდების შემდეგ იქნა მეცნიერებაში შემოღებული და, როგორც ჩანს, საბოლოოდ დამკვიდრებული.

კელერის ძირითადი პრობლემა ასეთი იყო: შეუძლია თუ არა ცხოველს, რომელიც, როგორც ყველამ იცის, მოკლებულია მეტყველების უნარს, გონიერი ქცევა, ესე იგი, ქცევა, რომელიც არც ინსტინქტურად შეიძლება ჩაითვალოს და არც უბრალო შემთხვევითობის პროდუქტად, და რომელიც, მაშასადამე, აზროვნების გამოვლენის უმარტივეს ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული. თუ ასეთი ქცევა არსებობს, როგორ მიმდინარეობს იგი?

ამ საკითხის გადასწყვეტად კელერმა ადამიანის მსგავსი მაიმუნების (ანთროპოიდების) ქცევის ექსპერიმენტულ შესწავ-

ლას მიმართა. მისი ცდების პრინციპი ასეთი იყო: როდესაც მიზნის მიღწევა პირდაპირი გზითაც შეიძლება, მაშინ ცხოველი ბუნებრივად ინსტინქტით სარგებლობს; მაგრამ თუ მიზნის მისაღწევად უთუოდ არაპირდაპირი "შემოვლილი გზაა" საჭირო, მაშინ, ინსტინქტის ნაცვლად, ცხოველი იძულებული გახდება უკვე გონივრულ აქტებს მიმართოს. ამრიგად, კელერის მიხედვით, გონივრული ქცევის კრიტერიუმად შემოვლილი გზის არჩევის უნარი უნდა ჩაითვალოს. ამიტომ კელერის ცდები ყველა ისეა აგებული, რომ მიზნის მისაღწევად ცხოველს უთუოდ შემოვლილი გზის არჩევა უხდება: "ექსპერიმენტატორი ისეთ სიტუაციას ქმნის, რომ მასში პირდაპირი გზა მიზნისკენ სრულიად გამოუსადეგარია; სამაგიეროდ, შემოვლილი გზა თავისუფალი რჩება. ცხოველი ამ სიტუაციაში თავსდება... და შესაძლებელი ხდება გამოარკვიო: შესწევს მას ძალა თუ არა, ამოცანის გადასაჭრელად არაპირდაპირი, შემოვლილი გზებით ისარგებლოს".

კელერმა ამ პრინციპზე ცდების მთელი სერია ააგო. მას უნდოდა გამოერკვია, თუ სირთულის რა დონემდე შეეძლო მიეღწია ცხოველის გონივრულ ქცევას. ამიტომ მისი ცდები უმარტივესი ამოცანებით იწყება და საკმაოდ რთულით თავდება. თუ როგორი იყო ეს ამოცანები, ამისი გათვალისწინება უმარტივესისა და ურთულესი ამოცანების ორიოდე ნიმუშის გაცნობით შეიძლება.

პირველი ცდის სიტუაცია ასეთი იყო: ჭერზე ჩამოკიდებულია მაიმუნის საყვარელი საჭმლით, ბანანებით, სავსე კალათი, მაგრამ ისე მაღლა, რომ ცხოველი მას იატაკიდან ვერ შესწვდება. კალათი ბაწარზეა დაკიდებული, და ექსპერიმენტატორი მას აქანავებს. კალათი ამ დროს ისე ახლო მიდის იქვე ოთახში მოწყობილ ფიცარნაგთან, რომ საკმარისია მაიმუნი ამ ფიცარნაგზე ახტეს და კალათის მიახლოებას მოუცადოს, რომ იგი ადვილად იგდოს ხელთ. აქ შემოვლილი გზა საჭირო არაა, ოღონდ საჭიროა ცხოველმა ის ადგილი შეამჩნიოს - ფიცარნაგი - საიდანაც მიზნის მიღწევა პირდაპირი გზითაც შეიძლება. ერთ-ერთ უახლოეს ცდაში უკვე ეს შემოვლილი გზაც იჩენს თავს: კალათი ზევითაა დაკიდებული; მაგრამ იქვე ოთახში ყუთია, თუ მიათრევ მას კა-

ლათთან და ზედ შედგები, მაშინ მიზანი მიღწეულ იქნება.

მაიმუნი გალიაშია ჩამწყვდეული. გარეთ ბანანი მოჩანს: მაიმუნი ბანანს ხედავს, მაგრამ ხელით ვერ სწვდება. გალიაში ორი ლერწმის ჯოხი აგდია, მაგრამ ორივე ისე მოკლეა, რომ ცალ-ცალკე ვერც ერთით ვერ მიწვდები ბანანს. ხოლო თუ ერთს მეორეში ჩაარჭობ, მაშინ ამოცანის გადაჭრა ძნელი აღარ იქნება.

შემოვლილი გზის პრინციპი ძალიან თვალსაჩინოდაა განხორციელებული ერთ-ერთ ურთულეს ცდაში: მაიმუნი გალიაშია ჩამწყვდეული; მის წინ, გარეთ, 45 სანტ. მანძილზე, ყუთია, რომელშიც ბანანი აგდია ყუთის იმ კედელთან, რომელიც ახლოა მაიმუნთან. ყუთს ერთი კედელი აკლია, მაგრამ სწორედ ის კედელი, რომელიც ყველაზე უფრო შორსაა მაიმუნისგან. გალიაში გრძელი ჯოხი აგდია. როგორ შეუძლია ცხოველს ამოცანის გადაწყვეტა და ბანანის ხელში ჩაგდება? მხოლოდ ასე: უნდა აიღოს ჯოხი, ამ ჯოხით ბანანი თავისკენ კი არ უნდა მოსწიოს, არამედ, პირიქით, საწინააღმდეგო მიმართულებით - ღია კედლისკენ, და ამ გზით, ბოლოს, ყუთიდან გარედ გამოაგოროს. ამის შემდეგ იმავე ჯოხით გვერდით გასწიოს, სანამ ყუთს არ გადასცდება და მერე უკვე პირდაპირ თავისკენ მოსწიოს.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ აქ მაიმუნი, მართლაც, ისეთ სიტუაციაშია მოქცეული, რომ თუ არა გონივრული ქცევით, სხვა გზით მას ამოცანის გადაჭრა არ შეუძლია.

ვთქვათ, რომ, მაგალითად, უკანასკნელ ცდაში ცხოველი თავის ინსტინქტურ იმპულსებს ემორჩილება. რას იზამდა იგი ამ შემთხვევაში? უეჭველია, ნაცვლად იმისა, რომ ბანანი უკან გაეწია, ესე იგი, კიდევ უფრო დაეშორებია, იგი მას თავისკენ მოსწევდა. მაგრამ, რადგანაც მხოლოდ ყუთის უკანა კედლიდან შეიძლებოდა მისი გარეთ გამოგდება, ამნაირი ქცევით, ცხადია, ცხოველი მას ვერასდროს ხელში ვერ ჩაიგდებდა. ანდა ორი ჯოხის ამოცანა! ცხოველმა იქ ისეთ მოძრაობებს უნდა მიმართოს, რომელთაც თავისთავად სრულიად არავითარი კავშირი არა აქვთ ბანანთან: ნაცვლად იმისა, რომ ხელი ბანანისკენ გასწიოს, მან ჯოხი უნდა აიღოს ხელში - მსხვილი მარცხენაში, ხოლო უფრო წვრილი მარჯვენაში - და ერთი მეორეს მიარგოს.

მიუხედავად იმისა, რომ კელერის ცდებში შექმნილი სიტუაციიდან ინსტინქტური გზით გამოსვლა სრულიად შეუძლებელი იყო, ანთროპოიდები მაინც წარმატებით სწყვეტდნენ ამოცანას. იბადება საკითხი: როგორ ახერხებდნენ ისინი ამას? კელერის პასუხი ამ საკითხზე ცნობილია: ანთროპოიდები გონივრული ქცევის უნარს ამჟღავნებდნენ; ისინი არა ინსტინქტის, არამედ აზრის დახმარებით ახერხებდნენ სიტუაციიდან გამოსვლას.

2. "ცდისა და შეცდომის თეორია"

კელერის ეს დასკვნა არსებითად ეწინააღმდეგებოდა ფსიქოლოგიაში განმტკიცებულ შეხედულებას როგორც აზროვნების ბუნების, ისე ცხოველის ქცევის შესახებ, და ამიტომ საკითხი დაისვა, სწორი იყო თუ არა ის ინტერპრეტაცია, რომელსაც კელერი მის მიერ აღმოჩენილს ექსპერიმენტულ ფაქტებს აძლევდა და რომლის მიხედვითაც მეტყველების გარეშე აზროვნების შესაძლებლობა მტკიცდებოდა.

ფსიქოლოგების ერთი რიგი, განსაკუთრებით ამერიკელი ფსიქოლოგები (თორნდაიკი და სხვ.) იმ აზრს იცავდნენ, რომ მაიმუნები კელერის ცდებშიც შემთხვევით სწყვეტდნენ ამოცანას და შემდეგ, ხშირი განმეორების გზით, მას მექანიკურ ჩვევად აქცევდნენ. ეს აზრი ჯერ კიდევ კელერის ცდების შედეგების გამოქვეყნებამდე ჰქონდა გამოთქმული თორნდაიკს, და იგი, "ცდისა და შეცდომის" პრინციპის სახელწოდებით, ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით ამერიკელ ფსიქოლოგთა შორის. თორნდაიკს ეს პრინციპი თავისი ცნობილი ზოოფსიქოლოგიური ცდების შედეგად ჰქონდა ფორმულირებული, რომელთა აგებულობაც არსებითად ასეთი იყო: მშიერ ცხოველს გალიაში კეტავენ, საიდანაც იგი გარეთ მოთავსებულ საჭმელს ხედავს. გალიას კარი აქვს, რომელიც იმ წამსვე იღება, თუ ცხოველი, მაგალითად, რაზას გადასწევს, ან რომელიმე გარკვეულ ადგილს თათით მიაწვება. ერთი სიტყვით, გალიის გაღება შეიძლება თუ რომ ცხოველი შესაფერის მოძრაობას მიმართავს. ექსპერიმენტატორი თვალყურს ადევნებს ცხოველის ქცევას, რომელიც იქეთ არის მი-

მართული, რომ გალიიდან გარეთ გამოსვლისა და შიმშილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა უზრუნველყოს.

როგორ აღწევს, თორნდაიკის მიხედვით, ცხოველი თავის მიზანს? ძალიან უბრალოდ. შიმშილი მას გარეთ მოთავსებული საჭმლისკენ ერეკება. ცხოველი სრულიად ბუნებრივს, ჩვეულებრივს, თანდაყოლილ მოძრაობას მიმართავს: იგი საჭმლის მიმართულებით გარბის და როდესაც კედელს ეხეთქება, გალიიდან განთავისუფლების იმპულსით ხან აქეთ ეცემა, ხან იქეთ: თითქოს "სცდის", აქედან ხომ არ შეიძლება გასვლაო, და როდესაც ირკვევა, რომ ეს "შეცდომა" იყო, ხელახლა განაგრძობს ახლახან ცდებს. ამ განუწყვეტელ მოძრაობაში ცხოველი შემთხვევით რაზას შეეხება და გალიის კარი გაიღება. ცხოველი მიზანს აღწევს, მაგრამ სრულიად შემთხვევით - თავისი მრავალი "ცდებისა და შეცდომების" შედეგად. ცხოველი რომ ხელახლა დააბრუნო გალიაში, იგი კვლავ მიმართავს თავის უაზრო მოძრაობებს და კვლავ შემთხვევით გაითავისუფლებს თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ცდების ხშირი განმეორების შემთხვევაში ირკვევა, რომ რაც უფრო ხშირად უხდება ცხოველს გალიიდან გამოსვლა, მით უფრო იშვიათად მიმართავს ხოლმე იგი არამიზანშეწონილ მოძრაობებს, ბოლოსდაბოლოს, სრულიად თავს ანებებს მათ და პირდაპირ შესაფერის მოძრაობებს იწყებს: ჩაამწყვდევ თუ არა გალიაში, იმწამსვე რაზას მივარდება და თათის სათანადო დარტყმით კარს აღებს და გარეთ გამოდის.

ამრიგად, ცხოველი პირველად შემთხვევით გამოვიდა გალიიდან. მას შეგნებულად როდი აურჩევია ის მოძრაობა, რომლის წყალობითაც კარის გაღება მოახერხა, არამედ ეს სრულიად შემთხვევით, მისი ცნობიერი ჩარევის გარეშე მოხდა.

მაგრამ რატომ ხდება, რომ ცდის ხშირი განმეორების შედეგად ყოველი სულ უფროდაუფრო იშვიათად მიმართავს არამიზანშეწონილ მოძრაობებს და, ბოლოს, პირდაპირ მიზანშეწონილით იწყებს? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ, ბოლოსდაბოლოს, ცხოველი თავისი მიზანშეწონილი მოძრაობის აზრს ხვდება და ამიერიდან მას თავიდანვე შეგნებულად მიმართავს? თორნდაიკის პასუხი ასეთია: არა! არამიზანშეწონილ მოძრაობათა შემცი-

რება და, ბოლოს, მათი სრული ელიმინაცია, ხოლო მიზანშეწონილთა განმტკიცება და გაუმჯობესება თავისთავად, სრულიად მექანიკურად, ცხოველის აქტიური მონაწილეობის გარეშე ხდება: მიზანშეწონილი მოძრაობა რომ წარმატებით თავდება, ეს გარემოება ცხოველში სიამოვნებას უნდა იწვევდეს, ხოლო არამიზანშეწონილ მოძრაობათა უნაყოფობა - უსიამოვნებას. ამისი ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ სიამოვნების გრძნობის გავლენით მიზანშეწონილ მოძრაობათა და განსაზღვრულ სენსორულ შთაბეჭდილებათა შორის არსებული ასოციაციური კავშირები მტკიცდება, ხოლო არამიზანშეწონილ მოძრაობათა შემთხვევაში, უსიამოვნების ზეგავლენით, ასეთი კავშირი სუსტდება, ასე ხდება, რომ, ბოლოსდაბოლოს, არამიზანშეწონილი მოძრაობები ისპობა და მხოლოდ მიზანშეწონილი რჩება.

ასეთია "ცდისა და შეცდომის" თეორია. როგორც ვხედავთ, იგი თავიდან ბოლომდე წმინდა მექანისტურ პოზიციებზე დგას, და, გასაგებია, რომ კელერის ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ილაშქრებს: "რა საჭიროა ინტელექტზე ლაპარაკი, როდესაც ცხოველის ე. წ. გონივრული ქცევა "ცდისა და შეცდომის" პრინციპითაც ადვილად აიხსნებაო", ამბობენ ამერიკელი ფსიქოლოგები.

3. "გარდასვლის განცდის" თეორია

ფსიქოლოგების მეორე ჯგუფი, განსაკუთრებით გერმანელი ფსიქოლოგები (ბიულერი, ლინდვორსკი და სხვა), სხვა მოსაზრებით არ ეთანხმებიან კელერის დასკვნას. მათი აზრით, მაიმუნები რომ ეგოდენ რთულ ამოცანებს სჭრიან, ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ ისინი რაიმენაირად აზროვნების აქტებს მიმართავდნენ. საქმე ისაა, რომ მათი ქცევის ახსნა სხვანაირადაც შეიძლება, სახელდობრ, ისე, რომ აზროვნების აღიარება სრულიად არაა საჭირო. უეჭველია, თუ ასეთი ახსნა მართლა შესაძლებელია, მაშინ უპირატესობა მას უნდა მიეცეს, იმიტომ რომ ცხოველის აზროვნების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ აღმოჩნდება, რომ მისი ქცევის ახსნა სხვა, უფრო მარტივი, ფუნქციების მოქმედების ნიადაგზე სრულიად შე-

უძლებელია. ფსიქოლოგების ამ ჯგუფის აზრით, კელერის მაიმუნების ქცევა ისეთი არაა, რომ მისი მარტივი ფსიქიკური ფუნქციებიდან გამოყვანა არ შეიძლებოდეს.

მართლაცდა, რა უდევს საფუძვლად კელერის მაიმუნების წარმატებითს ქვევას? უეჭველია, როგორც აღნიშნავს ბიულერი, მიწოდებულ საგანთა შორის არსებული მიმართებების გამოყენება. მაგრამ განა მიმართების წვდომა უთუოდ გონებას გულისხმობს? დიდი ხანია შენიშნულია (შუმანის მიერ), რომ ორი სიდიდის, მაგალითად, ორი წრის სუექცესიური შედარებებისას, პირველის, ვთქვათ, უფრო დიდი მოცულობის წრის შემდეგ, მეორე - უფრო მცირე მოცულობის მქონე - თითქოს იკუმშება - ანდა, როდესაც შესადარებელი წრეების თანამიმდევრობა სხვაგვარია, პირიქით, მეორე წრე ფართოვდება. ამ "შეკუმშვის" თუ "გაფართოების" თანმხლებ განცდას "გარდასვლის განცდას" (Uebergangserlebnis) უწოდებენ; ფიქრობენ, რომ შედარების აქტს სწორედ ეს სპეციფიკური ფენომენი, ეს "გარდასვლის განცდა" უნდა ედოს საფუძვლად. როდესაც მეორე წრე "იკუმშება", მას უფრო პატარად განიცდი, ვიდრე პირველს, ხოლო, როდესაც იგი "იზრდება", მაშინ, რასაკვირველია, პირიქით, იგი უფრო დიდად გეჩვენება. მაშასადამე, შედარების შემთხვევაში არავითარი მიმართების სპეციფიკურ წვდომაზე, არავითარს გონებრივ ოპერაციაზე არაა საჭირო ლაპარაკი. მიმართებას - რომ ერთი უფრო დიდია ვიდრე მეორე - ამ შემთხვევაში აზროვნების კი არა, "გარდასვლის განცდის" საშუალებით ვწვდებით.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ უდაოა, რომ "ცხოველი სწორედ გარდასვლის განცდებით წვდება მიმართებას და არა აზროვნებით"-ო, ამბობს ლინდვორსკი, რომელიც საზოგადოდ უარყოფს აზრს, თითქოს მაიმუნს მიმართების ნამდვილი წვდომა შეეძლოს: იგი მიმართებას კი არა, გარდასვლას განიცდისო, ამბობს იგი.

მაგრამ "გარდასვლის განცდას" შუმანის მხოლოდ ზოგიერთი ცდისპირი ადასტურებს: უმრავლესობამ მის შესახებ არაფერი იცის, მაშ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ცხოველებს ეს განცდა ჩვენზე უფრო გამოკვეთილი აქვთ? თითქოს ნათელი უნდა

იყოს: კიდეც რომ ჰქონდეს ცხოველს ეს განცდა, იგი გაცილებით უფრო ნაკლებ უნდა ამჩნევდეს მას, ვიდრე ჩვენ, ადამიანები.

მაგრამ გარდასვლის განცდის მომხრეები ასე მსჯელობენ ამის საპასუხოდ: რასაკვირველია, შესაძლებელია გარდასვლის განცდა ძალიან სუსტი ჰქონდეს ცხოველს, მაგრამ ეს სრულიად არ გვიშლის ხელს, ვიფიქროთ, რომ შედარებისას ცხოველი მაინც გარდასვლის განცდას ემყარება: საქმე ისაა, რომ ცნობილია შემთხვევები, როდესაც ჩვენს მსჯელობას იმდენად სუსტი გრძნობადი შთაბეჭდილება განსაზღვრავს, რომ მისი შემჩნევაც კი არ შეიძლება. მაშასადამე, გარდასვლის განცდების სისუსტე სრულიად არ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს შეუძლებელი იყოს შედარების აქტი მას ემყარებოდეს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: კელერის შედეგების სხვაგვარი ინტერპრეტაციის ცდებიც არსებობს. ამ ცდების მიხედვით, სრულიად არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ შიმპანზე თავის ამოცანებს აზროვნების საშუალებით სწყვეტდეს. მაშ, რა უდევს საფუძვლად კელერის მაიმუნების ქცევას? თორნდაიკის მიხედვით - "ცდისა და შეცდომის" გზა, ხოლო გერმანელი ფსიქოლოგების მიხედვით - სუსტი, შეუმჩნეველი ე. წ. გარდასვლის განცდები. მაგრამ "ცდისა და შეცდომის" პრინციპის უაღრესად მექანისტური ბუნება, ხოლო "შეუმჩნეველი გარდასვლის განცდების" არანაკლებ უაღრესად ჰიპოთეტური ხასიათი საეჭვოდ ხდის, რომ რომელიმე ამათგანი უკეთ ხსნიდეს კელერის ფაქტებს, ვიდრე ის ინტერპრეტაცია, რომელსაც თვითონ კელერი იძლევა.

4. ანთროპოიდის აზროვნების საკითხი

კელერი დაწვრილებით აღწერს თავისი ცხოველების ქცევას. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს შევამოწმოთ, აქვს თუ არა ამ ქცევას ის ნიშნები, რომელნიც ზემოთ აზროვნების პროცესის დამახასიათებელ ნიშნებად მივიჩნიეთ. კელერის ერთ-ერთი ცდა ასეთი იყო. მაღლა, ერთ-ერთ კედელზე ბანანი იყო დაკიდებული. იქვე, შორიახლოს, ყუთი იდგა. შიმპანზე მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში მისწვდებოდა ნაყოფს, თუ ყუთს ბანანის ქვეშ მიათრევდა და ზედ შედგებოდა. კელერი საინტერესო დაკვირვებას გადმოგვცემს, თუ როგორ გადაჭრა ეს ამოცანა სადგურის ყველაზე უფრო ახალგაზრდა წევრმა, კოკომ.

როდესაც კოკომ მაღლა დაკიდებული ბანანი დაინახა, იგი პირდაპირ გაექანა მისკენ, ახტა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზევით, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მაშინ იგი უკან გამობრუნდა, მოშორდა კედელს, რომელზედაც ბანანი ეკიდა, მაგრამ ხელახლა უკან დაბრუნდა და ეს რამოდენიმეჯერ გაიმეორა: მიუახლოვდება კედელს და დაშორდება მას. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც კოკო კედელს დაშორდა, ყუთთან მივიდა და შედგა ზედ, გაიხედა ბანანისკენ და დაუწყო ყუთს ნელა ბიძგვა, მაგრამ ისე, რომ ადგილიდან არ დაუძრავს. კოკოს მოძრაობებს თვალსაჩინო შენელება ეტყობა: იგი გაცილებით უფრო ნელა იწყებს მოძრაობას, ვიდრე აქამდე. ის თავს ანებებს ყუთს, მიდის ხელახლა კედლისკენ, მაგრამ კვლავ ყუთს უბრუნდება, ხელახლა ხელს ჰკრავს მას, მაგრამ მაინც ისე სუსტად, რომ არ ჩანს, რომ მას მაინცდამაინც ყუთის ადგილიდან დაძვრა ჰქონდეს მიზნად დასახული. როდესაც საქმე წინ ვერ მიდის, ექსპერიმენტატორი ბანანს ფორთოხლის ნაჭერს უმატებს. ეს გარემოება თვალსაჩინო გავლენას ახდენს მაიმუნზე: იგი ისევ ყუთთან მიდის, ერთბაშად სტაცებს მას ხელს და თითქმის ერთი იმპულსით კედელთან მიაქვს, ხტება ზედ და ჰგლეჯს კედლიდან ნაყოფს.

საკმარისია ცოტა ჩავუკვირდეთ შიმპანზეს ამ ქცევას, რომ მასში აზროვნების თითქმის ყველა ნიშანი აღმოვაჩინოთ. ჯერ-ერთი, საყურადღებოა, რომ ბანანის შემჩნევა იმწამსვე მისკენ მოძრაობას და, ზევით ახტომის საშუალებით, ესე იგი, პირდაპირი გზით, მისს ხელში ჩაგდების ცდას იწვევს: ცხოველში პირველ რიგში ინსტინქტი იღვიძებს. მაგრამ როცა არაფერი გამოდის, კოკო აქეთ-იქით სიარულს იწყებს: ხან მიუახლოვდება კედელს, სადაც ბანანი ჰკიდია, ხან დაშორდება მას; ამასთანავე თვალს არ აშორებს მიზანს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ცხოველში სწორედ ის სპეციფიკური მდგომარეობა იყოს შექმნილი, რომელიც ზემოთ გაკვირვების სახელწოდებით გვაქვს აღ-

წერილი და რომლითაც აზროვნების პროცესი იწყება, რომ ანალოგიური განცდა მართლა უნდა ჰქონდეს შიმპანზეს, ეს სხვა შემთხვევების აღწერიდან კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ჩანს.

გასაგებია, რომ კოკო ასე დაჟინებით მიჩერებია ბანანს, ასე დაჟინებით უბრუნდება ყუთს: სიტუაციის ობიექტივაცია, რომელიც აზროვნების ძირითად მომენტს წარმოადგენს, აქ ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგრამ აზროვნების შემთხვევაში გაკვირვების განცდით დაწყებული პროცესი მეორე სპეციალური განცდით, აჰა-განცდით, მთავრდება. საგულისხმოა, რომ კოკოს ქცევის აღწერაში ეს მომენტიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი: ფორთოხლის ნაჭერის მიმატებასთან ერთად ისევ ყუთთან მისვლა, აქ ერთხანს გაჩერება და მერე, ერთბაშად, ერთი დაკვრით ქცევის მიზანშეწონილი მიმართულებით შეცვლა აჰა-განცდის ტიპიურ სურათს გვიხატავს. კოკო ერთბაშად "მიხვდა", თუ როგორ შეიძლებოდა მიზნის მიღწევა, მისთვის ერთბაშად "ყველაფერი ნათელი შეიქნა", როგორც იტყოდა მის მდგომარეობაში ადამიანი.

გასაგებია, რომ მთელი ქცევის მიმდინარეობა ამის შემდეგ ერთს დახშულ მთლიანობას წარმოადგენს: იგი აზროვნების ერთი მთლიანი პროცესია, რომელიც გარკვეული მიზნის გადაწყვეტის ტენდენციითაა დეტერმინირებული. აზროვნების პროცესის დახშულობისა და აჰა-განცდის მომენტებს რომ მართლა აქვთ კელერის ანთროპოიდების ქცევაში ადგილი, ეს განსაკუთრებით მათი მოქმედების მიმდინარეობის მრუდიდან ჩანს. "ცდისა და შეცდომის" პრინციპის გამოყენების შემთხვევაში, ესე იგი, როდესაც ცხოველი შემთხვევითი მოძრაობის საშუალებით სჭრის ამოცანას და შემდეგ, ხანგრძლივი განმეორების წყალობით, ამ მოძრაობას მტკიცე ჩვევად აქცევს, ცხოველის მოძრაობათა მრუდე ასეთია: თუ აბსცისაზე ამოცანის გადაჭრის განმეორებითს ცდებს აღვნიშნავთ და ორდინატზე - დროს, რომელიც ამისთვისაა საჭირო, მივიღებთ მრუდეს, რომელიც საერთოდ ნელი თანდათანობით ეშვება ძირს, მაგრამ აქა-იქ, დროგამოშვებით, კვლავ ზევით ავარდება ხოლმე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგჯერ ცხოველი ამოცანის სწორი გადაჭრის შემდეგაც ძველ შეცდომებს უბრუნდება.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ცხოველის ქცევის მრუდე, როდესაც იგი კელერის მაიმუნების ქცევის სურათს იძლევა: აქ მრუდე შეიძლება ისე იწყებოდეს, როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, მაგრამ იგი ყოველთვის შეიცავს კრიტიკულ მომენტს, რის შემდეგაც მრუდე ერთბაშად, მოსხლეტით, ძირს ვარდება და ამის შემდეგ არც ერთხელ ზევით აწევის ტენდენციას აღარ ამჟღავნებს. რაკი ერთხელ მოხერხდა ამოცანის გადაჭრა, ცხოველი უკვე აღარ უბრუნდება შეცდომებს. ჩვენ ასე შეგვეძლო აგვეწერა საქმის ვითარება: ცხოველი "მიხვდა", თუ როგორ წყდება ამოცანა, მან "ერთხელ და სამუდამოდ გაიგო", თუ რაშია სიძნელე; ამიტომაა რომ ამიერიდან ერთხელაც აღარ ცდება. უდაოა, მრუდის ასეთი მიმდინარეობის შემთხვევაში მხოლოდ ინტელექტურ პროცესთან შეიძლება გვქონდეს საქმე. მრუდეში განსაკუთრებით დემონსტრაციულადაა აჰა-განცდის მომენტი ასახული: მრუდე ერთბაშად ვარდება ძირს და აღარც ერთხელ ზევით არ იწევს.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ კელერის მაიმუნის ქცევაში მიზანშეწონილებისა და აქტიობის მომენტიც ნათლადაა წარმოდგენილი. კოკოს დაჟინებით იზიდავს თავისკენ კედელზე დაკიდებული ნაყოფი: იგი თვალს ვერ აშორებს მას, შეიძლება მოშორდეს ერთი ხნით, მაგრამ მალე კვლავ მისკენ უნდა გაბრუნდეს. ცხადად ჩანს, თუ რა მიმზიდველი ძალა აქვს მისთვის ნაყოფს: მიუხედავად ამისა, კოკო მაინც აქტიურია. იგი ხშირად სტოვებს ნაყოფს, ყუთისკენ მიდის, ესე იგი, კი არ უახლოვდება, არამედ შორდება მას. უდაოა, ამ შემთხვევაში იგი ნაყოფიდან მომდინარე ბუნებრივი იმპულსის წინააღმდეგ მოქმედობს. მაშასადამე, მისი აქტიურობა უკვე ამაშიც ნათლად ჩანს. მაგრამ სრულიად უდაო ხდება იგი, როდესაც კოკო მონაცემ სიტუაციას თვითონ სცვლის, როდესაც იგი ყუთს ადგილიდან სძრავს და სხვა ადგილას გადააქვს: კოკო თავის გარემოს სცვლის. მაგრამ ამაში მარტო აქტიობა როდი ჩანს, არამედ მიზანშეწონილი აქტიობაც: კოკოს ქცევას ბანანის ხელში ჩაგდების მიზანი განსაზღვრავს.

განსაკუთრებით საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: სანამ

კედელზე მარტო ბანანი ეკიდა, კოკოს აზროვნება ჯერ კიდევ არ ყოფილა საკმარისად მობილიზებული. მაგრამ დაემატა თუ არა მას ფორთოხალიც, მდგომარეობა მყის შეიცვალა: კოკომ თავისი ამოცანა მყის გადაწყვიტა. ჩვენს წინაშე უაღრესად მჭევრმეტყველი ფაქტი დგას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოთხოვნილებას და ობიექტის პიროვნულ მნიშვნელობას აზროვნების სტიმულაციისთვის. ამრიგად, მაიმუნის ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მას აზროვნების უეჭველი ნიშნები ახასიათებს. მაშასადამე, ჩვენ არ გვაქვს საბუთი არ ვაღიაროთ, რომ უთუოდ უნდა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ანთროპოიდი აზროვნების აქტებს მიმართავს და მის წინაშე წამოჭრილ ამოცანას გონიერი ქცევის გზით სწყვეტს. მაგრამ როგორია ეს აზროვნება?

5. პრაქტიკული აზროვნება

თავისთავად იგულისხმება, ჩვენს წინაშე აზროვნების თავისებური ფორმაა, რომლის არსებობაც ჩვენს საუკუნემდე არავინ იცოდა. რა თავისებური ნიშნები ახასიათებს აზროვნების ამ ფორმას?

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. როდესაც ადამიანი რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად აზროვნებას მიმართავს, ეს, ჩვეულებრივ, ასე ხდება: სანამ არ დაასრულებს აზროვნებას, მანამდე იგი უმოქმედოდ რჩება, იმიტომ რომ მან ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორ სჯობს მოქმედება. ეს უკანასკნელი მხოლოდ აზროვნების პროცესის დამთავრების შემდეგ იწყება. იგი დასრულებული აზროვნების შედეგის ქცევაში გამოვლენას წარმოადგენს და არა თვითონ პროცესს აზროვნებისას, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივს შემთხვევებში, აზროვნების პროცესი წინ უსწრებს მოქმედებას: "ჯერ ვზომავთ და მერე ვჭრით", ესე იგი, ჯერ მოვიფიქრებთ და მერე ვმოქმედებთ.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე შიმპანზეს აზროვნების შემთხვევაში. აქ აზროვნების პროცესი ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი მოქმედებისგან. იგი წინ კი არ უსწრებს მას, არამედ

მასთან ერთად ხდება, მასშია ჩართული.

თუ ჩვეულებრივი ადამიანური აზროვნების შემთხვევაში იმის დანახვა, თუ როგორ მიმდინარეობს აზროვნების პროცესი, მხოლოდ მოქმედების დაწყებამდე შეიძლება - იმის მიხედვით, თუ რას ლაპარაკობს სუბიექტი - აქ, შიმპანზეს აზროვნების შემთხვევაში, სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: აზროვნების მიმდინარეობის რაგვარობა თვითონ ქცევაში, თვითონ მოძრაობებში ჩანს. იმ როლს, რომელსაც ამ თვალსაზრისით ადამიანის აზროვნების შემთხვევაში მეტყველება ასრულებს, აქ თვითონ მოქმედება, თვითონ ქცევა თამაშობს. ქცევა აქ პროდუქტი კი არაა აზროვნებისა, იგი თვითონ პროცესია მისი. მაშასადამე, აზროვნება ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი საქმიდან, პრაქტიკიდან. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, აზროვნების ამ ფორმას პრაქტიკული აზროვნება შეიძლება ეწოდოს.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში კავშირი სიტუაციიდან მომდინარე სტიმულსა და მოქმედებას შორის ჯერ კიდევ არაა სულ თავისუფალი. რეფლექტორული ქცევის პროცესში გარკვეული სიტუაცია უთუოდ გარკვეულ რეაქციას იწვევს: მოქმედებასა და სიტუაციას შორის აქ იძულებითი კავშირი არსებობს. ასეა არსებითად ინსტინქტის შემთხვევაშიც; წლის გარკვეულ დროს, რომ, მაგალითად, დატყვევებულმა ციყვმა ოთახში კაკალი დაინახოს, მის მოგროვებასა და თითქოს საზამთროდ გადანახვას დაიწყებს, ესე იგი, სწორედ ისეთ რეაქციებს მიმართავს, რომელსაც აქ ოთახში, ტყვეობაში მყოფი ციყვისთვის არავითარი აზრი არა აქვს, მაგრამ გარეთ მისი არსებობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს: რეფლექსისა და ინსტინქტის შემთხვევებში სტიმულის აღქმას მაშინვე თან სდევს ხოლმე გარკვეული მოძრაობა.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ადამიანის ქცევის განვითარების მაღალ საფეხურებზე. სიტუაციის აღქმას ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული მოქმედება როდი ახლავს თან, არამედ პირველ რიგში აზროვნების პროცესი იწყება, და როგორც მოქმედების რაგვარობა, ისე მისი დაწყების დროც სავსებით ამ პროცესის შედეგებზეა დამოკიდებული. ამ აზრით, კავშირი სი-

ტუაციის სტიმულებსა და ჩვენს ქცევას შორის თავისუფალია.

პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში, თითქოს აზროვნების საშუალო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: რასაკვირველია, სიტუაციასა და ქცევას შორის რეფლექსებურს იძულებითს კავშირს აქ ადგილი აღარ აქვს; მაგრამ ეს კავშირი არც ისე თავისუფალია, როგორც ჩვენი საგანგებოდ მოაზრებული ქცევის შემთხვევებში. საქმე ისაა, რომ როდესაც შიმპანზე ამოცანის გადაწყვეტის სიტუაციაში იმყოფება, იგი მკვეთრად შეზღუდული პირობებითაა განსაზღვრული. კელერი ხაზგასმით აღნიშნავს: იმისთვის, რომ მის მაიმუნებს რაიმე ორ ობიექტს შორის მიმართება დაემყარებინათ, მაგალითად, იმისთვის, რომ ჯოხი ბანანის მოსაწევად გამოეყენებინათ, აუცილებლად საჭირო იყო, რომ ორივე ეს ობიექტი ერთს მხედველობითს არეში ყოფილიყო მოქცეული. თუ მათი მდებარეობა სივრცეში ისეთი იყო, რომ როცა ერთი ჩანდა, მეორე მაშინ მხედველობის გარეშე რჩებოდა, ჩვეულებრივ, მათ შორის არავითარი კავშირი არ მყარდებოდა: თითოეული მათგანი, ერთი მეორის მიმართ კი არა, ცალ-ცალკე აღიქმებოდა. კელერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიმპანზეს გონივრულ ქცევას ოპტიკური სტრუქტურა განსაზღვრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიმპანზეს ქცევას მხოლოდ ის მიმართებები უდევს საფუძვლად, შიმპანზე მხოლოდ იმ მიმართებების მიხედვით მოქმედობს, რომელთაც იგი მხედველობითს არეში აღიქვამს, რომელთაც, ასე ვთქვათ, თვალით ხედავს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს შიმპანზემ ორი ობიექტი ერთ მხედველობითს ველში მოათავსოს, რათა ისინი ურთიერთის მიმართ აღიქვას, მათ შორის მიმართება დაამყაროს. არა, იმისთვის, რომ ეს მოხდეს, აუცილებელია, მიმართება უშუალოდ იყოს მოცემული, მაშასადამე, მისი აღქმა იყოს შესაძლებელი. ვთქვათ, რომ ეს ასე არაა: ვთქვათ, რომ ერთი ობიექტი მეორესთან იმყოფება უშუალო მიმართებაში; მაგრამ შესაძლებელია, რომ მას მესამესთანაც ჰქონდეს კავშირი, ხოლო ეს კავშირი ახლა არ ჩანდეს, იმიტომ რომ ობიექტი, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად მეორესთანაა დაკავშირებული. კელერის ერთ-ერთი დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ვგულისხ-

მობთ ამ შემთხვევაში. ჩიკა, ერთ-ერთი შიმპანზე, რომელმაც უკვე კარგად იცის ყუთის გამოყენება მაღლა დაკიდებული ბანანების მისაწვდომად, ერთ დღეს თავდაუზოგველად ცდილობს, მაღლა ახტომის საშუალებით, ჭერზე ჩამოკიდებული ნაყოფი ჩამოგლიჯოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან კარგად ხედავს იქვე გვერდით მოთავსებულ ყუთს, იგი ერთხელაც არ ცდილობს თავისი მიზნისთვის მის გამოყენებას. რატომ? როგორც გამოირკვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყუთზე ამ დროს მეორე მაიმუნი იწვა. საკმარისი იყო ცოტა ხნის შემდეგ ეს უკანასკნელი ყუთიდან ჩამომხტარიყო, ყუთი გაენთავისუფლებინა, რომ ჩიკა იმწამსვე ყუთს მივარდნოდა და ბანანის ჩამოსაღებად გამოეყენებინა. ჩიკას ბანანის ხელში ჩაგდება უნდოდა. იგი ხედავდა იქვე, ამავე ოპტიკურ არეში მოთავსებულ ყუთს, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში მასსა და ბანანს შორის მიმართებას ვერ ამყარებდა. რატომ? უეჭველია, იმიტომ რომ მიმართება უშუალოდ ყუთსა და ბანანს შორის კი არა, ყუთსა და მასზე მწოლარე მაიმუნს შორის არსებობდა. ჩიკა ამ მიმართებას ხედავდა. მაგრამ იმისთვის, რომ მას ყუთსა და ბანანს შორის დაემყარებინა მიმართება, მას ჯერ ის მიმართება უნდა უგულებელეყო, უნდა დაერღვია, რომელსაც უშუალოდ ხედავდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქნებოდა მისთვის ყუთსა და ბანანს შორის არსებული მიმართება უშუალოდ მისაწვდომი.

ერთი სიტყვით, ყუთსა და მასზე მწოლარე მაიმუნს შორის არსებული მიმართება უშუალოდ იყო მოცემული. ხოლო ყუთსა და ბანანს შორის არსებული მიმართება მარტო იმ შემთხვევაში შეიძლებოდა უშუალოდ ყოფილიყო მოცემული, თუ რომ ამჟამად უშუალოდ მოცემული მიმართება დაირღვეოდა (მაიმუნი ყუთიდან ჩამოვიდოდა ან თვითონ ჩიკა ჩამოაგდებდა მას იქედან). სანამ ეს უკანასკნელი არ მოხდა, ჩიკას ქცევაზე ყუთის სიახლოვე არავითარ გავლენას არ ახდენდა.

დასკვნა სრულიად ცხადია. ჩიკას ქცევას მხოლოდ უშუალოდ მოცემული მიმართება განსაზღვრავს: ის მიმართება, რომელსაც მაიმუნი უშუალოდ ვერ აღიქვამს, ის მიმართება, რომლის აღქმაც მხოლოდ არსებულის დარღვევის თუ შეცვლის შემ-

დეგაა შესაძლებელი, მაიმუნის ქცევისთვის არავითარ როლს არ ასრულებს...

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულ აზროვნებას მხოლოდ ის მიმართებები წარმართავს, რომელიც უშუალოდაა აღქმის არეში მოცემული: ცხოველის ქცევას აქტუალურ აღქმაში მოცემული მიმართებები განსაზღვრავს. მაგრამ ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, რომ აღქმული მიმართება წმინდა ინსტურქტორი ქცევის შემთხვევაშიც მოქმედობს. იბადება საკითხი: რაღა უფლება გვაქვს მაშინ აქ აზროვნების შესახებ ვილაპარაკოთ ანდა უკეთ: რა განსხვავებაა ამ მხრივ პრაქტიკულ აზროვნებასა და ქცევის იმ აქტებს შორის, რომელნიც აზროვნებად ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ მაინც აღქმულ მიმართებათა გავლენას ემორჩილებიან? რა განსხვავება არსებობს პრაქტიკულ აზროვნებასა და ინსტინქტურ ქცევას შორის? უდაოა, რომ სიტუაციაში უშუალოდ მოცემულ მიმართებებს ინსტინქტიც ანგარიშს უწევს, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ინსტინქტური ქცევის შემთხვევებში ეს მხოლოდ ის მიმართებებია, რომელნიც თვითონ სუბიექტსა და გარემოს ობიექტთა შორის არსებობს: სუბიექტი მხოლოდ იმ მიმართების მიხედვით მოქმედობს ობიექტზე, რომელშიც ეს უკანასკნელი მასთან, ესე იგი, სუბიექტთან, იმყოფება. ამიტომაა, რომ ინსტინქტური ქცევა ისეთი აქტებისგან შესდგება, რომელიც ყოველთვის უშუალოდ, პირდაპირ, ყოველი შუა-წევრის მონაწილეობის გარეშე ეხება მიზანს: ინსტინქტი არასდროს რთულს, ორსართულიან ქცევას არ წარმოადგენს, რომელშიც ჯერ საშუალების მოსაპოვებლად წარმართული მოქმედება შედის, და შემდეგ - მიზნისკენ მიმართული მოქმედება. ამიტომაა, რომ არ ყოფილა შემთხვევა, ინსტინქტს რომ ოდესმე იარაღის შექმნაში მიეღოს მონაწილეობა. ეს გარემოება ძალიან დამახასიათებელია ინსტინქტისთვის, და საჭიროა იგი ყოველთვის ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, უეჭველია, რომ ინსტინქტში ყოველთვის ცალკეული მიმართებები უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას - ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად - და არა ერთმანეთთან დაკავშირებულ მიმართებათა რიგი, ან ჯაჭვი.

ვიმეორებთ: ეს ასე უნდა იყოს იმიტომ, რომ ინსტინქტი ობიექტის სუბიექტთან უშუალო მიმართებას ემყარება, უშუალოს და არა სხვა მიმართებებით გაშუალებულს.

სულ სხვა მდგომარეობაა პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში. როგორც აღვნიშნეთ, იგიც სიტუაციაში უშუალოდ მოცემულ მიმართებებს ეყრდნობა: მასაც მხოლოდ აღქმული მიმართება განსაზღვრავს. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ იმას აქვს, რომ ეს მხოლოდ ის მიმართებები როდია, რომელიც ობიექტს უშულოდ აქვს სუბიექტთან. არა! მთავარ როლს აქ ობიექტებს შორის არსებული მიმართებები ასრულებენ. სუბიექტი თავისი ქცევის პროცესში ამ მიმართებებით სარგებლობს. ამიტომ მისთვის მარტო ცალკეული მიმართება კი არაა აქტუალური, არამედ, გარემოებისდა მიხედვით, მიმართებათა მთელი ჯაჭვიც, მაგრამ უსათუოდ აღქმაში მოცემულ მიმართებათა ჯაჭვი. მაგალითი: მაიმუნი გალიაშია დამწყვდეული. გარეთ ბანანი აგდია; მაგრამ ისე მოშორებით, რომ ხელით ვერ მიწვდება. იქვე გალიაში ჯოხი დევს, მაგრამ ძალიან მოკლე; ბანანის მოსაწევად არ გამოდგება. სამაგიეროდ, გალიის გარეთ რომ ჯოხი მოჩანს, ის უკვე საკმაოდ გრძელია. ის რომ ხელთ ჰქონოდა შიმპანზეს, მაშინ ბანანის ხელში ჩაგდება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ხელით ამ გრძელ ჯოხს ვერ მისწვდება, მაგრამ გალიაში რომ მოკლე ჯოხია, მისი სიგრძე სრულიად საკმარისია, რომ გრძელ ჯოხს მიწვდე.

ეს ამოცანა არაა ადვილი გადასაწყვეტი. მხოლოდ განსაკუთრებით ჭკვიანი ცხოველები ახერხებენ მის წარმატებითს გადაჭრას. რაა აქ საჭირო, რომ მაიმუნმა სწორი გადაწყვეტა მონახოს? უეჭველია, მიმართებათა რიგის აღქმა და მათი ერთი მეორის შემდეგ სწორი თანამიმდევრობით გამოყენება. გადამწყვეტი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, აქ ორი მიმართების შემჩნევას მაინც უნდა მიეწეროს: მოკლე ჯოხი გრძელს მიწვდება, გრძელი ჯოხი - ბანანს. ორივე ეს მიმართება თვალწინ აქვს მაიმუნს: საჭიროა მხოლოდ მათი აღქმა და სწორი თანამიმდევრობით გამოყენება. პრაქტიკული აზროვნების მონაპოვარს სწორედ ის გარემოება შეადგენს, რომ იგი არა მარტო ამჩნევს აღქმის არეში უშუალოდ მოცემულ მიმართებებს და თითოეული მათგა-

ნით ცალკე სარგებლობს, არამედ ქცევას ისე წარმართავს, რომ იგი ამ მიმართებათა სწორი თანამიმდევრობით გამოყენებას ემ-ყარება: შიმპანზე ჯერ მოკლე ჯოხს იყენებს გრძელის ხელში ჩასაგდებად და მერე გრძელს ბანანის ხელში ჩასაგდებად, ესე იგი, მისი ქცევა ორსართულიანი მიმართების წვდომით ხასიათდება: ჯერ მოკლე ჯოხი გრძელის მიმართ, მერე გრძელი ჯოხი ბანანის მიმართ.

ამრიგად, პრაქტიკული აზროვნება ცალკე მიმართებებით კი არ სარგებლობს: იგი მიმართებათა სწორ თანამიმდევრობას, მიმართებათა, ასე ვთქვათ, სისტემას წვდება.

ამით განსხვავდება იგი ინსტინქტური ქცევისგან და ამით იქცევა იგი აზროვნების გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად. უმნიშვ-ნელოვანესი მონაპოვარი, რომელსაც ამით აღწევს პრაქტიკული აზროვნება, ეს ისაა, რომ მისი წყალობით ცოცხალი არსება ისეთი მოქმედების შესრულებასაც ეჩვევა, რომელსაც სრულიად არა აქვს მიზნად მისი აქტუალური მოთხოვნილება დააკმაყოფი-ლოს. მაგალითად, მაიმუნი ბანანს ხედავს და მისი შეჭმა უნდა. იმის ნაცვლად, რომ მან მისკენ წაიღოს ხელი (მისი აქტუალური მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილების მოძრაობა ეს იქნე-ბოდა), იგი იძულებული ხდება, ბანანს ერთხანს მაინც თავი დაა-ნებოს და, მაგალითად, საკმაოდ მძიმე ყუთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა სცადოს. სხვანაირად: პრაქტიკული აზროვნე-ბის უდიდესი მონაპოვარი ისაა, რომ იგი "საშუალებისთვის" მოქმედების უნარს აძლევს ცოცხალ არსებას, ესე იგი, იმისთვის მოქმედების უნარს, რაც თვითონ, თავისთავად სრულიად არაა მისთვის სასარგებლო, იმიტომ რომ არცერთს მის აქტუალურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. ეს კი მართლა უდიდესი მო-ნაპოვარია: გარეშე ამისა ვერც იარაღი გაჩნდებოდა როდისმე და ვერც შრომა: მაშასადამე, გარეშე ამისა არც ნამდვილი ადამიანი იქნებოდა დედამიწის ზურგზე და არც მისი ისტორია, იმიტომ რომ ადამიანიც და მისი ისტორიაც შრომამ და იარაღმა შექმნა (ენგელსი).

6. მომსახურება და პრაქტიკული აზროვნება

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ პრაქტიკული აზროვნება საშუალებების დასრულებულ იდეას და, მაშასადამე, ნამდვილი იარაღის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდეს. ერთიც და მეორეც მხოლოდ ჩანასახის ფორმით გვეძლევა პრაქტიკულ აზროვნებაში, ყოველ შემთხვევაში, იმ პრაქტიკულ აზროვნებაში, რომელიც განვითარების პირუტყვულ საფეხურზე გვხვდება.

ბუნებრივად ჩნდება საკითხი: აქტიობის რა ფორმის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო პრაქტიკული აზროვნება?

ჩვენი საკითხის გადასაჭრელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კელერის ერთ დაკვირვებას: მის მაიმუნებს ძალიან უყვარდათ თამაში ყუთებით, რომელიც მრავლად ეყარა ეზოში. მთელ თავისუფალ დროს თითქმის მარტო ამ თამაშში ატარებდნენ. ერთ დღეს კელერმა ყველა ყუთი მაიმუნების საწოლ ოთახში შეატანინა, სადაც მაიმუნებს მთელი ღამე ეძინათ. მეორე დილას, როდესაც ისინი ეზოში გამოუშვეს, საკვირველმა გარემოებამ იჩინა თავი: მიუხედავად იმისა, რომ მაიმუნები ძალიან ნაწყენი ჩანდნენ იმის გამო, რომ ეზოში ყუთები აღარ იყო და მათ თამაში აღარ შეეძლოთ, არცერთს მათგანს აზრადაც არ მოსვლია, შებრუნებულიყო საწოლ ოთახში და ყუთები გარეთ გამოეტანა.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, ეს ისაა, რომ, როგორც ჩანს, კიდევ უცხო ჩანს. აქედან გასაგები ხდება, რომ არც კელერს და არც სხვა მკვლევარს ერთი დაკვირვებაც არა აქვს ისეთი აღნიშნული, რომ ცხოველს მის მიერ დიდი გაჭირვებითა და ვაივაგლახით გაკეთებული იარაღი მომავლისთვის გადაენახოს. კელერის ერთერთმა ყველაზე უფრო ნიჭიერმა შიმპანზემ, სულთანმა, ორი ლერწმის ჯოხი ერთმანეთს მოარგო და ერთი მოგრძო ჯოხი გაიკეთა, რომლითაც გალიიდან საკმაოდ მოშორებით მოთავსებულ ბანანს მისწვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იარაღი მას მომავალშიც გამოადგებოდა, იგი მან გამოყენების უმალვე თავიდან მოიშორა: ახალი საჭიროების შემთხვევაში ჯოხები მას ხელახლა ერთმანეთისთვის უნდა მოერგო, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო

მისთვის. აქედან ცხადად ჩანს, რომ შიმპანზეს მხოლოდ თითოეული კერძო შემთხვევისთვის შეუძლია "იარაღის" გაკეთება: დასჭირდება საკვების ხელში ჩაგდება, და იგიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის შესაფერის "იარაღს" აგებს; მაგრამ ხელმეორედ რომ ასეთსავე სიტუაციაში მოხვდეს ხელახლა ასეთივე "იარაღის" გაკეთებას იწყებს. მაშასადამე, შიმპანზეს "იარაღი" ნამდვილი იარაღი არაა: იარაღი მისი განმეორებითი გამოყენების შესაძლებლობას გულისხმობს; იარაღი როგორც ისეთი საშუალება განიცდება, რომელსაც საზოგადოდ აქვს გარკვეული გამოყენება. ამიტომ იარაღი როგორც ისეთი რამ განიცდება, რაც ისევე სამუდამოდ გამოსადეგია, როგორც საკუთარი სხეულის რაიმე ორგანო. მაშასადამე, არ იქნება სწორი, შიმპანზეს შემთხვევაში ნამდვილი იარაღის შესახებ ვილაპარაკოთ: შიმპანზეს და, საზოგადოდ, პირუტყვს არც გაკეთება შეუძლია ნამდვილი იარაღისა და არც გამოყენება. შიმპანზესთვის "ყუთი ეზოში" და "ყუთი საწოლ ოთახში" ერთიდაიგივე არაა: მისთვის იდენტური საგნის იდეა ჯერ კიდევ უცხო ჩანს. აქედან გასაგები ხდება, რომ არც კელერს და არც სხვა მკვლევარს ერთი დაკვირვებაც არა აქვს ისეთი აღნიშნული, რომ ცხოველს მის მიერ დიდი გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით გაკეთებული იარაღი მომავლისთვის გადაენახოს. კელერის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო ნიჭიერმა შიმპანზემ, სულთანმა, ორი ლერწმის ჯოხი ერთმანეთს მოარგო და ერთი მოგრძო ჯოხი გაიკეთა, რომლითაც გალიიდან საკმაოდ მოშორებით მოთავსებულ ბანანს მისწვდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იარაღი მას მომავალშიც გამოადგებოდა, იგი მან გამოყენების უმალვე თავიდან მოიშორა: ახალი საჭიროების შემთხვევაში ჯოხები მას ხელახლა ერთმანეთისთვის უნდა მოერგო, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო მისთვის. აქედან ცხადად ჩანს, რომ შიმპანზეს მხოლოდ თითოეული კერძო შემთხვევისთვის შეუძლია "იარაღის" გაკეთება: დასჭირდება საკვების ხელში ჩაგდება, და იგიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის შესაფერის "იარაღს" აგებს; მაგრამ ხელმეორედ რომ ასეთსავე სიტუაციაში მოხვდეს ხელახლა ასეთივე "იარაღის" გაკეთებას იწყებს. მაშასადამე, შიმპანზეს "იარაღი" ნამდვილი იარაღი არაა: იარაღი მისი განმეორებითი

გამოყენების შესაძლებლობას გულისხმობს; იარაღი როგორც ისეთი საშუალება განიცდება, რომელსაც საზოგადოდ აქვს გარკვეული გამოყენება. ამიტომ იარაღი როგორც ისეთი რამ განიცდება, რაც ისევე სამუდამოდ გამოსადეგია, როგორც საკუთარი სხეულის რაიმე ორგანო. მაშასადამე, არ იქნება სწორი, შიმპანზეს შემთხვევაში ნამდვილი იარაღის შესახებ ვილაპარაკოთ: შიმპანზეს და, საზოგადოდ, პირუტყვს არც გაკეთება შეუძლია ნამდვილი იარაღისა და არც გამოყენება.

უკვე ის გარემოება, რომ შიმპანზე "იარაღსაც" კი კონკრეტული, გარკვეული მოთხოვნილებისთვის აკეთებს, თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ შიმპანზესთვის ნამდვილი შრომა უცხოა.

როდესაც ენერგია რაიმე კონკრეტულის, ინდივიდუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იხარჯება, როდესაც რაიმე პროდუქტი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ აი ამ პირის ეს გარკვეული, ეს კონკრეტული, ეს ინდივიდუალურად განსაზღვრული მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული, მაშინ, როგორც ვიცით, ნამდვილ შრომასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მხოლოდ აქტიობის იმ ფორმასთან, რომელსაც "მომსახურება" შეიძლება ეწოდოს.

შრომის შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობაა: შრომის პროდუქტს კონკრეტულის, ინდივიდუალურის, მომენტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი არა აქვს მიზნად დასახული, არამედ გარკვეული მოთხოვნილების, როგორც მოთხოვნილების - ვისიც უნდა იყოს იგი და სადაც უნდა იჩინოს მან თავი, სულ ერთია. პირველს ასეთ პროდუქტს ისტორიულად, უეჭველია, იარაღი შეადგენდა. ამიტომაა, რომ ენგელსის ჭეშმარიტად გენიალური სიტყვით, "შრომის პროცესი მხოლოდ იარაღის დამზადებისას იწყება".

ამრიგად, შიმპანზეს "იარაღი" ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება იარაღად; მისი აქტიობის ძირითადი ფორმა მომსახურების ფარგლებს არ სცილდება, და ამიტომაა, რომ იარაღის განცდა ჯერ კიდევ უცხოა მისთვის. აზროვნების გამოვლენის დასაწყისი ფორმა, პრაქტიკული აზროვნება, როგორც ვხედავთ, მომსახურების პირობებშია ჩასახული და გაფორმებული. აქტიობის განვითარე-

ბის შრომის საფეხურზე აზროვნების უფრო მაღალი ფორმები იჩენს თავს: პრაქტიკული აზროვნება მისთვის საკმარისი არაა. ეს ფორმებია ჯერ თვალსაჩინოებითი, კონკრეტული, ხატოვანი აზროვნება და შემდეგ განსაკუთრებით ვერბალური, ლოღიკური, მეცნიერული, განყენებული აზროვნება.

ხატოვანი აზროვნება

1. ხატოვანი აზროვნება

აზროვნების გამოვლენის შემდეგი ფორმა ადამიანის განვითარების პირველ საფეხურებზე გვხვდება: იგი დამახასიათებელია პრიმიტული ცნობიერებისთვის. მაგრამ ამავე დროს დამახასიათებელია იგი თანამედროვე ბავშვის ცნობიერებისთვისაც, რამდენადაც ობიექტური სინამდვილე ჯერ კიდევ უცხოა და უცნობი მისთვის.

აზროვნების ამ ფორმისთვის პირველ რიგში და განსაკუთრებით ისაა აღსანიშნავი, რომ იგი, წინააღმდეგ პრაქტიკული აზროვნებისა, მოქმედების ფარგლებს გარეშე ხდება: იგი წინ უსწრებს მას და, მაშასადამე, თავის უშუალო გამოვლენას მოქმედებაში არ პოულობს.

ამ მხრივ იგი აზროვნების უმაღლესი ფორმისაგან არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აზროვნების უმაღლესი ფორმა ცნებებში მიმდინარეობს, მაშინ როდესაც აზროვნების ამ ფორმას განსაკუთრებით წარმოდგენებთან აქვს საქმე. მაშასადამე, თუ პრაქტიკული აზროვნება მოქმედებით აზროვნებაა, ხოლო ლოღიკური აზროვნება - ცნებებით აზროვნება, ხატოვანი აზროვნება წარმოდგენებით, საზოგადოდ, თვალსაჩინო ხატებით აზროვნებას წარმოადგენს. ამიტომ აზროვნების ამ ფორმას კონკრეტულ აზროვნებას, საგნობრივ აზროვნებას (ვერნერ), ხატოვან აზროვნებას (ნიკო მარი) ან თვალსაჩინოებითს აზროვნებას (ბასოვი) უწოდებენ.

2. მეტყველება და ხატოვანი აზროვნება

პრაქტიკული აზროვნების შემთხვევაში აზრი უშუალოდ მოქმედებაში პოულობს თავის გამოვლენასა და განსახიერებას. ამდენად იგი იმთავითვე ობიექტურადაა მოცემული. იგი მოაზროვნე სუბიექტის შინაგანი სამკვიდროს საიდუმლოებას, მის ფარულ განცდას როდი წარმოადგენს. იგი ობიექტური სინამდვილის ერთ-ერთი მოვლენაა და ამიტომ იგი ნათელია და ცხადი როგორც იმისთვის, ვინც აზროვნობს, ისე იმისთვისაც, ვინც მასთან საერთო საქმის ნიადაგზეა დაკავშირებული - ვინც მასთან ერთად "მუშაობს".

მაგრამ როდესაც აზროვნება თავის უშუალო კავშირს მოქმედებასთან სწყვეტს და მხოლოდ წარმოდგენასთან ან ცნებასთან იჭერს საქმეს, მაშინ, ცხადია, იგი პირველ რიგში სუბიექტის შინა სამკვიდროს ფარგლებში იკეტება. როგორია აზროვნების მიმდინარეობა ამ შემთხვევაში, ეს გარეთ აღარ ჩანს. მაგრამ რამდენადაც ადამიანს ყოველთვის უჭირდა თავისი შინა სამყაროს მოვლენების, თავისი განცდების თვალყურის დევნება, რამდენადაც ადამიანის ცნობიერება ყოველთვის გარეთ იყო მიმართული და არა შიგნით, აზროვნების მიმდინარეობა ამ პირობებში არც თვითონ მოაზროვნე სუბიექტისთვის შეიძლება იყოს ნათლად გაცნობიერებული. მაგრამ გაუცნობიერებელი აზროვნება, როგორც ვიცით, აზროვნებად ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, ბუნებრივად იბადება აზრი, რომ შეუძლებელია აზროვნება განვითარების ამ საფეხურზეც არ ყოფილიყოს ობიექტურად მოცემული, შეუძლებელია იგი წმინდა წარმოდგენის არეში ყოფილიყოს ჩაკეტილი. მარქსი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ფსიქიკა მოქმედებასა და მოქმედების პროდუქტებშია ობიექტურად მოცემული; მაგრამ ამავე დროს იმაზეც მიუთითებდა, რომ იგი შეიძლება სხვანაირადაც გვეძლეოდეს ობიექტურად. კერძოდ, აზროვნების შესახებ იგი ასე ამბობდა: "აზრის უშუალო სინამდვილე მეტყველება არის"- ო.

ეს დებულება დღეს სრულიად უდაო დებულებად უნდა ჩაითვალოს. იგი ნათელ პასუხს იძლევა ჩვენს საკითხზე: ხატო-

ვანი აზროვნება, თუ მოქმედებაში არა, სამაგიეროდ სიტყვაში, მეტყველებაში პოულობს თავის ობიექტურ განსახიერებას. მაშასადამე, სიტყვაა, რომ სხვისთვისაც მისაწვდომს ხდის ხატოვან აზროვნებას და თვითონაც სუბიექტსაც შესაძლებლობას აძლევს თვალყური ადევნოს თავის საკუთარ აზრს და, სადაც საჭიროა, სათანადო ცვლილება შეიტანოს მასში.

3. საგნის აზროვნება

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, აზროვნება საგანსაც ეხება და მიმართებასაც. მაშასადამე, ხატოვანი აზროვნების დასახასიათებლად საჭირო იქნებოდა გავცნობოდით, თუ როგორ ასახავს იგი ერთსაც და მეორესაც. შევეხოთ ჯერ საგნის ასახვას!

1) როგორ იაზრება საგანი ხატოვანი აზროვნების შემთხვევაში, ამის გათვალისწინება ყველაზე უკეთ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლო, თუ პრიმიტული სიტყვების შინაარსის ანალიზს მოვახდენდით, იმიტომ რომ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თავისი შინაარსის გადასაცემად ხატოვანი აზროვნებაც სიტყვას იყენებს.

ლევი-ბრიულის ცნობილ თხზულებაში (ველურთა აზროვნების შესახებ), რომელიც საზოგადოდ მდიდარ მასალას ეყრდნობა, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რას წარმოადგენს ველურის სიტყვის შინაარსი. რას გულისხმობს იგი, როდესაც ამა თუ იმ სიტყვას მიმართავს. შენიშნულია, რომ პრიმიტულ ენებში ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად, როგორც წესი, ერთი სიტყვის ნაცლად მრავალს სხვადასხვა სიტყვას ხმარობენ. მაგალითად, თოვლის აღსანიშნავად ლაპებს 41 სხვადასხვა სიტყვა ჰქონიათ. ტამოს, "აღმოსავლეთით წასვლის " აღსანიშნავად სულ სხვა სიტყვა აქვთ, "დასავლეთით წასვლისთვის" სხვა, სხვა სიტყვა "ჩრდილოეთით წასვლისთვის" და სულ სხვა "სამხრეთით "წასვლისთვის". ხოლო რაც შეეხება ერთ სიტყვას, რომელიც, საზოგადოდ, "წასვლას" ნიშნავს, ასეთი რამ მათ ენაში სრულიად არ აღმოჩნდა. ჰურონების ენაში ჭამის აღსანიშნავად, საზოგადოდ, ცალკე სიტყვა არ მოიპოება; სამაგიეროდ, მათ იმდენი განსხვა-

ვებული სიტყვა აქვთ ამ ცნებისთვის, რამდენი სხვადასხვა საჭმლის ჭამაც შეიძლება: ხორცის ჭამისთვის ერთი სიტყვა აქვთ, თევზის ჭამისთვის - მეორე, და ასე შემდეგ, იმისდა მიხედვით, თუ რას სჭამენ.

ერთი სიტყვით, ხშირია შემთხვევა, რომ პრიმიტულ ენებში ყოველს ცალკე საგანს, ყოველს ცალკე მოვლენას თავისი სახელი აქვს: რომელიმე საგანი საზოგადოდ, რომელიმე მოვლენა ან მოქმედება საზოგადოდ, როგორც, მაგალითად, ადამიანი ან ჭამა, პრიმიტივის ენაში არ აღინიშნება: მისთვის მხოლოდ ინდივიდუალური, მხოლოდ კონკრეტული არსებობს.

რატომ არის ასე, ამის ახსნას პრიმიტივის სიტყვების ზუსტი ანალიზი მოგვცემდა. მაგრამ რა პრინციპით ადგენენ ისინი თავის სიტყვებს, ეს იქედანაც კარგად ჩანს, თუ რას უწოდებენ ევროპულ ენებზე მოლაპარაკე ველურები ზოგიერთს მათთვის უცნობს, ახალ საგანს. ცნობილია, რომ, მაგალითად, ერთ-ერთმა ველურმა ტომმა პიანინოს თავის ადგილობრივ ინგლისურზე "ყუთი, ხელს რომ დაარტყამ, ყვირის" უწოდა.

ამ მაგალითიდან საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ველური ცდილობს თავისი სიტყვის შინაარსში, რამდენადაც შეიძლება, იმის ზუსტი სურათი მოგვცეს, რასაც აღნიშნავს. მაგრამ რადგანაც საგნის თუ მოვლენის სურათი ყოველთვის მხოლოდ ინდივიდუალურია და კონკრეტული, გასაგებია, რომ, მაგალითად, თოვლის აღსანიშნავად ლაპებს 41 სხვადასხვა სიტყვა აქვთ: თითოეული მათგანი თოვლის კონკრეტულ სურათს იძლევა, და ასეთი სურათი ხომ მრავალია.

ამრიგად, სრულიად ნათელი ხდება, რომ პრიმიტივი თავის სიტყვებში კონკრეტულს, ინდივიდუალურ ხატს გულისხმობს; რომ ზოგადი, განყენებული, მისთვის მიუწვდომვლია.

2) მაგრამ სიტყვის ხმარება ყოველი განზოგადების გარეშე სრულიად შეუძლებელია. მართლაცდა, სიტყვის არსებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ რომ მისი განმეორებით ხმარება იქნებოდა შესაძლებელი; თუ რომ მას რაიმე გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა, მნიშვნელობა, რომელსაც განმეორებით შეხვდებოდა ადამიანი, და, მაშასადამე, მისი დასახელე-

ბის საჭიროება გაუჩნდებოდა. ამიტომ შეუძლებელია, სიტყვა რაიმე სრულიად ინდივიდუალურს, სრულიად კონკრეტულს სრულიად ერთხელობრივს ნიშნავდეს: ასეთი სიტყვა, დაიბადებოდა თუ არა, იმწამსვე თავის მნიშვნელობასთან ერთად მოკვდებოდა. ამიტომ ველურის სიტყვაც ერთგვარ განზოგადებას უნდა გულისხმობდეს: წმინდა ინდივიდუალური, გაუმეორებელი მნიშვნელობა, საზოგადოდ, არ შეიძლება სიტყვას ჰქონდეს. როდესაც ტამოს "აღმოსავლეთით წასვლისთვის" ერთი სიტყვა აქვს და "დასავლეთით წასვლისთვის" - მეორე, ეს, რასაკვირველია, იმაზე მიუთითებს, რომ ტამოს სიტყვები ზოგადს და არა კონკრეტულს გულისხმობენ. მართლაცდა, "აღმოსავლეთით წასვლა" ხომ ბევრნაირი შეიძლება იყოს! აღმოსავლეთით წასვლა დღეს, და იმავე მიმართულებით წასვლა ხვალ, არ შეიძლება, როგორც ხატი სავსებით ერთიდაიგივე იყოს: ხომ შეიძლება აღმოსავლეთით სხვადასხვა ადამიანი მიდიოდეს, სხვადასხვა მდგომარეობაში, სულ სხვადასხვა ადგილიდან! მიუხედავად ამისა, სიტყვა მაინც ერთია. იგი აღმოსავლეთით წასვლის ყველა შემთხვევას, აღმოსავლეთით წასვლას საზოგადოდ გულისხმობს.

მაშასადამე, უდაოა, ერთგვარი განზოგადება ხატოვანმა აზროვნებამაც იცის. მაგრამ როგორ ახდენს იგი ამას? საზოგადოდ "აღმოსავლეთით წასვლის" შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როდესაც მხედველობაში ყველა ის ნიშანი გვაქვს, რომელიც "აღმოსავლეთით წასვლის" ყველა შემთხვევაში გვხვდება. მაშ, საჭიროა ამ საერთო ნიშნების გამონახვა და მხედველობაში მხოლოდ მათი ქონება. ამისთვის უთუოდ ე.წ. აბსტრაქციის აქტია საჭირო, ესე იგი, მთლიანიდან ცალკეული ნაწილებისა და ნიშნების გამოყოფისა და თითოეულის მათგანის ცალკე განხილვის აქტი.

გამოდის, რომ ხატოვანი აზროვნებაც აბსტრაქციას გულისხმობს. მაშასადამე, რაღა აზრი აქვს მას, ცნებითი აზროვნებისგან განსასხვავებლად, კონკრეტული, ანუ არააბსტრაქტული აზროვნება ვუწოდოთ!

მაგრამ ხატოვანი აზროვნების "აბსტრაქცია" სხვაგვარი აბსტრაქციაა. იგი თავისებურს სპეციფიკურ ხერხს წარმოადგენს,

რომელიც მართალია იმავე მიზანს ემსახურება, რასაც განვითარებული აბსტრაქციაც, მაგრამ აბსტრაქციად მაინც ვერ ჩაითვლება: იგი ნამდვილი აბსტრაქციას კი არა, მხოლოდ მის ფუნქციონალურ ეკვივალენტს წარმოადგენს. რაში მდგომარეობს ეს ეკვივალენტი?

ეს განსაკუთრებით ნათლად ისევ პრიმიტული მეტყველების მაგალითებიდან ჩანს. ვნახოთ, როგორ აღნიშნავს პრიმიტივი საგნის თვისებას, ნიშანს, მაგალითად, რას უწოდებს იგი ამა თუ იმ ფერს, რა სიტყვით აღნიშნავს, ვთქვათ, "შავს" ან "წითელს". ეს იმიტომ არის ამ შემთხვევაში საინტერესო, რომ ცალკე ნიშნისთვის ცალკე სიტყვის შესაღებად საჭიროა ეს ნიშანი მთლიანი საგნის წარმოდგენიდან გქონდეს გამოყოფილი და, შესაფერისი სიტყვის ხმარებისას, მხოლოდ ამ გამოყოფილ შინაარსზე ფიქრობდე, მხოლოდ ის გქონდეს მხედველობაში - სხვანაირად, საჭიროა აბსტრაქცია. მაშ, როგორ აღნიშნავს პრიმიტივი თვისებას, ნიშანს, ამ უეჭველად აბსტრაქტულ შინაარსს? ახალი პომერანიის მკვიდრნი, მაგალითად, "შავს", თურმე, "კოტკოს" (ყვავს) უწოდებენ და წითელს "გაბ"-ს (სისხლს); ესე იგი, ამა თუ იმ ნიშანს იმ საგნის სახელწოდებით აღნიშნავენ, რომელშიც განსაკუთრებით მკვეთრადაა ეს ნიშანი წარმოდგენილი.

რას ამტკიცებს ეს გარემოება? უეჭველია, როდესაც პრიმიტივი თვისების აღმნიშვნელ სიტყვას (მაგალითად, "შავს") ხმარობს, მის ცნობიერებაში სიშავის, როგორც ცალკე ნიშნის, ცნება როდი ჩნდება, არამედ უსათუოდ მთლიანი საგნის, სახელდობრ, ყვავის წარმოდგენა. მაგრამ ყვავს ხომ სხვა თვისებებიც აქვს. მიუხედავად ამისა, ამ თვისებებს ყვავის კი არა, სხვა საგნების სახელი ეწოდებათ. უეჭველია, ყვავი პირველ რიგში და განსაკუთრებით თავისი სიშავით ახდენს პრიმიტივზე შთაბეჭდილებას; და, გასაგებია, სადაც მას ამ შთაბეჭდილების აღნიშვნა სურს, იქ იგი ყვავის სახელს იგონებს.

მაშასადამე, პრიმიტივის ენაში აბსტრაქტული შინაარსის, მაგალითად, ნიშნის სახელწოდება, მთლიანის წარმოდგენიდან გამოყოფილს ცალკე ნიშანს როდი გულისხმობს, არამედ თვითონ მთლიანს, ოღონდ ამ ნიშნით აღბეჭდილს. ამიტომაა, რომ

შავს "ყვავი" ეწოდება და წითელს "სისხლი".

რომ ეს მართლა ასე უნდა იყოს, რომ მთლიანიდან ცალკეული მხარის გამოყოფის, ესე იგი, აბსტრაქციის ნაცვლად, პრიმიტივი ისევ ამ მთელს უნდა მიმართავდეს - ოღონდ მთელს, რომელშიც წინა რიგში განსაკუთრებით ესა თუ ის ერთი გარკვეული ნიშანია წამოწეული (მაგალითად, ყვავის შემთხვევაში სიშავე, სისხლის შემთხვევაში - სიწითლე), ეს სხვა მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს. ერთ-ერთს ველურ ტომში ქოლგას ღამურა უწოდეს; მეორე ადგილას ორი სრულიად განსხვავებული ევროპელი ძმებად ჩათვალეს. რატომ? რაა საერთო ქოლგასა და ღამურას შორის ან იმ ორ ევროპელს შორის? საფიქრებელია, რომ ორივე შემთხვევაში მთლიანი შთაბეჭდილება განსაკუთრებით ერთი რაიმე ნიშნით იყო ველურის ცნობიერებაში აღბეჭდილი. ქოლგისა და ღამურას შემთხვევაში ამ შთაბეჭდილებაში ღამურას გაშლილი ფრთები უნდა ყოფილიყო წინა რიგში წამოწეული; ევროპელების შემთხვევაში, როგორც შემდეგ გამოირკვა, "ყვითელი ჩექმები", რომელიც ერთსაც ეცვა და მეორესაც.

ამრიგად, ხატოვანი აზროვნება მოკლებულია ნამდვილი აბსტრაქციის უნარს: იქ, სადაც ცალკე ნიშნების აზროვნებაა საჭირო, იგი ყოველთვის მთლიანს გულისხმობს, მაგრამ მთლიანს, რომელიც ერთი რომელიმე ნიშნითაა აღბეჭდილი, სახელდობრ, იმ ნიშნით, რომლითაც იგი განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამისდა მიხედვით, პრიმიტივის "აბსტრაქციის" პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პრიმიტივი რომ, მაგალითად, ყვავს ხედავს, მასზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, ვთქვათ, სიშავე ახდენს. ყვავის მთლიან წარმოდგენაში სიშავე "ფიგურის" როლს ასრულებს და ყველაფერი დანარჩენი "ფონისას". ვთქვათ, ველური შავ მელანს ხედავს პირველად თავის სიცოცხლეში, თუ ამ შემთხვევაში მისი ყურადღება განსაკუთრებით სიშავემ მიიქცია, თუ ეს თვისება ფიგურად იქნა აღქმული, და ყველაფერი დანარჩენი ფონად, მაშინ ცხადია, ყვავი და მელანი ერთნაირი იქნება მისთვის: ორივე შავი იქნება (იგი ორივეს "ყვავს" უწოდებს). თუ ფიგურისა და ფონის ურთიერთობას პირობით ფიგურაციას ვუწოდებთ, მაშინ აბსტრაქციის ფუნქციო-

ნალურ ეკვივალენტად ხატოვან აზროვნებაში სწორედ ფიგურაცია უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, ცხადად ჩანს, რომ პრიმიტული აზროვნება მართლა ხატოვან აზროვნებად უნდა ჩაითვალოს. მისი საგანი ყოველთვის ცალკე ხატის სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ ეს მაინც ხატია და არა აქტუალური სინამდვილე, წარმოდგენაა და არა აღქმა. წარმოდგენა კი ერთგვარ განზოგადებას შეიცავს, როგორც ამას ველურის სიტყვა და მისი მნიშვნელობა გვიმტკიცებს. მაშასადამე, ცხადია, ხატოვან აზროვნებაში ჩვენ სინამდვილის აქტუალური მოცემულობის ფარგლებს ვშორდებით, მისი უშუალო მონობიდან ერთგვარად მაინც ვთავისუფლდებით. იგი პრაქტიკულ აზროვნებაზე ამ მხრივაც მაღლა დგას.

3) აქედან ნათელი ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ხატოვანი აზროვნების ძირითადი თავისებურებიდან გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ ხატოვანი აზროვნების სამყარო ერთ სიბრტყეში განლაგებულ საგანთა და მოვლენათა სამკვიდროს წარმოადგენს. მისთვის უცხოა იდეა "ცნებათა" ურთიერთი დაქვემდებარებისა. მას არ ესმის, რომ არსებობს აზრი გვარის შესახებ და სახეობათა შესახებ, რომ სახეობა გვარს ექვემდებარება, მაგალითად, "ადამიანი საზოგადოდ" გვარითი ცნებაა, და მის სხვადასხვა სახეობას, მაგალითად, "ქალი" ან "ვაჟი" წარმოადგენს; შემდგომ, თითოეულ ამ ცნებასაც აქვს თავისი ქვემდებარე ცნებები, თავისი სახეობანი (მაგალითად, ქალი – გათხოვილი და გაუთხოვარი) და ა. შ. ხატოვანი აზროვნებისთვის დაქვემდებარების იდეა უცხოა. ამის მიზეზი ისაა, რომ მის საგანს ყოველთვის კონკრეტული წარმოდგენა, ყოველთვის ხატი შეადგენს. კონკრეტული ხატი კი მხოლოდ გვერდში შეიძლება ამოუდგეს მეორე კონკრეტულ ხატს. ისინი ერთი მეორის სახეობად ან გვარად არ გამოდგებიან. მათი ურთიერთის დაქვემდებარება არ შეიძლება.

რომ ეს ასეა, ეს კვლავ პრიმიტული ენის მასალებიდან ჩანს. ვთქვათ, პრიმიტივი ახალს რასმე ხედავს, რასაც მან რაიმე სახელწოდება უნდა მისცეს. ანალოგიურ მდგომარეობაში ჩვენ ასე მოვიქცეოდით: იმის მიხედვით, თუ რა ნიშნები აქვს ამ ახალ

ობიექტს, მას გარკვეულ საგანთა ჯგუფს მივაკუთვნებდით და ამით მის სახელსაც გავარკვევდით. მაგალითად, ვიტყოდით: ეს ფრინველია ან მინერალია, წიგნია... ესე იგი, ჩვენ იმ გვარს მოვძებნიდით, რომელსაც აღნიშნული ობიექტი, როგორც სახეობა, ეკუთვნის. უცნობ ობიექტს ნაცნობთა ჯგუფს დავუქვემდებარებდით, მოვახდენდით, როგორც ამბობენ, მის სუბსუმციას. გარეგნულად პრიმიტივიც ასე იქცევა: ისიც გარკვეულ ჯგუფს აკუთვნებს ამ ახალ ობიექტს, მაგრამ არა სუბსუმციის, არამედ სულ სხვა გზით. როდესაც პრიმიტივი ქოლგას ხედავს, იგი მას "ღამურას" უწოდებს; როდესაც ფრინველს სჭვრეტს, "პეპელაო" ამბობს; როდესაც სანთელს აქრობს, იგი მას "ჰკლავს". ეს იმას ნიშნავს, რომ პრიმიტივის აზროვნება ქოლგას ისეთივე ფიგურაციით აღიქვამს, როგორითაც ღამურას, პეპელას ისეთივე როგორითაც ფრინველს.

მაშასადამე, ქოლგა და ღამურა, ფრინველი და პეპელა თითო ჯგუფში თავსდება, ერთი მეორის გვერდით, როგორც თანაბარი ღირებულების მოვლენები. მაშასადამე, აქ დაქვემდებარებაზე, სუბსუმციაზე ლაპარაკი მართლა უადგილო იქნებოდა. ვერნერის თქმით, ამ შემთხვევაში უფრო "საგნობრივ ტრანსპოზიციასთან" გვაქვს საქმე, ვიდრე სუბსუმციასთან.

რაა ამის შედეგი? ხატოვანი აზროვნება ისეთ მოვლენებს ან ობიექტებს აქცევს ერთსადაიმავე ჯგუფში, ისეთ საგნებსა და მოვლენებს აღნიშნავს ერთიდაიმავე სიტყვით, რომ ჩვენი ლოღიკური აზროვნება არასდროს მათ არ გააერთიანებდა. მაგალითად, ერთ-ერთს ჩრდილო ამერიკულ ენაში (ჰაიდას ენაში) ყველაფერს, რაც მომრგვალოა, ერთიდაიგივე სახელი ეწოდება: მზე, მთვარე, ყური, თევზი... ყველაფერს ამას ერთიდაიგივე სახელი აქვს, მაშასადამე, ერთ ჯგუფშია გაერთიანებული. იგივე უნდა ითქვას მოგრძო საგნების შესახებაც. მაგალითად, ენა და ცხვირი ერთიდაიმავე სიტყვით აღინიშნება. რადგანაც ხატოვანი აზროვნება მით ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, რომ იგი, ასე ვთქვათ, ხატავს, აღწერს მას, გასაგებია, რომ დაქვემდებარება მისთვის უცხოა, რომ იგი ანალოგიას უფრო სჭვრეტს, ვიდრე ლოღიკურ დამოკიდებულებას.

4. ხატოვანი აზროვნება და მიმართებათა ასახვა

როგორც ვიცით, აზროვნებას განსაკუთრებით მიმართება აინტერესებს. რას წარმოადგენს ამ მხრივ ხატოვანი აზროვნება?

1) ფორმალური ლოღიკის მიხედვით, არსებობს მიმართების ცნებათა რიგი, რომელიც ყოველგვარი წესრიგისა და კავშირის გათვალისწინების, ყოველგვარი შემცირების ძირითადს, სხვა რაზედმე დაუყვანადს პირობას წარმოადგენს. ასეთს უზოგადეს, უძირითადეს მიმართებათა ცნებებს "კატეგორიებს" უწოდებენ. მათ რიცხვს, ეკუთვნის, მაგალითად, იგივეობის მიმართების ცნება, მიზეზობრიობის (კაუზალობის) მიმართების ცნება და სხვა. იგულისხმება, რომ ლოღიკური შემეცნება, როგორიც უნდა იყოს იგი, უკვე იმთავითვე გულისხმობს ასეთ მიმართებებს. მაშასადამე, აზროვნება მხოლოდ კატეგორიალური შეიძლება იყოს.

ხატოვანი აზროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი გვიმტკიცებს, რომ ფორმალური ლოღიკის ეს დებულება არც ფსიქოლოგიურადაა სწორი.

ხატოვანი აზროვნება, თავისი განვითარების ძირითად საფეხურებზე მაინც, კატეგორიალურ აზროვნებას არ წარმოადგენს. იგი უფრო პრეკატეგორიალურია.

ყოველი მიმართება, მაგალითად, კაუზალობა, ორ წვერს გულისხმობს: მიზეზსა და შედეგს - და მიმართება მათ შორის დასტურდება. ეს დებულება იგივეობის (იდენტობის) შემთხვევაშიც ძალაში რჩება: საგანი ერთ შემთხვევაში და საგანი მეორე შემთხვევაში იგივეობის მიმართებაში იგულისხმება თავისთავთან. მაგრამ ხატოვანი აზროვნებისთვის საგნების ასე გამოცალკევება და ერთიმეორისთვის დაპირისპირება შეუძლებელია. ამისთვის აბსტრაქციის განვითარების მაღალი დონე იქნებოდა საჭირო, რაც, როგორც ვიცით, ხატოვან აზროვნებას არა აქვს. მაშასადამე, ხატოვანი აზროვნებისთვის ორის ურთიერთ მიმართება როდი არსებობს, არამედ მისთვის ყოველი საგანი თუ მოვლენა ყოველს სხვა საგანთან თუ მოვლენასთანაც არის დაკავშირებული. მსოფლიო მისთვის მთლიანობას წარმოადგენს. რასაკ-

ვირველია, ეს დიალექტიკური მთლიანობა არაა: მაშინ პრიმიტივის აზროვნება დიალექტიკური აზროვნება იქნებოდა. არა, აქ განუწვალებადს, ძირითადად მაინც, დიფუზიურ მთლიანობასთან გვაქვს საქმე.

აზროვნების ფსიქოლოგიის ეს მონაპოვარი ცხადად ამტკიცებს: რომ აზროვნება თავისი არსებით ისეთი არაა, როგორც მას ფორმალური ლოღიკა ხატავს, რომ იგი უთუოდ ფორმალურლოღიკური არაა. თავის დასაწყის საფეხურზე იგი მთლიანობითია, და გასაგები ხდება, რომ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე იგი კვლავ მთლიანობას უბრუნდება მაგრამ არა დიფუზიურს, განუწევრებელს, არამედ დიალექტიკურ მთლიანობას - და, ამრიგად, დიალექტიკურ აზროვნებად იქცევა.

მაშასადამე, ფორმალური ლოღიკის კატეგორიები აზროვნების ამ საფეხურისთვის უცხოა: იგი პრეკატეგორიალური აზროვნებაა.

იბადება საკითხი: როგორ ხერხდება აზროვნება კატეგორიების გარეშე? რა გზას მიმართავს ხატოვანი აზროვნება იქ, სადაც ჩვენ ძირითად მიმართებებთან გვაქვს საქმე?

სანიმუშოდ ავიღოთ ორი ძირითადი მიმართება: იგივეობა და მიზეზობრიობა.

2) ცნობილია დაკვირვებათა მთელი რიგი, საიდანაც ჩანს, რომ ხატოვანი აზროვნებისთვის ნამდვილი იგივეობის მიმართება ჯერ კიდევ სულ დაძლეული არაა. მაგალითად, ერთი სამხრეთ აფრიკელი ტომისთვის ამომავალი მზე და ჩამავალი მზე ერთიდაიგივე საგანი როდია; არც მთვარეა სხვადასხვა ფაზებში ერთიდაიგივე საგანი; რასაკვირველია, კიდევ უფრო ძნელია მისთვის საგნის იგივეობის გაგება, როდესაც საგანი თავისი განვითარების პროცესში თვალსაჩინო მეტამორფოზებს განიცდის, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი აქვს ცხოველთა სამკვიდროში. ფსიქოლოგი თურნვალდი, მაგალითად, ერთხელ სასაცილოდაც კი აიგდეს, როდესაც მან მუხლუხი და პეპელა ერთსადაიმავე ცხოველად გამოაცხადა. აღქმის თუ წარმოდგენის შინაარსი და საგანი ჯერ კიდევ საკმარისად არაა ურთიერთისგან გამოყოფილი: პრიმიტივის საგნობრივ ცნობიერებაში გადამწყვეტ როლს

ჯერ კიდევ შინაარსი ასრულებს. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ფსიქიკური შინაარსი, რომელსაც რომელიმე საგანი ერთ პირობებში აღძრავს, თვალსაჩინოდ განსხვავდება იმ შინაარსისგან, რომელსაც იგივე საგანი მეორე პირობებში იწვევს, ხატოვანი ცნობიერება უძლური ხდება ამ საგნის იგივეობა სცნოს. კონკრეტული აზროვნება ხატით სარგებლობს, ხატს გარეშე აზრი მას ჯერ კიდევ არა აქვს მოცემული. ამიტომ გასაგებია, რომ იგივეობის კატეგორია მას ჯერ კიდევ არა აქვს საბოლოოდ შემუშავებული.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პრიმიტივი ერთსადაიმავე საგანზე ზოგჯერ ორს სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამს. ამ დაკვირვების ნიადაგზე იყო, რომ ლევი-ბრული ასეთ დასკვნამდე მივიდა: პრიმიტივი აზრთა წინააღმდეგობას ვერ გრძნობს, მისთვის ფორმალური ლოღიკის წინააღმდეგობის კანონი არ არსებობსო. ნამდვილად საქმე იმაშია, რომ პრიმიტივს იგივეობის განცდა არა აქვს საკმარისად განვითარებული: იგი ხატებით აზროვნებს, და როდესაც მას თვალსაჩინოდ განსხვავებულ ხატებთან აქვს საქმე, იგი საგნებსაც სხვადასხვას გულისხმობს. ამიტომ საკვირველი არაფერია, როდესაც იგი ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ურთიერთის სრულიად საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამს ერთიდაიმავე საგნის შესახებ: მისთვის ხომ აქ სხვადასხვა საგანზეა ლაპარაკი!

ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: ხატოვანი აზროვნების საფუძველზე იგივეობის განცდა ჯერ კიდევ არაა საკმარისად განვითარებული; იგი ჯერ მხოლოდ თვალსაჩინოებას ეყრდნობა: იგი მხოლოდ იქ განიცდება, სადაც თვალსაჩინო შინაარსი, სადაც ხატი ერთნაირია: ცოდნა, ცნება მას ჯერ კიდევ არ უდევს საფუძვლად.

3) როგორ განიცდის ხატოვანი აზროვნება მიზეზობრიობას, მიმართებას თანმიმდევარ მოვლენათა შორის, რომელთაგანაც ერთი მიზეზია და მეორე შედეგი?

როდესაც ჩვენს წინაშე რაიმე მოვლენაა, რომელიც ახლად, უჩვეულოდ, გაუგებრად გვეჩვენება, როგორც წესი, მოთხოვნილება გვიჩნდება გავიგოთ რატომ არის ასე, რა მიზეზითაა გა-

მოწვეული?

მოკლედ, ჩვენ ამ მოვლენის მიზეზის მონახვა ანუ მისი ახსნა გვინდა. უეჭველია, ახსნა ხატოვანი აზროვნების განვითარების საფეხურზეც აინტერესებს ადამიანს. როგორ ხსნის იგი ამა თუ იმ მოვლენას? უეჭველია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ესმის მას მიზეზობრიობა.

რატომ აქვს იაბუტი-კუს დამსკდარი და ბრტყელი ბაკანი? ბრაზილიელი ინდოელი ამას ასე ხსნის. ერთხელ კუ და ძერა დანაძლევდნენ, ვინ მიასწრებდა ასვლას ცაში ზეიმზე, რომელიც სწორედ ამ დროს ეწყობოდა იქ. კუ ჩაიპარა ძერას სასურსათო კალათში და მასთან ერთად ცაში იქნა ატანილი. ასე რომ, როდესაც ძერა საზეიმო სეირნობიდან დაბრუნდა, კუ იქ დახვდა: მე შენზე ადრე ამოვედი და დიდი ხანია აქ გელოდებიო. მაგრამ ვერ შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს - ნიძლავი იმას ქონდეს მოგებული, ვინც მიწაზე ჩასვლას მოასწრებსო. ძერა ფრენით დაეშვა ძირს; კუ კი გადავარდა და, რასაკვირველია, ჩაასწრო ძერას, მაგრამ ისე ძლიერ დაენარცხა მიწაზე, რომ ბაკანი გაუბრტყელდა და გაუსკდა. ამიტომაა, რომ მას დღესაც ბრტყელი და დახეთქილი ბაკანი აქვსო.

როგორც ვხედავთ, ბრაზილიელი ინდოელი ამბავს თხზავს, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მოხდა, რომ კუს ბაკანი გაუსკდა. ესაა მისი ახსნა. ასეა სხვა შემთხვევებშიც: როდესაც პრიმიტივს რისამე ახსნა უნდა, იგი მოთხრობას ადგენს, სადაც აღწერილია, თუ როგორ მოხდა საინტერესო მოვლენა. ხატოვანი აზროვნებისთვის ახსნა და აღწერა ერთმანეთს ემთხვევა. უდაოა, როგორც იგივეობის მიმართების შემთხვევაში, ისე აქაც ხატოვანი აზროვნება მხოლოდ ისე ხედავს და ისე ასახავს მიმართებას, როგორც ის უშუალოდაა მოცემული. მიზეზი და შედეგი უბრალო თანმიმდევრობაზეა დაყვანილი: ერთი მოვლენის შემდეგ მეორე ხდება, ერთს მეორე უსწრებს წინ - ეს არის და ეს, რასაც ხატოვანი აზროვნება განიცდის მიზეზობრივი კავშირის შემთხვევაში.

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ჰიუმის ფორმულა posthocergo propter hoc (ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის მიზეზი-

თო) - ხატოვანი აზროვნების მიზეზობრიობას გამოხატავს.

მაგრამ მიზეზობრივი კავშირის ბუნება, ჩვენი აზროვნებისთვის მაინც, აუცილებლობითი ხასიათისაა. ხატოვანი აზროვნებისთვის ეს ასე არაა: აუცილებლობა მისთვის გაუგებარია. როდესაც ცნობილმა მოგზაურმა ფონდენშტაინენმა, რომლის ცნობებითაც ჩვენ აქ განუწყვეტლივ ვსარგებლობდით, ერთ-ერთს ბაკაირის უთხრა - "ყველა უნდა მოკვდესო" - გამოირკვა, რომ მისთვის ეს "უნდა", როგორც აუცილებლობა, სრულიად გაუგებარი ყოფილა. მას ჯერ კიდევ ვერ მიეღწია იმ მდგომარეობისთვის, რომ მოვლენათა რიგიდან, მუდამ ერთიდაიმავე სახით რომ მეორდება, ზოგადი აუცილებლობის აზრი გამოეყვანა. აუცილებლობისა და ზოგადობის კატეგორიები უცხოა ხატოვანი აზროვნებისთვის. ამიტომაა, რომ იგი მხოლოდ მოთხრობით, მხოლოდ აღწერით კმაყოფილდება.

მაგრამ ნუთუ ხატოვანი აზროვნებისთვის მიზეზსა და შედეგს შორის უბრალო თანმიმდევრობის მეტი სხვა, არავითარი კავშირი არ არსებობს? როგორც ველურების, ისე ბავშვის ხატოვანი აზროვნების დაკვირვება ამტკიცებს, რომ იგი მიზეზსა და შედეგს შორის თავისებურ კავშირს გულისხმობს, რომლის მიხედვითაც შედეგი უბრალოდ შედეგს კი არ ნიშნავს, არამედ უფრო პროდუქტს, კეთების ნაყოფს. ხატოვანი აზროვნება მიზეზსა და შედეგს შორის კეთების კავშირს გულისხმობს: ყველაფერი რაც ხდება და რაც არსებობს უთუოდ ვისიმე გაკეთებულია. ასეთია ხატოვანი აზროვნების რწმენა. ამიტომ საკმარისია, მოთხრობილი იქნეს, თუ ვინ და როგორ გააკეთა ესა თუ ის საგანი თუ მოვლენა, რათა ახსნა სრულიად დამაკმაყოფილებლად იქნეს ცნობილი.

ეს ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიშვა მიზეზობრიობის ცნება, როგორ მივიდა ადამიანი მიზეზობრივი კავშირის იდეამდე. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში დიდი ხანია გავრცელებულია აზრი, თითქოს მიზეზობრიობის შემეცნების წყარო საკუთარი ნებელობის დაკვირვება იყოს (შოპენჰაუერი). ნამდვილად შეუძლებელია ეს ასე იყოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უნდა მიგვეღო, რომ

თვითდაკვირვება, რომელიც აბსტრაქციის საკმაოდ მაღალ დონეს გულისხმობს, გაცილებით ადრე განვითარდა, ვიდრე ობიექტური დაკვირვება, რომ მიზეზობრიობა ჯერ შინა სამყაროში იქნა შენიშნული და შემდეგ გარე-სინამდვილეში გადატანილი, რომ ეს კატეგორია ჯერ თეორიულად იქნა განჭვრეტილი და შემდეგ პრაქტიკულად - შინა სამყაროს დაკვირვებას პრაქტიკასთან უშუალოდ ხომ კავშირი არა აქვს: პრაქტიკა შინა კი არა, გარე-სინამდვილეში მიმდინარეობს.

გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა, თუ საქმეს ასე წარმოვიდგენდით. მიზეზობრივი კავშირის გაგება "გაკეთების" მიმართების სახით იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანმა პირველად თავისი შრომის პროდუქტებს მიაქცია ყურადღება, იმას, რასაც იგი აკეთებდა, და ამავე დროს იმასაც, რომ ამ პროდუქტს მხოლოდ გაკეთების შედეგად ღებულობდა. რაც შეეხება კეთების სუბიექტურ მხარეს, მოტივაციასა და აქტივობის განცდას, ეს შედარებით უფრო გვიან უნდა გამხდარიყო ადამიანის დაკვირვების საგნად. და ჩვენ ვიცით, რომ მართლაც, მიზეზობრიობის კეთების სახით წარმოდგენას, ესე იგი, იმას, რაც ამჟამად არტიფიციალიზმის სახელწოდებითაა ფსიქოლოგიაში ცნობილი, მიზეზ-შედეგის მიმართების ფსიქოლოგიური გაგება მოჰყვა თან, რომლის მიხედვითაც მიზეზი სწორედ ისე მოქმედობს, როგორც მოტივი, და ყველაფერი რაიმე მოტივით ხდება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მიზეზობრივი მიმართების იდეის წყარო ადამიანის პრაქტიკაში უნდა ვეძიოთ. ისე, როგორც ყველაფერი სპეციფიკურ-ადამიანური შრომის წყაროდან მომდინარეობს, ისე კაუზალობის კატეგორიის სათავეც აქ უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ პრიმიტული ადამიანის პრაქტიკა, მისი "შრომა" ჯერ კიდევ მარტივ ფორმებში მიმდინარეობდა: იგი ჯერ კიდევ მხოლოდ მოხმარებისა და მომსახურების ფარგლებში იყო მოქცეული. ამიტომ მისი კაუზალობის ცნობიერებაც ჯერ მხოლოდ პრიმიტული შეიძლებოდა ყოფილიყო. ნამდვილი მიზეზობრივი მიმართების იდეა, ისე როგორც სხვა მიმართებებისაც, ისე როგორც ნამდვილი საგნის ცნობიერებაც, მხოლოდ განვითარების

იმ საფეხურზე შემუშავდა, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში დომინანტური მნიშვნელობა ნამდვილმა წარმოებითმა შრომამ მოიპოვა. დასრულებული აზროვნების, ე. წ. ცნებითი აზროვნების, საბოლოო ჩამოყალიბება ამ ნიადაგზე მოხერხდა.

როგორც ვხედავთ, ხატოვანი აზროვნება განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკული აზროვნება, მაგრამ გაცილებით უფრო დაბალს, ვიდრე ცნებითი აზროვნება.

ცნებითი აზროვნება

1. ასოციაციონიზმი აზროვნების ფსიქოლოგიაში

პრაქტიკული აზროვნება აღქმულის ფარგლებში მიმდინარეობს. ხატოვანი აზროვნება საკმარისად აფართოებს თავისი მოქმედების არეს, რამდენადაც წარმოდგენასაც ემყარება. მაგრამ იგიც უშუალოდ მოცემულის ფარგლებში რჩება. იბადება საკითხი: ნუთუ არ არსებობს საშუალება უშუალო მოცემულობის, თვალსაჩინოების, ზღუდეების გადალახვისა და სინამდვილის უფრო დაშორებული მხარეების ასახვისა?

მე-19 საუკ. ფსიქოლოგიისთვის არსებითად პრაქტიკული აზროვნებაც უცნობი იყო და ხატოვანიც: აზროვნებად იგი მხოლოდ ლოღიკურს, განყენებულს, ცნებითს აზროვნებას თვლიდა.

მიუხედავად ამისა, ყოველი აზროვნება მას მაინც თვალსაჩინოებამდე დაჰყავდა. მე-19 საუკუნის კლასიკური ფსიქოლოგია ასოციონისტური ფსიქოლოგია იყო; იგი დარწმუნებული იყო, რომ ერთადერთი მასალა, რომლითაც ფსიქიკა სარგებლობს, შეგრძნებაა, და, მაშასადამე, აზროვნებაც ამავე მასალითაა აგებული. რაც შეეხება კანონზომიერებას, რომელსაც აზროვნებითს პროცესებში აქვს ადგილი, არც ის წარმოადგენს რასმე სპეციფიკურს: ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ასოციაციათა კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც აზროვნების ფსიქოლოგიის ამოცანა შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ მან აზროვნების ყველა შესაძლო ფორმა ანალიზჰყოს და

გვიჩვენოს, რომ იგი სხვადასხვა წარმოდგენათა, ასოციაციის კანონების მიხედვით, გაერთიანების მეტს არაფერს არ წარმოადგენსო. ცნება, მაგალითად, წარმოდგენათა ერთდროული ასოციაციის პროდუქტია, მსჯელობა თანამიმდევარ ასოციაციისაო. ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის უკიდურესი სენსუალიზმი შესაძლებლობას არ აძლევდა მას აზროვნებაში ისეთი ფსიქიკური პროცესი დაენახა, რომელიც უშუალოდ მოცემულობის ფარგლებს შორდება და სინამდვილის არსებითი მხარეების შემეცნების შესაძლებლობას ქმნის.

2. აზრი როგორც არათვალსაჩინო განცდა

ნუთუ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი აზროვნება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზეც თვალსაჩინოების ფარგლებით რჩება შეზღუდული? თანამედროვე მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევები უდაოდ ამტკიცებენ, რომ ადამიანის აზრს ძალა შესწევს მოვლენათა ზედაპირს გადასცდეს და მათი არსებითი ბუნების შემეცნება მოახერხოს. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენი აზროვნება არსებითად შეგრძნებათა ასოციაციების მეტი არაფერი ყოფილიყო და, მაშასადამე, მარტო უშუალო მოცემულობით ყოფილიყო შემოფარგლული.

ეს გარემოება ყოველთვის მწვავედ აყენებდა ფსიქოლოგიის წინაშე საკითხს, თუ რა გზით და როგორ ახერხებს ჩვენი აზროვნება შემეცნების ეგოდენ მნიშვნელოვანი სიმაღლეების მიღწევას. ამ საკითხის ინტენსიური შესწავლა XX საუკ. დასაწყის წლებში დაიწყო. გერმანიაში მას კულპე ხელმძღვანელობდა ("ვურცბურგის სკოლა") და საფრანგეთში ბინე. ვინაიდან აზროვნების კვლევა ექსპერიმენტულ ნიადაგზე იქნა გადატანილი, იგი თავიდანვე ნაყოფიერი აღმოჩნდა.

პირველი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც აზროვნების ექსპერიმენტული შესწავლის ნიადაგზე იქნა მიღებული, სწორედ ჩვენს პრობლემას ეხება. გამოირკვა, რომ აზროვნების პროცესის დაყვანა მხოლოდ თვალსაჩინო შინაარსზე, მარტო შეგრძნებებსა და წარმოდგენებზე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლე-

ბა; რომ ამ თვალსაჩინო შინაარსების გვერდით აზროვნების პროცესში კიდევ განიცდება რაღაც, რასაც არც რაიმე გრძნობადი რომელობა აქვს და არც რაიმე ინტენსიობა, ესე იგი, არცერთი ისეთი მხარე, რის გარეშეც შეგრძნების აზროვნებაც კი არ შეიძლება. უდაოა, ამ შემთხვევაში განცდასთან გვაქვს საქმე, რომელსაც შეგრძნებასთან არაფერი აქვს საერთო.

ჩვეულებრივ, ამ განცდას ცდისპირები "ცოდნას", "აზრს" უწოდებენ. მისი შეგრძნებაზე თუ წარმოდგენაზე დაყვანა შეუძლებელი შეიქნა: გარდა იმისა, რომ მას არც გრძნობადი რომელობა აქვს და არც ინტენსიობა, იგი სხვა მხრივაც განსხვავებული აღმოჩნდა თვალსაჩინო განცდებისგან, წარმოდგენებისგან, 1) როდესაც ცდისპირი თავისი აზროვნების აქტის შესახებ იძლევა ანგარიშს, მაგალითად, როდესაც ის მოგვითხრობს თავის განცდებს, რომელნიც, ვთქვათ, მიწოდებული წინადადების გაგების პროცესში ღებულობდნენ მონაწილეობას, მას ძლიერ კარგად, ძლიერ ნათლად ახსოვს "აზრი", რომელიც მას თავში მოუვიდა. მაგრამ, რაც შეეხება წარმოდგენებს, რომელნიც მას ამ დროს ჰქონდა, მათ შესახებ ისიც კი არ იცის, როგორი იყვნენ ისინი - მხოლოდ სქემატურნი თუ დასრულებული, გარკვეული შინაარსის მქონენი. მაშ, აზრი სხვაა და წარმოდგენა სხვა. 2) რომ ეს ასეა, ეს იქედანაც ჩანს, რომ, მაგალითად, სიტყვის გაგებისთვის უფრო მცირე დრო აღმოჩნდა საჭირო, ვიდრე მხედველობითი წარმოდგენის აღმოცენებისთვის. აზრი რომ მართლა წარმოდგენათა ასოციაცია ყოფილიყო, მაშინ ამ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა. 3) ვთქვათ, ცდისპირმა მარტივი მოძრაობითი რეაქცია უნდა მოგვცეს მიწოდებულ სიტყვაზე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გაიგებს ამ სიტყვას, სწვდება მის მნიშვნელობას. აღმოჩნდა, რომ შესაძლოა ცდისპირს რაღაც წარმოდგენები გაუჩნდეს, მაგრამ მან იცოდეს, რომ ისინი ამ სიტყვის მნიშვნელობას არ შეეფერებიან: მნიშვნელობის ცოდნა, აზრი, მაშასადამე, წარმოდგენაზე არ დაიყვანება.

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენი ცნობიერება თვალსაჩინო შინაარსთა - შეგრძნებათა და წარმოდგენათა - გარდა, არათვალსაჩინო განცდებსაც შეიცავს -

არათვალსაჩინოებითს ცოდნას, რომელიც აზროვნების პროცესში იჩენს ხოლმე თავს და რომელიც "აზრის" სახელწოდებითაა ფსიქოლოგიაში შეტანილი.

მაშ, ჩვენი საკითხი ასე წყდება: პრაქტიკულსა და ხატოვან აზროვნებას გარდა კიდევ არსებობს აზროვნების ფორმა, რომლისთვისაც ისაა დამახასიათებელი, რომ იგი აზრის ან არათვალსაჩინო ცოდნის საშუალებით თვალსაჩინოების ფარგლებს არღვევს და სინამდვილის არაუშუალოდ მოცემულ მხარეებსაც ასახავს. აზროვნების ამ ფორმას "ცნებითი აზროვნება" ეწოდება.

3. ცნებითი აზროვნება და თვალსაჩინო შინაარსი

იბადება საკითხი: რა დამოკიდებულება არსებობს თვითონ ცნებითს აზროვნებაში თვალსაჩინო შინაარსებსა და არათვალსაჩინო განცდებს შორის, სენსორულ მასალასა და აზრს შორის? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ, რაკი აზროვნებაში არათვალსაჩინო აქტების არსებობა დასტურდება, მასში თვალსაჩინო განცდათა მონაწილეობისათვის ადგილი აღარ რჩება?

პირველ ხანებში არათვალსაჩინო აქტების შესწავლის პირველ პერიოდში - ახალი აღმოჩენით გატაცებული ვურცბურგის სკოლის ფსიქოლოგები ერთგვარს უკიდურესობაში ვარდებოდნენ, როდესაც მათ წინაშე აზროვნებაში თვალსაჩინოების - აღქმისა და წარმოდგენის - მონაწილეობის საკითხი დგებოდა. თუ ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას აზროვნება, საზოგადოდ, თვალსაჩინო განცდებზე დაჰყავდა, ვურცბურგელები მაშინ, პირიქით, იმის მტკიცებამი იყვნენ, რომ თვალსაჩინო შინაარსს სრულიად არავითარი წილი არ უდევს აზროვნებაში. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს უკიდურესობა იყო. დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ თვალსაჩინო, გრძნობადი შინაარსის მონაწილეობის გარეშე აზროვნება არ შეიძლება. ამას აღარც ვერცბურგის სკოლის წარმომადგენლები უწევენ წინააღმდეგობას. საკითხი ამჟამად მხოლოდ იმას ეხება, თუ რა როლს ასრულებს ეს შინაარსი ცნებითს აზროვნებაში.

1) როგორც ვიცით, ყოველი აზროვნება უთუოდ გულისხ-

მობს რაღაცას, რაზედაც ვაზროვნებთ: რაღაც უნდა გვქონდეს მოცემული, რომ მის შესახებ აზროვნება შეიძლებოდეს. აზროვნება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აღქმის ობიექტივაციას გულისხმობს; იგი მეორადი პროცესია, რომელსაც პირველადი სინამდვილის ასახვა უსწრებს წინ, და ეს პირველადი ასახვა აღქმასა და წარმოდგენაშია მოცემული. ამრიგად, თვალსაჩინო გრძნობადი შინაარსის მოცემულობა პირველი პირობაა, რომლის გარეშეც აზროვნებაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა.

2) მაგრამ სენსორული შინაარსი სხვა მხრივაც აუცილებელია ცნებითი აზროვნებისთვის. ჯერ ერთი, რაც უფრო განყენებულია ჩვენი აზროვნების შინაარსი, ჩვეულებრივ, მით უფრო მწვავედ განიცდება თვალსაჩინო მასალის საჭიროება. საქმე ისაა, რომ აზროვნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს რაიმე ღირებულება, თუ რომ იგი მთლიანად ცნობილია, თუ რომ იგი, ასე ვთქვათ, თავიდან ბოლომდე სუბიექტის შინაგანი მხედველობის არეში მიმდინარეობს: აზროვნებას, როგორც უაღრესად აქტიურ პროცესს, განუწყვეტელი თვალყურის დევნება, განუწყვეტელი კონტროლი ესაჭიროება.

მაგრამ, როგორ, რა სახით შეიძლება გვეძლეოდეს აზროვნების შინაარსი, როდესაც იგი განყენების მაღალ საფეხურებს აღწევს. განყენებული სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი უშუალოდ არაა მოცემული. მაგრამ, როგორც ვნახეთ, აუცილებელია უსათუოდ რამენაირად მაინც გვეძლეოდეს იგი. ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ როლს მეტყველება ასრულებს. სიტყვაზე უკეთ განყენებული აზრის მოცემულობად გადაქცევა არაფერს არ შეუძლია. საქმე ისაა, რომ სიტყვა თავისთავად ყოველგვარ საკუთარ შინაარს მოკლებულია: იგი ბგერაა და მეტი არაფერი, ესე იგი, წმინდა თვალსაჩინო განცდაა. მაშასადამე, არაფერი გვიშლის ხელს მის შინაარსად განყენებული აზრი ვაქციოთ და ამით ამ უკანასკნელს ხელსახები, თვალსაჩინო ობიექტური განსახიერება მივცეთ: სიტყვა განყენებული აზრის ობიექტივიცაა. იგი არათვალსაჩინო განცდის უშუალო მოცემულობად გადაქცევის საშუალებას იძლევა. უიმისოდ, მაშასადამე, განყენებული აზროვნების აქტიური გაშლა შეუძლებელი იქნებოდა.

ამრიგად, თვალსაჩინო, სენსორული შინაარსი პირველ რიგში სიტყვაში ხვდება არათვალსაჩინო აზრს და ამ უკანასკნელს განვითარებისა და გაშლის შესაძლებლობას უქმნის. ამიტომ, რასაკვირველია, სამართლიანია, როდესაც ცნებითს, განყენებულ აზროვნებას ვერბალურ (სიტყვიერ) აზროვნებასაც უწოდებენ.

3) მაგრამ თვალსაჩინო შინაარსი სხვა მხრივაც ღებულობს მონაწილეობას აზროვნების მიმდინარეობაში. თუ სიტყვას საკუთარი შინაარსი არა აქვს და ამიტომ მისი ჩარევა აზროვნების პროცესში ამ უკანასკნელზე შინაარსეულად არ ახდენს გავლენას, სხვა სენსორულ შინაარსებზე ამას ვერ ვიტყოდით: წარმოდგენას, როგორიც უნდა იყოს იგი, ყოველთვის აქვს თავისი შინაარსი, და ყოველთვის სინამდვილის უშუალო ასახვის მიზანს ემსახურება. მაშასადამე, განყენებულ აზროვნებასთან, რომელიც სწორედ განყენებულს და არათვალსაჩინოს ეხება, მას არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტულად დამტკიცებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი განყენებული აზროვნების პროცესში თვალსაჩინო განცდებიც, კონკრეტული საგნობრივი წარმოდგენებიც, უეჭველ მონაწილეობას ღებულობენ. როგორიც უნდა იყოს ამოცანა, მისი გადაწყვეტის პროცესი არასოდეს ისე არ მთავრდება, რომ სუბიექტის ცნობიერებაში საგნობრივი წარმოდგენების რიგმა არ იჩინოს თავი.

ავიღოთ ერთი მაგალითი! ცდისპირს დავალება ეძლევა: ორ სიტყვას, რომელსაც მას მიაწოდებენ, ზემდებარე ცნება მოუნახოს (მაგალითად, ვაჟი - ქალი, ზემდებარე ცნება იქნება - ადამიანი) და შემდეგ ანგარიში მოგვცეს, თუ რა განცდები ჰქონდა მას სიტყვების გაგონების მომენტიდან პასუხის მიცემამდე.

ერთ-ერთი ოქმიდან ამონაწერი ასეთია: ეძლევა ორი სიტყვა: გამართლება - ქვითარი. ც. პ.-ის დაკვირვება: ერთხანს დაბნეულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მალე ხატოვანი წარმოდგენა გამიჩნდა... იგი მხოლოდ ხატი იყო, ისე არაფერს არ აღნიშნავდა სინამდვილიდან, თითქოს სასამართლოს სცენა იყო გადმოცემული, მაგრამ ისე, რომ მისი აღწერა არ შეიძლება. ამას მეორე სურათი დაემატა, ერთი მარჯვნივ იყო, მეორე მარცხნივ. ეს მეორე

სურათი წარმოადგენდა ხელს, რომელიც წერდა; ვინც წერდა, არ ჩანდა, მარტო ხელი იყო სურათზე. და აი, მივხვდი, რას შვრებოდა ეს ხელი, რას ნიშნავდა მისი წერა (და ასე გადაწყდა ამოცანა: ც. პ.-მა დაასახელა ზემდებარე ცნება).

როგორც აქედან ჩანს, სუბიექტს სრულიად თვალსაჩინო წარმოდგენები უჩნდება. შეიძლება ზოგი მათგანი გაურკვეველიც იყოს, წვრილმანები არ ჩანდეს; მაგრამ ის, რაც არის, უდაოდ გრძნობადია, და, მაშ, არ შეიძლება აზრთან, ცოდნასთან იქნეს გაიგივებული. მაგრამ აქვს თუ არა მას რაიმე შინაგანი კავშირი ამ უკანასკნელთან?

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეს ხატოვანი წარმოდგენები სრულიად შემთხვევით ჩნდებიან, რომ მათ მხოლოდ უბრალო ასოციაციური კავშირი აქვთ ამოცანის ელემენტებთან, მაგალითად, სიტყვებთან, რომელსაც მიწოდებული ამოცანა შეიცავს. მაგრამ სათანადო ექსპერიმენტული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ ეს ასე არაა (ვილვოლი). რასაკვირველია, არის შემთხვევები, რომ ესა თუ ის წარმოდგენა წმინდა ასოციაციური გზით იჭრება ცნობიერებაში; მაგრამ ეს იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ზელცი, სრულიად უარყოფს ასეთი შემთხვევების შესაძლებლობას. სამაგიეროდ, როგორც წესი, მოაზროვნე სუბიექტის ცნობიერებაში წამოჭრილი თვალსაჩინო შინაარსის წარმოდგენები ამოცანასთან არიან არსებითად დაკავშირებული. ისინი რაღაც როლს ასრულებენ აზროვნების პროცესში, მათ რაღაც გარკვეული ფუნქცია უნდა ჰქონდეთ. რაში მდგომარეობს ეს ფუნქცია? იგი სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა:

1) უწინარეს ყოვლისა, არის შემთხვევები, რომ აზროვნების პროცესში აღმოცენებული თვალსაჩინო შინაარსის წარმოდგენები არათვალსაჩინო აზრის ილუსტრაციის მეტს არაფერს წარმოადგენენ. ისინი წინ როდი უსწრებენ ჩვენს აზრებს, არამედ თან ახლავან მათ და ამოცანის გადაწყვეტაზე უშუალო გავლენას არ ახდენენ.

2) ზოგჯერ სუბიექტს არაჩვეულებრივ ცხოველი თვალსაჩინო ხატი უჩნდება. ასეთ შემთხვევებში თვალსაჩინო წარმოდგენა ხშირად შემაფერხებელ გავლენას ახდენს აზროვნების პრო-

ცესზე: ცხოველი წარმოდგენა ან თვითონ იტაცებს სუბიექტს და ხელს უშლის მას ყურადღება ამოცანის გადასაწყვეტად წარმართოს, ან - სწორედ იმის გამო, რომ ძალიან ნათელ სურათს წარმოადგენს - ნაადრევად ათავებინებს აზროვნების პროცესს; ანდა, რა მიმართებაც ამ ცხოველ წარმოდგენებს შორის არის, ამოცანის ელემენტებს შორისაც იმას აგულისხმებინებს. მოკლედ: აზროვნების მიმდინარეობაში წამოჭრილი თვალსაჩინო შინაარსი ზოგჯერ შემაფერხებელ გავლენას ახდენს მასზე. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც წარმოდგენა თვალსაჩინოების მაღალ დონეს აღწევს.

3) უფრო ხშირია შემთხვევები, რომ თვალსაჩინო წარმოდგენა კი არ აფერხებს აზროვნებას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მას. საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევებში იგი, ჩვეულებრივ, სრულიად მოკლებულია თვალსაჩინოების იმ მაღალ დონეს, რომელიც შემაფერხებელი წარმოდგენებისთვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. ამ შემთხვევებში იგი შედარებით ზოგადის, გაურკვეველი სახისაა: ვერ იტყვი ზუსტად, რას გამოხატავს ეს წარმოდგენა: "ცხოველია, შეიძლება ხარი იყოს, ან ძროხა, ან ცხენი..." ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში უეჭველად თავისებურს გრძნობადს შინაარსთან გვაქვს საქმე: უდაოა, რომ იგი თვალსაჩინო შინაარსს, გრძნობად ხატს წარმოადგენს, და ამით იგი სხვა გრძნობადი მასალისგან არაფრით განსხვავდება; მაგრამ ამავე დროს ეს გრძნობადი შინაარსი ისეთია, რომ მას ინდივიდუალური გარკვეულობა აკლია: იგი შეიძლება ესეც იყოს და ისიც... ამ მხრივ იგი უფრო ინტელექტუალურს, არათვალსაჩინო შინაარსს უახლოვდება. შეიძლება ითქვას. რომ ამ შემთხვევაში ერთგვარ ინტელექტუალიზირებულ ხატთან გვაქვს საქმე, და ესაა, რომ მას განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს აზროვნებისთვის. წინათ წარმოდგენის ასეთი ინტელექტუალიზაციის შესაძლებლობას სრულიად უარყოფდნენ: სამკუთხედი ან ტოლგვერდი შეიძლება იყოს ან არატოლგვერდი, და ამიტომ შეუძლებელია წარმოიდგინო "სამკუთხედი საზოგადოდ", რომელიც ისიც იქნებოდა და ესეცო, ამბობდა ბერკლი. მაგრამ დღეს უკვე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბერკლი ცდებოდა: ინტელექ-

ტუალიზირებული წარმოდგენის არსებობა უდაო ფაქტად ითვლება (მესერ, ვილვოლ, რუბინშტეინ და სხვა).

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ ასეთ წარმოდგენას საკმაოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია აზროვნების პროცესში. როდესაც სუბიექტს ასეთი წარმოდგენები უჩნდება, ეს არ ნიშნავს, რომ ამოცანის გადაჭრის პროცესი პირველად ამ მომენტიდან ადგებოდეს სწორ გზას. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი წარმოდგენების აღმოცენებას უკვე წინ უსწრებს ერთგვარი მდგომარეობა, რომელიც ამოცანის სწორი გადაჭრის განწყობას უნდა წარმოადგენდეს, და ეს გაურკვეველი წარმოდგენები, რომელნიც ამოცანის სწორი გადაჭრის პროცესს ეხმარებიან, ამ განწყობის ნიადაგზე უნდა იყვნენ აღმოცენებული. ამით აიხსნება, რომ ისინი სწორი გადაწყვეტისკენ მიუთითებენ და განყენებულ აზროვნებას შესატყვის დასაყრდენსა და მიმართულებას აძლევენ.

4) არათვალსაჩინო აზრისა და თვალსაჩინო შინაარსის მჭიდრო კავშირი სხვანაირადაც იჩენს თავს. თანამედროვე ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში საკმაო ხანია ცნობილია, რომ აზროვნების პროცესში კიდევ ჩნდება ერთგვარი თავისებური თვალსაჩინო შინაარსი - სქემა - რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ზემოთ აღწერილს საგნობრივ, გაურკვეველ წარმოდგენებს, მაგრამ მათგან მაინც თვალსაჩინოდ განსხვავდება (ბიულერი, შტერნი). მაშინ როდესაც საგნობრივი წარმოდგენა არათვალსაჩინო აზრის გათვალსაჩინოებას, მისს, ასე ვთქვათ, განსახიერებას თუ გამოხატულებას იძლევა, სქემა მხოლოდ მისი სიმბოლოს როლს ასრულებს. მიუხედავად ამისა, მისი როლი აზროვნების პროცესში მაინც დიდია. ბიულერი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას მიაწერს მას: "ძალიან დიდ სამსახურს უწევს ცნებითს აზროვნებას სქემატური წარმოდგენა, რომელიც უკვე ძლიერ ადრე უმუშავდება ბავშვს "-ო, ამბობს იგი.

როგორია ეს სქემატური წარმოდგენა, ეს შემდეგი მაგალითებიდან ჩანს: ერთ-ერთ ცდისპირს ორი ცნება ეძლევა, რომელიც მან ზემდებარე ცნებაში უნდა გააერთიანოს. "მეორე სიტყვა რომ გავიგონე, ორივე ცნებას შორის მიმართება დავამყარე; ამ დროს მე სამკუთხედის სქემა გამიჩნდა, რომელიც ყოველთვის მაქვს

ხოლმე, როდესაც ზემდებარე ცნებას ვეძებ"-ო, ამბობს იგი. მეორე ც.პ.: "ეხლაც გამიჩნდა ორივე სიტყვისთვის სქემა - თითქოს თქვენ ქაღალდი გეჭირათ ხელში, და ერთი მოცემულ სიტყვათა-განი ზემოთ იყო ამ ქაღალდზე მოთავსებული, მეორე ქვემოთ. ოღონდ თვითონ სიტყვებს ვერ ვხედავდი: მე მხოლოდ ადგილს ვხედავდი ერთისას და მეორისას... აი, თითქოს ახლაც გადამაქვს თვალი ერთიდან მეორეზე..."

ასეთი სიმბოლოები ორგვარია: ფორმალური, რომელიც ამოცანის ფორმალურ მხარეს ეხება, და შინაარსეული, როდესაც იგი მოცემული ამოცანის შინაარსის სიმბოლოს წარმოადგენს. ფორმალურ სქემებს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ვხვდებით (სამკუთხედი, სივრცეში განლაგების სქემა). რაც შეეხება შინაარ-სეულ სქემატურ წარმოდგენას, მის ნიმუშს შემდეგი დაკვირვება იძლევა (ისევ ვილვოლის გამოკვლევიდან): (გმირობა - დასრუ-ლებულობა). უნდა მოინახოს ზემდებარე ცნება: ც პ.: გაურკვეველი ხატები, მეორე სიტყვის გასათვალსაჩინოებლადაც გაჩნდა წარმოდგენა: იგი (დასრულებულობა) მარცხნივ იდგა - პირამიდის სახით.

რაც შეეხება ამ სქემატური წარმოდგენების ფუნქციას, იგი არსებითად ისეთივეა, როგორიც საგნობრივი წარმოდგენების შემთხვევაში დავადასტურეთ. ზოგ შემთხვევაში იგი ილუსტრაციის როლს ასრულებს, ზოგში კიდევ აზროვნების დასაყრდენის როლს, რომელიც აზროვნების მსვლელობას აადვილებს და აზუსტებს.

ამრიგად, არათვალსაჩინო აზრსა და თვალსაჩინო გრძნობადს ფსიქიკურ შინაარსებს შორის არავითარი უფსკრული არ არსებობს, როგორც ამას ფსიქოლოგიური სენსუალიზმი და რაციონალიზმი გულისხმობდნენ: არ არის მართალი, თითქოს შემეცნების ერთადერთს წყაროს ან ჩვენი გრძნობები შეადგენდნენ და ან ჩვენი გონება. არა! დიალექტიკური ლოღიკა ან-ან-ის ფორმულას არც აქ იზიარებს და აზროვნებისა და გრძნობელობის ერთიანობის დებულებას იცავს.

აზროვნების თანამედროვე ფსიქოლოგია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეს დებულება სწორია: შეგრძნებასა და განყენე-

ბულს არათვალსაჩინო აზრს შორის უწყვეტი კავშირი არსებობს, რომელიც ინტელექტუალიზირებული საგნობრივი წარმოდგენებისა და სიმბოლური სქემატური წარმოდგენების შუალობით ხორციელდება.

ა. ცნება

1. აზრი და თვალსაჩინოება

ჩვენთვის ამჟამად უდაოა, რომ აზრის თვალსაჩინო შინაარსებზე დაყვანა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, არანაკლებ უდაოა ისიც, რომ თავისთავად არათვალსაჩინო აქტი, აზრი, მაინც უთუოდ თვალსაჩინო განცდებთანაა დაკავშირებული: ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ კავშირის გარეშე აზროვნება შეუძლებელია. მაგრამ აზრისა და თვალსაჩინო წარმოდგენის ერთიანობა მარტო ამაში როდი იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ, მეორის მხრივ, თვითონ თვალსაჩინო განცდაც - აღქმა იქნება იგი თუ წარმოდგენაშიც უთუოდ რაიმე არათვალსაჩინო წარმოდგენის მიერ დაკავშირებული. ასეთი კავშირის გარეშე ადამიანს არც აღქმა შეუძლია და არც წარმოდგენა. მართლაც, როგორც ვიცით, აღქმაშიც და წარმოდგენაშიც უთუოდ რაიმე საგანი იგულისხმება: ის, რაც აღიქმება ან წარმოიდგინება. უიმისოდ არც აღქმასა და არც წარმოდგენას არავითარი აზრი ან მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაშასადამე, აღქმაში არა მარტო თვალსაჩინო გრძნობადი შინაარსი გვაქვს მოცემული, არამედ მასში საგნის გულისხმობის არათვალსაჩინო აქტიც ღებულობს მონაწილეობას: არათვალსაჩინო განცდის გარეშე არც თვალსაჩინო შინაარსი არსებობს ადამიანის ცნობიერებაში.

მაგრამ აღქმაში მხოლოდ ელემენტია არათვალსაჩინო აზრის. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, აი, ამ წიგნს როგორც სრულიად თვალსაჩინო მოცემულობას: მას ეს გარკვეული ფორმა აქვს, ეს სიდიდე, ეს ფერი... წიგნი - ჩვენი აღქმის საგანი - გარკვეულს გრძნობადს მონაცემს წარმოადგენს. მაშასადამე, ის, რაც აღქმაში აზრით იგულისხმება - "მისი საგანი" - გრძნობადი, თვალსაჩინო

შინაარსის სახით განიცდება. იგი ჯერ კიდევ მთლიანად ამ თვალსაჩინო შინაარსთანაა შერწყმული.

მაგრამ აზროვნების განვითარების მაღალ საფეხურზე აზრი თანდათანობით შორდება თვალსაჩინო შინაარსს და, ბოლოს, ცნების სახით საბოლოოდ არათვალსაჩინო განცდად ყალიბდება. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ცნებას არავითარი კავშირი არა აქვს თვალსაჩინოებასთან: ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, რომ თვალსაჩინო შინაარსი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცნებითი აზროვნების პროცესში.

იბადება საკითხი: როგორ ხდება ეს? როგორ ხერხდება, რომ ჩვენი აზრის საგნად, თვალსაჩინო შინაარსის ნაცვლად, არათვალსაჩინო, განყენებული შინაარსი იქცევა? რა ოპერაციებს მიმართავს ამისთვის აზროვნება?

2. ცნება და ზოგადი წარმოდგენა

ცნება ჩვენი ცნებითი აზროვნების ძირითად ფორმას წარმოადგენს. მაგრამ რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც ცნების შესახებ ვლაპარაკობთ? ჯერჯერობით, საორიენტაციოდ ასე შეიძლებოდა გვეთქვა: ცნება ყოველი ცალკე სიტყვის აზრს, მნიშვნელობას წარმოადგენს. ამიტომ საკმარისია რაიმე სიტყვა დავასახელოთ - სულერთია რომელი - და ჩვენ ყოველთვის ცნებასთან გვექნება საქმე. მაგალითად, სახლი, წიგნი, ერთობა, ცნება... მაგრამ სიტყვა მხოლოდ ლოღიკურად, ობიექტურად წარმოადგენს ნამდვილ ცნებას. ფსიქოლოგიურად, ესე იგი, თითოეული ცალკე ადამიანის ცნობიერების თვალსაზრისით, შესაძლოა, მას ბევრი არაფერი ჰქონდეს საერთო ცნებასთან. ავიღოთ მაგალითი: ვთქვათ, მოწაფეს წინადადებას ვაძლევთ დაფაზე წრე დახაზოს, და იგიც სწორად სწყვეტს ამ ამოცანას. ამტკიცებს თუ არა ეს გარემოება, რომ მას წრის ცნება აქვს? უეჭველია, სიტყვის მნიშვნელობა მან იცის. მაშასადამე, თითქოს ცნებაც უნდა ჰქონდეს. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ იგი ამ სიტყვის მნიშვნელობად ცნებას კი არა, სხვას რასმე გულისხმობდეს, რაც ცნება არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ცნების როლს ასრულებს, მის ფუნქციონალურ ეკ-

ვივალენტს წამოადგენს: მაგალითად, შესაძლებელია სუბიექტს წრის ე. წ. ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს და ამ ფიგურის სწორი დახაზვის შესაძლებლობას მას მხოლოდ ეს აძლევდეს.

მართლაცდა, ასოციაციური ფსიქოლოგია არსებითად ზოგად წარმოდგენასა და ცნებას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა. საჭიროა გაირკვეს, რამდენად მართებულია ასეთი შეხედულება.

რა არის ზოგადი წარმოდგენა? ყველაზე უკეთესი იქნებოდა თუ ამ კითხვას ასოციაციური ფსიქოლოგიის მიხედვით ვუპასუხებდით. უეჭველია, მოწაფეს წრის სახელწოდებით არაერთი ფიგურა უნახავს: ამ ფიგურებს ფერი და სიდიდე ხშირად ძალიან განსხვავებული, მაგრამ ფორმა ყოველთვის ერთი ექნებოდათ. ამიტომაც ამ ფორმის ხშირი, განმეორებითი აღქმის გამო, სუბიექტის ცნობიერებაში სწორედ მისი წარმოდგენა უნდა განმტკიცებულიყო; ხოლო ფერისა და სიდიდის მომენტი, მათი ცვალებადობის გამო, უნდა დაჩრდილულიყო. მაშასადამე, სუბიექტს, წრის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ფორმის მხრივ გარკვეულის, მაგრამ სხვა მხრივ გაურკვეველი ფიგურის წარმოდგენა უნდა შემუშავებოდა. ასეთ წარმოდგენას სრულიად სამართლიანად ზოგად წარმოდგენას უწოდებენ. და მართლაც, განა შეიძლება იგი ერთი რომელიმე გარკვეული წრის წარმოდგენად ჩაითვალოს? მას ხომ არც ფერი აქვს გარკვეული და არც სიდიდე. მას მხოლოდ ფორმა აქვს გარკვეული. ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვითონ იგი ყველა თავის ნაწილში ერთნაირად მკაფიო არ არის, მაგრამ როგორც ხატი მაინც სრულიად გარკვეულია. გაურკვეველია იგი მხოლოდ ფუნქციონალურად, და ამიტომ, შესაძლოა, სურვილისდა მიხედვით დიდ წრესაც წარმოადგენდეს და პატარასაც, შავად დახაზულსაც და წითლად დახაზულსაც.

და აი, როდესაც ჩვენს მოწაფეს წრის დახაზვას ვავალებთ, შესაძლოა, მის ცნობიერებაში სწორედ ეს ბუნდოვანი, ან ფუნქციონალურად გაურკვეველი წარმოდგენა ჩნდებოდეს და როგორც შემეცნების ერთ-ერთი ფორმისთვის, ეს აუცილებელია. ამიტომაა, რომ ცნების შინაარსში ზოგადი ნიშნები როდი შედის, არამედ იგი არსებითი ნიშნებისგან შესდგება.

როგორც სათანადო ექსპერიმენტებიდან გამოირკვა, ამ შემეცნების ამოცანას მართლა განსაკუთრებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცნების შემუშავების პროცესში. საქმე ისაა, რომ მთელი აზროვნების პროცესი, რომელიც ამ ამოცანის იმპულსით არის გამოწვეული, მისი ზეგავლენისა და მისი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს: ამ უამრავ მომენტსა და ნიშანს შორის, რომელიც ყოველთვის აქვს ქვემდებარე ობიექტებს, სუბიექტის ცნობიერებაში განსაკუთრებით ის ნიშნები იკაფავენ გზას, რომელთაც სწორედ დასმულ ამოცანასთან აქვთ კავშირი. ეს იმიტომ ხდება, რომ სუბიექტი ამ ამოცანის თვალსაზრისით ავლებს თვალს მის განკარგულებაში მყოფ ობიექტებს და ამ თვალსაზრისით აწარმოებს მის ურთიერთშედარებას.

ამრიგად, შემეცნებითი ამოცანის მიღება და მისი ასპექტით სათანადო მასალის გადახედვა და შედარება ძირითადი ნაბიჯია, რომლითაც ყოველი ცნებითი აზროვნება იწყება. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჩვენი შემეცნებითი მომზადებულობის დონე, ქვემდებარე მასალის შედარების შედეგად ჩვენს ცნობიერებაში ან უფრო შესატყვისი ნიშნები იწევენ წინ ან ნაკლებ შესატყვისნი. ჩვენი ცნების სიავკარგე ამაზეა დამოკიდებული.

მაგრამ ცნებამდე ჯერ კიდევ შორსაა. პირველი, რაც ეხლა უნდა მოხდეს, ეს ისაა, რომ სუბიექტი ამ ნიშნებს უნდა დაეუფლოს, რათა შემდეგში მათი თავისუფალი გამოყენება შესძლოს. ეს კი პირველ რიგში მთლიანი წარმოდგენების დაშლას გულისხმობს, სადაც ეს ნიშნებია მოცემული. მთლიანი წარმოდგენა, ესე იგი, მთლიანი ობიექტის ასახვა, ამიერიდან სუბიექტს სრულიად აღარ ესაჭიროება: მას მხოლოდ ის ცალკეული ნიშნები აინტერესებს, რომელიც ამოცანის შესატყვისად იქნა ცნობილი. ამისთვის, ესე იგი, განსაზღვრული ნიშნების მთლიანიდან ამოკრეფისთვის და მათზე იზოლირებული აზროვნებისთვის ახალი გონებრივი ოპერაციაა აუცილებელი, ე.წ. აბსტრაქცია ანუ განყენება.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აბსტრაქციის შემთხვევაში ყოველთვის ე.წ. ნიშნებთან გვაქვს საქმე, ესე იგი, მთლიანი ობიექტის მხარეებთან, რომელთაც რეალურად მხოლოდ ობიექტში შეუძლიათ არსებობა, და რომელნიც, მაშასადამე, დამოკი-

დებულ მომენტებად უნდა იქნენ ცნობილნი. იმისთვის რომ ამ დამოკიდებული შინაარსების დამოუკიდებელი წარმოდგენის შექმნა შევძლოთ, საჭიროა ისინი იმ მთლიანიდან გამოვყოთ, რომლის დამოკიდებულ მომენტებსაც შეადგენენ (ამას "პოზიტურ აბსტრაქციას" უწოდებენ) და ამავე დროს ისიც შევძლოთ, რომ თვითონ მთლიანი, ყველა მისი დანარჩენი მომენტით, ყურადღების გარეშე დავტოვოთ (ე. წ. "ნეგატური აბსტრაქცია").

ამის მიხედვით, თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აბსტრაქცია ყურადღების მოქმედების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. ყურადღებას რომ რასმე აქცევ, ამისი შედეგი ისაა, რომ საგანი ან მისი რომელიმე მხარე ნათელი და მკაფიო ხდება. მეტი არაფერი. აბსტრაქციის შემთხვევაში კი საქმე სინათლეს კი არა, დამოუკიდებელი ნაწილის თუ მომენტის მთლიანიდან გამოყოფას ეხება. ყურადღება ნათელ წარმოდგენას იძლევა, აბსტრაქცია - მთლიანიდან ნაწილობრივი მომენტის გამოყოფის შესაძლებლობას. მართალია, იმისთვის რომ მთლიანს რაიმე მომენტი გამოჰყო, საჭიროა მისი ნათელი წარმოდგენა გქონდეს, ე .ი. აბსტრაქციისთვის ყურადღებაა საჭირო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირველი მეორეზე უნდა იქნას დაყვანილი.

ამრიგად, აბსტრაქცია ყველა იმ ნიშნის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ცნების შინაარსად არის განზრახული.

მაგრამ ცნების შემუშავების პროცესი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. საქმე ისაა, რომ აბსტრაჰირებული ნიშნები სათითაოდ რომელიმე მთელის დამოკიდებულ მომენტებს წარმოადგენენ, რომელნიც ახლა ამ მთლიანიდან ამოღებულნი არიან და, მაშასადამე, თავის სუბსტრატს, თავის მატარებელს, მოკლებულნი არიან. იმისთვის რომ აბსტრაჰირებული ნიშნები ახალი მთლიანის სახით გაერთიანდნენ, ესე იგი, ცნებად იქცნენ, საჭიროა მათ რაიმე თვალსაჩინო დასაყრდენი, რაიმე სუბსტრატი მიეცეს, რაც მათ ობიექტივაციას მიანიჭებდა და სინამდვილის ჩვეულებრივ მოვლენად გადააქცევდა. ასეთ დასაყრდენს სიტყვა წარმოადგენს. აბსტრაჰირებული, დამოკიდებული, იზოლირე-

ბული მომენტები სიტყვაში ერთიანდებიან, დამოუკიდებელ მთლიანობად იქცევიან და ობიექტური სამყაროს ჩვეულებრივ მოვლენებად ხდებიან. ნამდვილი ცნების შესახებ მხოლოდ ამიერიდან შეიძლება ვილაპარაკოთ.

მაგრამ სახელდების მნიშვნელობა სწორად არ იქნებოდა გაგებული, თუ ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებას მივაქცევდით, რომ სიტყვაში აბსტრაჰირებულ ნიშანთა გაერთიანება ხდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა უფრო მეორე მომენტს აქვს, სახელდობრ იმას, რომ სიტყვა ჩვენი აზროვნების პროდუქტის, ცნების შინაარსის, ობიექტივაციის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენი აზრი ობიექტურ მოცემულობად სიტყვაში იქცევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზრი და სიტყვა ერთს მთლიანობად ირწყმება; სიტყვა და მისი შინაარსი, მისი მნიშვნელობა, ესე იგი, მასში გაერთიანებული აბსტრაჰირებული ნიშნები, ცალ-ცალკე როდი განიცდება, არამედ როგორც ერთი განუყრელი მთლიანი. ამიტომაც საკმარისია, რაიმე სიტყვა გავიგონოთ, მაგალითად, წრე, რომ ჩვენს ცნობიერებაში იმწამსვე ბგერების კომპლექსის კი არა, თვითონ წრის წარმოდგენა გაჩნდეს. სიტყვა და მისი მნიშვნელობა ისე მტკიცედ არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი, ისე განუყრელად არიან ურთიერთში შერწყმულნი, რომ ბავშვი, მაგალითად, თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საგანსა და მის სახელს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს. წრე, მაგალითად, მისთვის სიტყვა კი არ არის, თვითონ ფიგურაა.

ამრიგად, ცნება სიტყვისა და მასში გაერთიანებული შინაარსის შერწყმითს მთლიანობას წარმოადგენს.

ამის ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ სიტყვის მნიშვნელობა - მასში და მასთან გაერთიანებული შინაარსი - ისევე ერთნაირი ხდება ყველასთვის, როგორც თვითონ სიტყვაა ყველასთვის ერთნაირი. სიტყვა და მისი მნიშვნელობა, მაშასადამე, ცნება, ყველას მიერ ერთნაირად იაზრება. ამიტომ ის თვალსაჩინო გრძნობადი შინაარსი, ის წარმოდგენები, სიმბოლური სქემები და ილუსტრაციები, რომელნიც ყოველთვის დასტურდება ცნებითი აზროვნების პროცესში, მაგრამ ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად ინდივიდუალური ხასიათის მატარებელნი არიან, არასდროს

თვითონ ცნების შინაარსში საბოლოოდ არ რჩებიან. ნამდვილი ცნების შინაარსი ყოველთვის იწმინდება ამ გრძნობადი შენარევიდან და მარტო გარკვეულ აზრად ყალიბდება. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის გარემოება. რომ სიტყვა ადამიანთა ურთიერთობის ეგოდენ მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს.

იბადება საკითხი: როგორ ხდება სახელდება? როგორ ხერხდება სიტყვისა და მისი მნიშვნელობის შერწყმა?

ჯერ-ერთი, ძველი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, სიტყვა ასოციაციურადაა თავის მნიშვნელობასთან დაკავშირებული, დღეს საზოგადოდ, დაძლეულად უნდა ჩაითვალოს. სათანადო ცდების შედეგად გამოირკვა. რომ ბგერათა კომპლექსეგისა და გარკვეული ობიექტების ასოციაციურ დაკავშირებას არასდროს არ შესწევს ძალა ბგერების კომპლექსი ობიექტების სახელად აქციოს: ამ ნიადაგზე, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა, ბგერამ სიგნალის მნიშვნელობა მოიპოვოს. სამაგიეროდ, აღმოჩნდა, რომ სიტყვისა და მისი მნიშვნელობის შერწყმის, ცნების, საბოლოო ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სოციალური კონტაქტის საჭიროება, ურთიერთგაგებინების მოთხოვნილება წარმოადგენს. ბგერების კომპლექსი ამ ურთიერთობის პროცესში იქცევა ნამდვილ სიტყვად, ამ ურთიერთობის პროცესში იძენს მნიშვნელობას. როგორ ხდება ეს, განსაკუთრებით ეს ნათლად ჩანს ცნების შემუშავების მეორე უფრო ჩვეულებრივი გზის განხილვიდან.

3. ცნების გაგება

ცნების შემუშავება ყოველთვის ასე როდი ხდება. ეს გზა მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როდესაც ჩვენს წინაშე ახალი ცნების შექმნის ამოცანა დგას. მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევა, რომ ცნება უკვე შემუშავებულია, და არსებობს სიტყვები რომელნიც ამ ცნების აღსანიშნავად არიან შემოღებული; მაგრამ ჩვენ არ ვიცნობთ ამ ცნებას და არ გვესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. სხვანაირად: ისინი მხოლოდ ბგერების კომპლექსს წარმოადგენენ ჩვენთვის და არა ნამდვილ ცნებებს. იბადება საკითხი: რო-

გორ ხდება ამ ცნებების დაუფლება? როგორ იძენენ ბგერების კომპლექსები მნიშვნელობას? როგორ იქცევიან ისინი ჩვენთვის ნამდვილ ცნებებად?

ამ საკითხის შესახებ არსებული ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით მდგომარეობა დაახლოებით შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: გარკვეული სიტყვა, როგორც ცნება, გარკვეულ პირობებში გარკვეული ობიექტების მიმართ იხმარება. როდესაც ჩვენ სწორედ ამ პირობების ნიადაგზე ვიმყოფებით ურთიერთობაში ვინმესთან, ჩვენთვის აუცილებელი ხდება როგორც სწორი გაგება ამ სიტყვისა, ისე მისი სწორი გამოყენებაც: უამისოდ ჩვენი კონტაქტი დაირღვეოდა. ეს გარემოება გვაიძულებს, აღნიშნული სიტყვის ხმარების ყველა კერძო შემთხვევაში, დავუკვირდეთ, თუ რის მიმართ იხმარება იგი, და, მაშ, როგორი უნდა იყოს მისი მნიშვნელობა. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს, პირველ რიგში ამ სიტყვის ზოგადს, ჯერ კიდევ გაუნაწევრებელ მნიშვნელობას ვწვდეთ.

რასაკვირველია, სიტყვის სრული მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ გვესმის, ცნება ჯერ კიდევ არა გვაქვს. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ზოგადი მნიშვნელობის ცოდნა შესაძლებლობას იძლევა თვითონ ვიხმაროთ ეს სიტყვა და, ვნახოთ, რამდენად და როდის იქნება იგი სხვებისთვის გასაგები. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება - ამ სიტყვის ხმარების სხვადასხვა შემთხვევაში - სხვების რეაქცია, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით სულ უფროდაუფრო ზუსტი დაკვირვება ვაწარმოოთ და, ბოლოსდაბოლოს, სწორედ იმას მივაკვლიოთ, რაც ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობაში იგულისხმება.

ეს მომენტი ცნების წვდომის კრიტიკულ მომენტს წარმოადგენს. აქამდე სიტყვა და მისი შესაძლო მნიშვნელობა მხოლოდ გარეგნულად უკავშირდებოდნენ ურთიერთს. ამიტომ ყოველთვის ასეთ განცდას ჰქონდა ადგილი: შესაძლოა, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა ეს კი არა, სხვა რაიმე იყოს-თქო. ახლა ერთბაშად სრულიად თავისებური განცდა ჩნდება: თითქოს რაღაც აღმოჩენას წავაწყდით: ერთბაშად ნათელი ხდება, რომ სიტყვის მნიშვნელობა სწორედ ესაა და შეუძლებელია სხვა იყოს. თავს

იჩენს ტიპიური აჰა-განცდა, რომელშიც სიტყვა და მნიშვნელობა ერთბაშად ურთიერთს ერწყმის და ერთს განუყრელ მთლიანად იქცევა. ახლა მათ შორის შემთხვევითი და გარეგანი კი არა, არსებითი და შინაგანი კავშირი განიცდება. მხოლოდ ახლა შეიძლება ითქვას, რომ ცნება გავიგე და შეძლებისდაგვარად მისი შინაარსის შესახებ ანგარიშის მოცემაც შემიძლია.

მაგრამ რა შევიძინე მე ამით? რას გვაძლევს ცნება? განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში როდი იმყოფებიან ურთიერთთან: ისინი მჭიდროდ და კანონზომიერად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და, თავის ერთობლიობაში გარკვეულ სისტემას ქმნიან. ისინი ობიექტური სინამდვილის მოვლენათა დიალექტიკური მთლიანობის ასახვას წარმოადგენენ, და, გასაგებია, რომ იზოლირებული, სხვა ცნებასთან დაუკავშირებელი ცნება არ არსებობს. ვთქვათ, ახლა ჩვენს წინაშე რაიმე საგანია, რაიმე მოვლენა, მაგალითად, დახშული ხაზი. თუ აღმოჩნდა, რომ მას სწორედ ის ნიშნები აქვს, რომელიც წრის ცნების შინაარსს შეადგენს, ჩვენ უყოყმანოდ მას წრედ გამოვაცხადებთ. მაშასადამე, ამ დახშულ ხაზს ჩვენი ცნებების სისტემაში გარკვეულ ადგილს მივაკუთვნებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფიგურის დამოკიდებულება სინამდვილის მრავალი სხვა მოვლენის მიმართ თავისთავად გარკვეული ხდება. მას ის ადგილი განსაზღვრავს, რომელიც ჩვენი ცნებების სისტემაში წრის ცნებას უკავია: ჩვენ უკვე ვიცით, რას უდრის მისი მოედანი ($\pi r2$), მოკლედ ჩვენ ამ ფიგურის მთელი გეომეტრია ვიცით. და თუ, ვინიცობაა, ჩვენ ტრიგონომეტრიული ცნებებიც მოგვეპოვება, მაშინ კიდევ უფრო ნათელი ხდება ამ ფიგურის ადგილი სინამდვილეში, კიდევ უფრო მეტი გვეცოდინება მის შესახებ.

ამრიგად, ცნება უდიდეს როლს ასრულებს სინამდვილის შემეცნების პროცესში: იგი გვითვალისწინებს თითოეული კერძო მოვლენის ადგილს, რომელიც მას სინამდვილის სისტემაში უკავია, იგი ნათელჰყოფს იმ კავშირებს, რომელიც მას მსოფლიოს სხვა მოვლენებთან აქვს.

ბ. მსჯელობა

1. მსჯელობის რაობა

აზროვნების კონკრეტულ შემთხვევებში ცნება ცალკე არასდროს არ გვხვდება. მისი შინაარსი ყოველთვის მსჯელობათა სისტემაში იშლება, და ამიტომ იგი მსჯელობის აქტთან არის ხოლმე დაკავშირებული: "ცნების ბუნებრივი ადგილი მსჯელობაა"-ო, ამბობს სამართლიანად ბიულერი. მაგრამ რა არის მსჯელობა? საორიენტაციოდ ასე შეიძლებოდა გვეთქვა: თუ ყოველი სიტყვა ცნებად შეიძლება ვიგულისხმოთ, იგივე ითქმის მსჯელობისა და წინადადების შესახებაც: მსჯელობა ისაა, რაც სიტყვიერად წინადადების სახით გვეძლევა. მაგალითად, წინადადება - სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორს დ-ს უდრის - მსჯელობას წარმოადგენს.

რომ ჩავუკვირდეთ ამ წინადადებას, დავრწმუნდებით, რომ აქ რაღაც ობიექტების შესახებ ჩვენ რაღაცას ვამტკიცებთ, სახელდობრ, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამსა და ორ დ-ს შორის გარკვეული მიმართება, სახელდობრ, ტოლობის მიმართება არსებობს. ასეა ყველა სხვა შემთხვევაშიც: მსჯელობა ყოველთვის მიმართებას ეხება, მასში ყოველთვის ორი წევრია ნაგულისხმევი, ორი ცნება (სუბიექტი - ქვემდებარე და პრედიკატი - შემასმენელი), რომელთა შორისაც გარკვეული მიმართების არსებობა მტკიცდება. მსჯელობა ორ შინაარსს შორის არსებული მიმართების შემეცნებას წარმოადგენს: სინამდვილეში არსებული კავშირების ანუ მიმართებების შემეცნებას ჩვენ ყოველთვის მხოლოდ მსჯელობის საშუალებით ვახერხებთ. ამის შემდეგ გასაგებია, რომ ყოველი აზროვნების ბუნებრივ გამოვლინებად მსჯელობა ითვლება.

2. მიმართების აღქმა და მსჯელობა

მაგრამ მიმართება ხომ ზოგჯერ უშუალოდაც გვეძლევა: ჩვენ ვიცით, რომ მიმართების აღქმაც შეიძლება. მაშ, რაღა განსხ-

ვავება არსებობს მიმართების აღქმასა და მსჯელობას შორის? პასუხი ამ საკითხზე ძნელი არ იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ აღქმასა და აზროვნებას შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. აზროვნება მეორადი პროცესია: იგი აღქმას გულისხმობს, ამ უკანასკნელში მოცემული შინაარსის ხელახალ ასახვას, ცნობიერსა და აქტიურ ასახვას წარმოადგენს. როდესაც, მაგალითად, ორ ხაზს, როგორც თანასწორს, აღვიქვამთ, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ თანასწორობას ვადასტურებდეთ, ვამტკიცებდეთ. ამისთვის საჭიროა, აღქმული თანასწორობა ხელახლა დაკვირვების საგნად ვაქციოთ. ეს ორი ხაზი საგანგებოდ შევადაროთ ურთიერთს, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათ შორის მართლა თანასწორობის მიმართება არსებობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება უფლება მსჯელობის შესახებ ვილაპარაკოთ: აქტიური შედარების შედეგად ჩვენ ვრწმუნდებით, რომ მათ შორის დადასტურებული თანასწორობის მიმართება მართლა არსებობს.

მსჯელობისთვის სწორედ ეს გარემოებაა დამახასიათებელი, ეს დარწმუნებულობა გარკვეული მიმართების ფაქტიურობაში, მაშინ როდესაც აღქმის განცდაში საგანგებოდ არასდროს არ ისმება საკითხი, სწორია იგი თუ არა აღქმა თავისთავად, არსებითად, არასდროს წინასწარი დასმული საკითხის პასუხს არ წარმოადგენს, აზროვნებისთვის კი, როგორც ვიცით, სწორედ ესაა დამახასიათებელი; და გასაგებია, რომ ნამდვილი მსჯელობა, როგორც საკითხის პასუხი, ყოველთვის შეიცავს დარწმუნებულობის განცდას, რომ იგი სწორია, რომ მასში აღნიშნული მიმართება მართლა არსებობს.

ლოღიკურად მსჯელობის ობიექტური ჭეშმარიტება და დარწმუნებულობა ურთიერთს ემთხვევა: ლოღიკის თვალსაზრისით, დარწმუნებული მხოლოდ იმაში შეიძლება ვიყვეთ, რაც ობიექტურადაც ჭეშმარიტია. ამიტომ ლოღიკას მხოლოდ იმდენად აინტერესებს მსჯელობა, რამდენადაც იგი ჭეშმარიტების შემეცნების ფორმას წარმოადგენს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დარწმუნებულია სუბიექტი მსჯელობის სიმართლეში თუ არა: ლოღიკას მსჯელობის ობიექტური ჭეშმარიტება აინტერესებს; ხოლო როგორ განიცდის მას ესა თუ ის სუბიექტი,

ეს მისთვის აბსოლუტურად სულერთია.

სამაგიეროდ ფსიქოლოგიას სწორედ ეს უკანასკნელი აინტერესებს: მისთვის მთავარი მსჯელობის განცდაა და არა მისი შინაარსის მართებულობა. მსჯელობის განცდაში კი, როგორც ვნახეთ, მთავარი ისაა, რომ სუბიექტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ დადასტურებული მიმართება მართლა არსებობს, რომ მისი მსჯელობა ჭეშმარიტია.

მოკლედ, ლოღიკას მსჯელობის ობიექტური ჭეშმარიტება აინტერესებს. ფსიქოლოგიას - მისი სუბიექტური განცდა. ამიტომ მსჯელობის ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა დარწმუნებულობის პრობლემაა.

3. დარწმუნებულობის პრობლემა

დარწმუნებულობა, განსაზღვრული აზრით, არა მარტო მსჯელობასთანაა დაკავშირებული. იგი სხვა განცდათა შემთხვევებშიც ხშირად გვხვდება. შეიძლება ითქვას, იგი ჩვენი ფსიქიკის მუშაობის ერთი განსაკუთრებით ძირითადი ფაქტორთაგანია.

რასაკვირველია, აღქმაში საგანგებოდ, ცნობიერად ისე, როგორც ამას მსჯელობის შემთხვევაში აქვს ადგილი, დარწმუნებულობის განცდა, ჩვეულებრივ, არ გვეძლევა. აღქმაში რომ აქტუალურ სინამდვილეს განვიცდით, ეს თითქოს თავისთავად იგულისხმება: აქ სრულიად არ დგას საკითხი, მართლაა ეს ასე თუ არა. მაგრამ ფარულად რომ რაღაც სახით დარწმუნებულობა აღქმაშიც მონაწილეობს, ეს მყის ცხადი ხდება, რა წამს იგი რაიმე მიზეზის გამო დაზიანდება. არის შემთხვევები, რომ სუბიექტს ერთბაშად ყველაფერი ეუცხოება, არაფერი რეალურად არ ეჩვენება, მასსა და რეალურ სინამდვილეს შორის ჩვეულებრივი კონტაქტი ირღვევა: ჩნდება მდგომარეობა, რომელიც "სინამდვილის განთვისების" სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში ნამდვილი აღქმა აღარ არის: სუბიექტისთვის სინამდვილის განცდა უცხო ხდება, მას ყველაფერი არარეალურად ეჩვენება. მაშასადამე, ნამდვილს აღქმაში იმთავითვე ჩართული ყოფილა დარწმუნებულობის განცდა, და მის გარეშე სინამდვილის განც-

და შეუძლებელია.

მაგრამ დარწმუნებულობა არა მარტო აღქმის კონსტიტუტივ ფაქტორს წარმოადგენს: მის გარეშე არც რაიმე წარმოდგენა შეიძლება არსებობდეს. კერძოდ, უიმისოდ მოგონების ან ცნობის აქტიც შეუძლებელი იქნებოდა. როდესაც რასმე ვიგონებთ, ყოველთვის დარწმუნებული ვართ, რომ ეს სწორედ ისაა, რაც უნდა მოგვეგონებინა. უამისოდ მოგონების განცდა, როგორც მოგონების, ესე იგი, წარსულის რეპროდუქციის, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ მსჯელობის აქტებთანა და აღქმისა და მეხსიერების აქტებთან დაკავშირებული დარწმუნებულობის განცდა სულ ერთნაირად როდი გვეძლევა. საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივი აღქმისა თუ ჩვეულებრივი მოგონების პროცესში დარწმუნებულობის განცდა წინა რიგში არაა წამოწეული: იგი თითქოს შეუმჩნეველი რჩება, როგორც ისეთი რამ, რაც, ასე ვთქვათ, თავისთავადაც იგულისხმება: აქ იგი თითქოს ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ საკმარისია რაიმე დაბრკოლება გაჩნდეს, აღქმის თუ მოგონების პროცესი გაძნელდეს, რომ დარწმუნებულობის განცდა იმწამსვე ცნობიერების წინა პლანზე გამოვიდეს.

მაგალითად, მეხსიერების ცდებში ხშირად ყოფილა შენიშნული, რომ როდესაც ცდისპირი მტკიცედ დასწავლილი უაზრო მარცვლების რიგს მექანიკურად და სრულიად დაუბრკოლებლად იმეორებს, იგი არავითარ დარწმუნებულობას არ განიცდის იმაში, რომ იგი არ ცდება. მაგრამ საკმარისია რაიმე დაბრკოლება გაჩნდეს, მას ეჭვი დაებადოს, ან სათანადო კითხვა გაუჩნდეს, რომ მან უკვე მკაფიო დარწმუნებულობის განცდა იგრძნოს. "დარწმუნებულობის განცდები ყველა შესაძლო ხარისხით განსაკუთრებით მკვეთრად მაშინ იჩენენ ხოლმე თავს, როდესაც მათ ეჭვი, შემოწმება ან კითხვა უსწრებს წინ"-ო, ამბობს ბიულერი.

მსჯელობის შემთხვევაში კი ყოველთვის საკითხთან გვაქვს საქმე, ამოცანასთან, რომელსაც სწორედ მსჯელობის აქტმა უნდა გასცეს პასუხი: მსჯელობა ხომ აზროვნების ძირითადი ფორმაა, და აზროვნება ყოველთვის "გაკვირვებით", ყოველთვის საკითხის დაყენებით იწყება. აქედან ბუნებრივია, რომ ყველაზე უფრო

გამოკვეთილად დარწმუნებულობის განცდა მსჯელობის შემთხვევაში გვეძლევა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დარწმუნებულობა ორნაირად განიცდება: ა) თითქოს შეუმჩნევლად, ლატენტურად და ბ) თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად. პირველს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ფსიქიკური პროცესები - აღქმა იქნება, მოგონება თუ სხვა რამ - დაუბრკოლებლივ მიმდინარეობენ; მეორეს მაშინ, როდესაც დაბრკოლება ჩნდება, შეფერხება, კითხვა ან ეჭვი.

მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ უკვე აზროვნების პროცესთან გვაქვს საქმე: დაბრკოლება, საკითხი, ეჭვი აზროვნების სტიმულს წარმოადგენს.

როდესაც ცდისპირს საკითხი უჩნდება - მართლა აქტუალურად არსებობს ის, რასაც ახლა აღიქვამს, ან მართლა სწორად აგონდება ის, რაც უნდა მოეგონებინა თუ არა - ის უკვე აზროვნებას იწყებს, ის უკვე მსჯელობს: სწორია თუ არა მისი მოგონება? მართლა არსებობს ის, რასაც ხედავს თუ არა? მაშასადამე, გამოვლენილი დარწმუნებულობის განცდა მხოლოდ აზროვნების, მხოლოდ მსჯელობის აქტებთან არის დაკავშირებული; მაგრამ რამდენადაც იგი, ფარული სახით, აღქმასა და წარმოდგენის აუცილებელ ელემენტს შეადგენს, ირკვევა, რომ მსჯელობას არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ აქვს ფესვები თვალსაჩინო განცდაში გადგმული, არამედ იმ სპეციფიკური განცდის მხრივაც, რომელიც გამოვლენილი დარწმუნებულობის სახით სწორედ მისთვისაა სპეციფიკური.

რას ემყარება დარწმუნებულობა? სად უნდა ვეძიოთ მისი წყარო? იუმის აზრით, დარწმუნებულობის განცდა რაიმე სპეციფიკურ განცდას როდი წარმოადგენს: ისე, როგორც ყველაფერი ჩვენს ფსიქიკაში, ისიც წარმოდგენაა, გარკვეული თვისებებით აღბეჭდილი: როდესაც მოგონების პროცესში განსაკუთრებით ცხოველი და სრული წარმოდგენა გვიჩნდება, ესაა, რასაც მოგონების სისწორეში დარწმუნებულობის სახით განვიცდითო, გვეუბნება იუმი. ბიულერი წარმოდგენათა ანალოგიურ თვისებებს, მათს "მკაფიობასა და სისრულეს", "მათი რეპროდუქციის სისწრაფეს, სიმტკიცესა და უკლებლიობას", და მათ "ცნობის სიადვი-

ლეს“ თვითონ დარწმუნებულობის განცდად როდი თვლის, იუ-მის მსგავსად, არამედ მის “კრიტერიუმებად“. ეს იმას ნიშნავს, რომ დარწმუნებულობა, მისი აზრით, კერძოდ, მოგონე-ბის სისწორეში, ამ კრიტერიუმებს ეყრდნობა. სახელდობრ: როდესაც მკაფიო და სრული წარმოდგენები ჩნდება, როდესაც მათი რეპროდუქცია დაჟინებითა და სისწრაფით ხდება, მაშინ სუბი-ექტს რწმენა უჩნდება, რომ მისი მოგონება სწორია.

ორივე ამ შეხედულების შეცდომა ისაა, რომ იმას, რაც შე-საძლოა ნამდვილად მეორად პროცესს წარმოადგენდეს, ისინი პირველადად აცხადებენ: წარმოდგენების ესა თუ ის თვისებები, მათი სისრულე და სიცხოველე, შესაძლოა, წინ როდი უსწრებდეს დარწმუნებულობის განცდას, არამედ, პირიქით, პირველად ამ განცდის ნიადაგზე ყალიბდებოდეს.

არსებობს ექსპერიმენტული საბუთი, რომელიც სწორედ ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ვთქვათ, ცდისპირს რა-იმე უცნობ საგანს ვაძლევთ ხელთშეხებით გამოსაცნობად. რო-დესაც მას აზრად მოსდის, საგანი გამოვიცანიო, როდესაც რწმენა უჩნდება, ეს საგანი ესა და ეს უნდა იყოსო, მაშინ ზოგიერთი ნი-შანი ძალიან მკაფიოდ და სრულად ეჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნები ობიექტურად, შესაძლოა, სულ სხვანაირი იყოს. ესეც რომ არ იყოს, წარმოდგენის სიცხოველესა და სისრულეს, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ აქცევს ცდისპირი ყურადღებას, როდესაც მას ახსნას მოსთხოვენ, თუ რატომაა იგი თავისი მეხსი-ერების მუშაობის სისწორეში დარწმუნებული. როდესაც ის ხე-დავს, რომ ის მოგონება, რომლის სისწორეშიც დარწმუნებულია, უფრო მკაფიოა და უფრო ცხოველი, ვიდრე ის, რომელიც საეჭ-ვოდ მიაჩნია, იგი ფიქრობს, რომ სწორედ ეს თვისებები უნდა შე-ადგენდნენ მისი დარწმუნებულობის საფუძველს. ამრიგად, მისი თვითდაკვირვების მონაცემები ამ შემთხვევაში უფრო მის “თეო-რიას“ წარმოადგენენ, ვიდრე თვითონ ფაქტიურ მასალას. საგუ-ლისხმოა, რომ ყველა ცდა, რომელიც დარწმუნებულობის სა-კითხს ეხება, ზემოთ ჩვენ მიერ დახასიათებულს უშუალობის თეორიას ეყრდნობა. მართლაცდა, სუბიექტს დარწმუნებულო-ბის განცდა აქვს. რა უდევს მას საფუძვლად? ან რა განსაზღვრავს

ამ განცდას? პასუხი ასეთია: სუბიექტის სხვა განცდები, სახელ-დობრ, მისი წარმოდგენები და მათი მიმდინარეობის გარკვეული თავისებურებები: ერთ განცდას მეორე განცდა განსაზღვრავს.

უშუალობის თეორიის აქ გამოყენების ფაქტს განსაკუთრე-ბით ის სპეციფიკური სიძნელე ხდის გასაგებად, რომელიც დარწ-მუნებულობის პრობლემას ახლავს თან. მართლაცდა, რაშია ამ პრობლემის მთავარი სიძნელე? სუბიექტს გარკვეული მსჯელობა აქვს - მაშასადამე, გარკვეული ფსიქიკური ფაქტი, რომელშიც რწმენაა ჩაქსოვილი, რომ მისი შინაარსი ობიექტური ვითარების სწორ ასახვას წარმოადგენს. და აი, სიძნელეც სწორედ ამაშია: რა უფლებით ვართ ჩვენ ობიექტური ვითარების სუბიექტური ასახ-ვის სისწორეში დარწმუნებულნი, როდესაც თუ კი ვიცით ობიექ-ტური ვითარების შესახებ, ისევ მხოლოდ ამ სუბიექტური ასახ-ვის წყალობით ვიცით - მაშასადამე, მოკლებული ვართ შესაძ-ლებლობას ობიექტური ვითარება და მისი ასახვა ურთიერთს შე-ვადაროთ და, ვნახოთ, მართლა არის მათ შორის ის შესატყვისო-ბა, რომელიც მსჯელობაში მტკიცდება თუ არა. ეს რომ შესაძლე-ბელი ყოფილიყო, მაშინ ჩვენს დარწმუნებულობას მსჯელობის სისწორეში მართლა ექნებოდა საფუძველი. მაგრამ ეს ხომ შეუძ-ლებელია! მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვიჩნდება რწმენა, რომ ჩვენი მსჯელობა ობიექტური ვითარების სწორ ასახვას წარმოად-გენს. რა საბუთი აქვს ამ რწმენას, როდესაც, ვიმეორებთ, ობიექ-ტური ვითარების შესახებ იმის მეტი, რაც თვითონ მსჯელობაშია მოცემული, სრულიად არაფერი ვიცით?

ჩვენ ვხედავთ, აქ ჩვენი ფსიქიკისა და ობიექტური ვითარე-ბის სრული დამოუკიდებლობა, მათი ურთიერთისგან სრული მოწყვეტილობა იგულისხმება: მსჯელობა სუბიექტში ხდება, ობიექტური ვითარება მის გარეთაა; მაშინ საიდან შეიძლება დარწმუნებული იყოს სუბიექტი, რომ მისი მსჯელობა სწორად ასახავს იმას, რის შესახებაც მან არაფერი იცის? ერთადერთი გა-მოსავალი აქ შეიძლება მხოლოდ შემდეგი იყოს: ეს დარწმუნებუ-ლობა წმინდა ფსიქიკური წარმოშობის უნდა იყოს. მისი საფუძვ-ლები ისევ ფსიქიკაში უნდა ვეძიოთ, იმიტომ რომ თვითონ ობი-ექტურში ძებნა ჩვენთვის მიუწვდომელია და ჩვენს განკარგულე-

ბაში მხოლოდ ფსიქიკური რჩება.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უშუალობის თეორიის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ მისთვის სუბიექტი ფსიქიკასთანაა გაიგივებული. მაშასადამე, აზროვნების პროცესი მას ასე აქვს წარმოდგენილი: სუბიექტი, ე. ი. ფსიქიკა ობიექტურ ვითარებას უპირისპირდება, და ამის ნიადაგზე მასში, ფსიქიკაში, ერთგვარი პროცესი ჩნდება, რომელიც ამ ობიექტური ვითარების ასახვად მიგვაჩნია. მართალნი ვართ ამ შემთხვევაში თუ არა, ეს კაცმა არ იცის; ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ნიშნებით ვხელმძღვანელობთ, რომელსაც ფსიქიკაში აქვს ადგილი, და ჩვენს რწმენას ამაზე ვაგებთ.

მაშასადამე, გამოდის, რომ იმის საზომად ან მოწმედ, რომ განსაზღვრული სუბიექტური შინაარსი მართლა განსაზღვრულს ობიექტურ ვითარებას შეეფერება, მეორე სუბიექტური შინაარსია გამოყენებული, რომელსაც იმდენივე აქვს საერთო ობიექტურთან, რამდენიც პირველს.

ვიცით, რომ ნამდვილად სუბიექტისა და ობიექტური ვითარების ურთიერთობის პროცესი სხვაგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც ობიექტური ვითარება სუბიექტზე მოქმედებს, იგი, უწინარეს ყოვლისა, ამ უკანასკნელში, როგორც მთელში, იწვევს სათანადო ეფექტს - განწყობას, და არა ცალკეულს ფსიქიკურ აქტებსა და მოვლენებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ეფექტი ობიექტური ვითარების შესატყვის ასახვას წარმოადგენს: იგი, ასე ვთქვათ, ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანაა, სუბიექტის ობიექტური ვითარების შესატყვისად მომართვა, განწყობა. ამიტომ, გასაგებია, რომ სუბიექტის ფსიქიკის მუშაობა ამ ურთიერთობის პროცესში - შემეცნებითს პროცესში - შეიძლება მხოლოდ ამ განწყობაზე იქნეს დამოკიდებული, როგორც ასე განწყობილი სუბიექტის ფსიქიკის მუშაობა. ვთქვათ, რომ სუბიექტმა სწორედ ისე შესძლო თავისი ფსიქიკის წარმართვა, რომ მას სწორედ ამ თავისი განწყობის შესატყვისი აზრები უჩნდება. თუ მოვიგონებთ, რომ განწყობა ობიექტური ვითარების ასახვას, ასე ვთქვათ, სუბიექტში გადანაცვლებულს ობიექტურ ვითარებას წარმოადგენს, მაშინ ნათელი შეიქნება, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტს თავისი აზრების ობიექტური ვითარები-

სადმი შესატყვისობის განცდა უნდა გაუჩნდეს, სწორედ ის განცდა, რომელიც დარწმუნებულობის სახით ჩვენი მსჯელობის აქტებს ახლავს ხოლმე თან.

ახლა ჩვენთვის ცხადია, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ჩვენს მსჯელობებს მათი ობიექტური ვითარებისადმი შესატყვისობის განცდა უდევს საფუძვლად - მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურ ვითარებას პირველად მხოლოდ ამ მსჯელობებში ვხვდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შესაძლებლობას ის გარემოება ქმნის, რომ ობიექტთან ურთიერთობის პროცესში სუბიექტში, როგორც მთელში, ამ ობიექტის შესატყვისი ცვლილება - გარკვეული განწყობა - ჩნდება; და როდესაც ფსიქიკა ამ ცვლილებების შესატყვისად იწყებს მოქმედებას, სუბიექტი ამას ობიექტური ვითარებისადმი შესიტყვისობის სახით განიცდის. ასე ჩნდება დარწმუნებულობა: რომ ჩვენი მსჯელობა სწორია.

თუ რომ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ გასაგები გახდება ისიც, რომ ასეთსავე დარწმუნებულობას მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინო სახით ყველგან აქვს ადგილი, სადაც კი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, მაშასადამე, აღქმისა და წარმოდგენის შემთხვევებშიც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დებულება დარწმუნებულობის განცდის გენეზისის შესახებ ექსპერიმენტულადაც შეიძლება დასაბუთდეს. ცდისპირს რომ ჰიპნოტურ ძილში განწყობა შეუქმნა, იგი გაღვიძების შემდეგაც ამ განწყობის მიხედვით განაგრძობს მოქმედებას. მაშასადამე, პირდაპირი საბუთი არსებობს, ჰიპნოტური შთაგონების საფუძვლად განწყობა აღვიაროთ. მაგრამ ცნობილია, თუ რაოდენ მტკიცე დარწმუნებულობა ახლავს ჰიპნოტურ ძილში შთაგონებულ მსჯელობებს.

მაშასადამე, დარწმუნებულობის განცდა აქ უეჭველად სათანადო განწყობის ნიადაგზეა აღმოცენებული. ჩვენს ხელთ უდაო საბუთია, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დარწმუნებულობის განცდა სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაციის - განწყობის - ნიადაგზე აღმოცენდება.

ნამდვილი შემეცნების შესახებ არსებითად მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც მსჯელობას სინამდვილესთან პირადი

კონტაქტის ნიადაგზე აღმოცენებული დარწმუნებულობის განცდა ახლავს თან, სადაც ამ განცდას საფუძვლად ობიექტური ვითარების ამსახველი განწყობა უდევს. მაგრამ განწყობა შეიძლება შთაგონებულიც იყოს. შეიძლება ესა თუ ის დებულება ჭეშმარიტებად მომეჩვენოს, იმიტომ რომ იგი ავტორიტეტს ეკუთვნის, ან იმიტომ, რომ იგი რაიმე მოსაზრებით ხელსაყრელია ჩემთვის, იმიტომ რომ მისი შინაარსი ჩემს იდუმალ ზრახვებსა და სურვილებს ეთანხმება: შეიძლება ამ მიზეზების გამო მისი შესატყვისი განწყობა და, მაშასადამე, სათანადო დარწმუნებულობა გამიჩნდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნამდვილი შემეცნების შესახებ ლაპარაკი, რასაკვირველია, დაუსაბუთებელი იქნებოდა.

გ. დასკვნა

1. დასკვნა

ცნებითი აზროვნების მესამე ფორმად, ჩვეულებრივ, დასკვნას თვლიან. მაგრამ დასკვნა არსებითად იგივე მსჯელობაა, იმიტომ რომ საკითხი აქაც სუბიექტსა და პრედიკატს შორის არსებული მიმართების დადასტურებას ეხება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩვეულებრივი მსჯელობის შემთხვევაში ჩვენ თვითონ სინამდვილესთან გვაქვს საქმე და ამა თუ იმ აზრს მის შესახებ მხოლოდ მისი უშუალო შესწავლის შედეგად ვღებულობთ; ხოლო დასკვნის შემთხვევაში თვითონ სინამდვილეს როდი ვეყრდნობით უშუალოდ, არამედ იმ მსჯელობებს (ე. წ. წინამძღვრებს), რომელნიც სინამდვილის სხვა მომენტების შესახებ გვაქვს დაგროვილი, და ჩვენი მსჯელობა (ე. წ. დანასკვი) აქედან გამოგვყავს: უკვე ცნობილი მსჯელობიდან ახალ მსჯელობას ვღებულობთ. მაგალითად: საკმარისია იცოდე, რომ ადამიანი მოკვდავია, რათა იმწამსვე დაასკვნა, რომ სოკრატიც მოკვდება. სრულიად არაა საჭირო, საგანგებოდ თვითონ სოკრატს დააკვირდე, რათა მისი და მოკვდაობის ურთიერთმიმართება გამოარკვიო. ეს მიმართება სოკრატის უნახავადაც შეგიძლია აღმოაჩინო, თუ იცი, რომ ადამიანი მოკვდავია, ხოლო სოკრატი ადამიანია.

ლოღიკაში დიდი ხანია ცნობილია, რომ დასკვნა სამგვარი შეიძლება იყოს: 1) დედუქცია, ესე იგი, ზოგადი დებულებიდან (ყოველი ადამიანი მოკვდავია) კერძო დებულების (სოკრატი მოკვდება) გამოყვანა; 2) ინდუქცია - კერძო დებულებიდან ზოგადის გამოყვანა, კერძო შემთხვევის განზოგადება (მაგალითად, სითბოსგან სხვადასხვა სხეული ფართოვდება. მაშასადამე, სითბოსგან ყოველი სხეული ფართოვდება) და დასასრულ, 3) ანალოგია - ერთი კერძო შემთხვევიდან მეორე მსგავსი კერძო შემთხვევის შესახებ მსჯელობის გამოყვანა (მაგალითად, დედამიწაზე ჰაერია და ადამიანები ცხოვრობენ. მარსზეც არის ჰაერი. მაშ, იქაც უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები).

დასკვნის შემეცნებითი ღირებულება ძალიან დიდია: იგი შესაძლებლობას აძლევს ადამიანს არა მარტო ის იცოდეს, რასაც თვითონ დაკვირვებია და რის შესახებაც სათანადო მსჯელობები გამოუთქვამს, არამედ ისიც, რაც უშუალო შესწავლის საგნად არასდროს არ გაუხდია. დასკვნის გარეშე ჩვენი ცოდნა ჩვენი უშუალო მსჯელობების რკალით იქნებოდა შეზღუდული. დასკვნის წყალობით იგი შორს სცილდება მის ფარგლებს. ცოდნის სისტემა მხოლოდ დასკვნის წყალობით ყალიბდება. მაგრამ არც დასკვნა იქნებოდა შესაძლებელი, თვითონ სინამდვილეც რომ მიმართებათა სისტემა არ ყოფილიყო.

2. დასკვნის პროცესი

დასკვნის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ რამდენიმე ფუნდამენტალური ექსპერიმენტული გამოკვლევა არსებობს (განსაკუთრებით შტერინგის და ლინდვორსკის), რომელიც აზროვნების ამ ფორმის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გასათვალისწინებლად საგულისხმო მასალას იძლევა.

პირველ რიგში გამოირკვა, რომ დასკვნა ისე, როგორც ცნებითი აზროვნების სხვა ფორმებიც, მჭიდროდ არის თვალსაჩინო განცდებთან დაკავშირებული: ეყრდნობა მათ - ყოველ შემთხვევაში ფართოდ სარგებლობს ამ განცდებით. მაგალითად, როდესაც ცდისპირს, რაიმე ობიექტების ცნობილი სივრცითი, თუ

დროითი ურთიერთმიმართების ნიადაგზე, დასკვნა აქვს გამოსაყვანი (მაგალითად, ასეთი: A მოთავსებულია B-ს მარცხნივ, ხოლო C - B-ს მარჯვნივ. რა სივრცითს ურთიერთობაში იმყოფება A C-ს მიმართ?), იგი, ჩვეულებრივ, ერთგვარს ზოგად წარმოდგენას ქმნის, რომელშიც სქემატურად არის A, B, C-ს სივრცეში განლაგება მოცემული. ამის შემდეგ საკმარისი ხდება ამ სქემას გადაავლოს თვალი, რომ ამოცანის პასუხი პირდაპირ იქედან ამოიკითხოს. საგულისხმოა, რომ ამ მეთოდის გამოყენება არა მარტო სივრცითი და დროითი მიმართებების შემთხვევებში ხერხდება, არამედ სხვა თვალსაჩინო და ზოგიერთი არათვალსაჩინო ნიშნის მიმართებათა შემთხვევაშიც. ადვილად შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ასეთ შემთხვევაში არც კი გვაქვს საქმე ნამდვილი აზროვნების აქტთან და რომ აქ დასკვნა კი არა, ორ ობიექტს შორის არსებული მიმართების უბრალო აღქმა ხდება. მაგრამ ეს სწორი არ იქნებოდა: ჯერ-ერთი, თვითონ სათანადო სქემის შედგენა გულისხმობს აზროვნების უეჭველ მონაწილეობას, სახელდობრ, სწორი კომბინაციის აქტებს, რომლებმაც სქემაში მოცემული ელემენტების სწორი განაწილება უნდა მოგვცენ. გარდა ამისა, არც ამოკითხვა წარმოადგენს მარტო აღქმას: იგი სიტყვებში ფორმულირებული მსჯელობების სახით გვეძლევა: A მოთავსებულია C-ს მარცხნივ.

საერთოდ, თვალსაჩინო სქემები და სიმბოლოები, რომელთა მონაწილეობაც დასკვნის პროცესში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა აღმოჩნდა, კი არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, ადასტურებენ აზროვნების მონაწილეობას ამ პროცესში: ისინი აზრის ილუსტრაციის ან წარმომადგენლობის როლს ასრულებენ და, მაშასადამე, ყოველთვის ამ აზრის მონაწილეობას გულისხმობენ. უამაზროდ სქემებსა და სიმბოლოებს გარკვეული მნიშვნელობა დაეკარგებოდათ, იმიტომ რომ მაშინ ისინი სხვა შინაარსების სიმბოლოებადაც გამოდგებოდნენ. მაგალითად, სქემა A - B - C შეიძლება არა მარტო A - C-ს სივრცითი მიმართების სიმბოლოდ ჩაითვალოს, არამედ მათი თანამიმდევრობის, ანდა A და CB-სგან ერთნაირი დაშორებულობის სიმბოლოდ.

გარდა თვალსაჩინო სქემებისა, დასკვნის აქტი განსაკუთ-

რებით ხშირად რაიმე კანონის ან წესის გამოყენებას ეყრდნობა. მაგალითად, A=B, B=C; რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ვინც იცის წესი, რომ ორი სიდიდე ყოველთვის ტოლია ურთიერთის, თუ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ერთისადაიმავე მესამე სიდიდის ტოლია, იგი პირდაპირ ამ წესის დახმარებით აღნიშნავს, რომ A=C. აღმოჩნდა, რომ ასეთი ზოგადი აზრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასკვნის კონკრეტულ შემთხვევებში.

მაგრამ როგორც თვალსაჩინო სქემებზე დაყრდნობილი დასკვნა, ისე ზოგადი დებულების მიხედვით წარმართულიც, მხოლოდ იმდენად წარმოადგენს ნამდვილ დასკვნას, რამდენადაც მასში ახალი მიმართების აზროვნებაა მოცემული. დასკვნის ექსპერიმენტული კვლევის ძირითად მონაპოვარს სწორედ ეს შეადგენს: დასკვნის ნამდვილ ბირთვს მიმართების განცდა წარმოადგენს მოცემული წინამძღვრების გააზრების ნიადაგზე დანასკვის სუბიექტსა და პრედიკატს შორის არსებული მიმართების წვდომა.

ნამდვილი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც წინამძღვრებსა და დანასკვს შორის აუცილებლობითს კავშირს ვხედავთ, როდესაც აზროვნების ახალი აქტის საშუალებით ამ კავშირის არსებობას ვწვდებით. "იმისთვის, რომ დასკვნა გაჩნდეს, საჭიროა სუბიექტმა დასკვნის შინაარსი წინამძღვრებისას შეუფარდოს, და მის ცნობიერებაში მათ შორის არსებული ობიექტური კავშირი აისახოს. სანამ წინამძღვრებისა და დასკვნის შინაარსები ცნობიერებაში ურთიერთის გვერდითაა მოცემული... მანამდე დასკვნა არ არსებობს. დასკვნითი აზროვნების განვითარება იმას ნიშნავს, რომ ობიექტური სინამდვილის შინაარსი აღარ წარმოადგენს სუბიექტისთვის ცალკეული ელემენტების ურთიერთის გვერდით მდებარეობას, რომ მათ შორის კავშირი აღმოჩნდა და რომ ისინი ურთიერთში ყოფილან ჩართულნი (Рубинштейн).

აზროვნების განვითარება ონტოგენეზში

აზროვნების ონტოგენეტური განვითარება ბავშვის ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უდიდესსა და უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს რასაკვირველია, ჩვენ აქ ამ პრობლემის სრული მოცულობით განხილვას მიზნად ვერ დავისახავთ. ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში ეს არცაა საჭირო. აქ აზროვნების ონტოგენეტური განვითარების შესწავლას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი აზროვნების ზოგად-ფსიქოლოგიური ძირითადი პრობლემების გაშუქებას უწყობს ხელს. ამიტომ აზროვნების ონტოგენეზის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შევეხებით, განსაკუთრებით კი საკითხს, რომელსაც აზროვნების განვითარების ისტორიაში უსათუოდ ცენტრალური ადგილი ეკუთვნის. საკითხს შემეცნებითი ინტერესისა და ამ უკანასკნელის ნიადაგზე ცნებითი აზროვნების განვითარების შესახებ.

1. აზროვნების განვითარების პირობები ფილოგენეზსა და ონტოგენეზში

როდესაც ბავშვის აზროვნების განვითარებას ვიკვლევთ, ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც აზროვნების ონტოგენეტური და ფილოგენეტური განვითარების პირობებს შორის არსებობს. ფილოგენეტური განვითარების ხაზზე აზროვნების სტიმულს, ძირითადში, ყოველთვის ის მოთხოვნილებები შეადგენდნენ, რომელთა დაკმაყოფილებასაც, არსებითად, მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ. აზროვნება აქ სერიოზული საქმიანობის, მომსახურებისა და განსაკუთრებით შრომის ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა. რაც შეეხება ონტოგენეზს, განსაკუთრებით ბავშვობის ასაკის ფარგლებში, აქ არსებითად განსხვავებულ მდგომარეობას აქვს ადგილი. ბავშვობის ასაკი ადამიანის სიცოცხლის სწორედ იმ პერიოდს ეწოდება, რომელშიც თავისი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე თვითონ მას - ადამიანს - როდი უხდება ზრუნვა, არამედ სხვებს,

მის აღმზრდელებს, მოზრდილებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოზარდი უკვე იძულებული ხდება თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა შესახებ თვითონ დაიწყოს ზრუნვა, მას შემდეგ, რაც იგი ამ ნიადაგზე აღმოცენებული ამოცანების გადაწყვეტას საკუთარი ძალღონით იწყებს, იგი უკვე ბავშვად აღარ ჩაითვლება.

ამიტომ აზროვნების განვითარების იმპულსს ბავშვობის პერიოდში სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროება როდი იძლევა, როგორც ამას ფილოგენეზში აქვს ადგილი, არამედ სხვა კატეგორიის მოთხოვნილებათა, სახელდობრ, განვითარების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროება: ბავშვის აზროვნების განვითარება ძირითადად თამაშისა და სწავლის ნიადაგზე ყალიბდება. ამ გარემოების გათვალისწინებას არა მარტო დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ შეიძლება კიდევ უფრო მეტი პრაქტიკულიც: აზროვნების აღზრდის პროცესში იმის ცოდნას, თუ საიდან მომდინარეობს ბავშვის აზროვნების იმპულსები, უდაოდ ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს.

2. ინტელექტუალური ინტერესის განვითარების ძირითადი პერიოდები

რას აქცევს უმთავრესად ყურადღებას ბავშვი თავისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში? რა აინტერესებს მას? ამის შესწავლა განსაკუთრებით იმ კითხვების ანალიზის ნიადაგზე შეიძლება, რომელსაც ბავშვი თავისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში იძლევა. სხვადასხვა ავტორის ამ მიმართულებით წარმოებულ გამოკვლევათა შედეგად, დღეს დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბავშვის ინტერესის განვითარების ძირითადი ეტაპები არსებითად იგივეა, რაც ბინესა და შტერნს ჰქონდათ აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ შემთხვევაში სულ სხვა მეთოდით სარგებლობდნენ. ორივე შედარებით მარტივი სურათის აღწერას ავალებდა თავის ცდისპირებს და ამ გზით დაგროვილი მასალის ანალიზის შედეგად დაახლოებით ერთნაირ დასკვნამდე მივიდნენ.

ბინეს მიხედვით, ბავშვის ინტერესის განვითარების მსვლელობაში სამი პერიოდი უნდა იქნეს ურთიერთისგან გამოყოფილი, სახელდობრ, ჩამოთვლის, აღწერისა და ინტერპრეტაციის პერიოდი.

პირველი პერიოდი, რომელიც სკოლის წინარე ასაკში გვხვდება, იმით ხასიათდება, რომ ბავშვი ცალკეული ობიექტების ჩამოთვლით კმაყოფილდება. როგორც ჩანს, მას ჯერ მხოლოდ ცალკეულ საგანთა შემჩნევა და დასახელება, ცალკეულ მოვლენათა ობიექტივაცია აინტერესებს.

სასკოლო ასაკში, შვიდი წლიდან, ბავშვი უბრალო ჩამოთვლით აღარ კმაყოფილდება: მას უკვე თითოეული ობიექტისა და მთელი სიტუაციის ზუსტი აღწერა აინტერესებს.

მაგრამ რას ნიშნავს აღწერის ინტერესი? უეჭველია, იგი პირველ რიგში სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ინდივიდუალობის, მათი სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინების ინტერესს ნიშნავს. მაგრამ საგანთა და მოვლენათა თავისებურების წვდომა მათს ურთიერთშედარებასაც გულისხმობს, ამის შედეგად, მოცემული სინამდვილის შინაარსში, მსგავს და განსხვავებულ მოვლენათა დადგენას და, მაშასადამე, აქამდე თითქოს უწესრიგოდ მიმდინარე სინამდვილეში სისტემისა და წესრიგის აღმოჩენის განზრახვას. როგორც ვხედავთ, აღწერის ამოცანა კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ამოცანებთანაა დაკავშირებული, და, საბოლოოდ, თავისებური აზროვნების მონაწილეობას თხოულობს, სახელდობრ, კონკრეტული. გრძნობადი შინაარსის აზროვნების მონაწილეობას.

რაც შეეხება არაგრძნობადს, არათვალსაჩინო მასალას, ამისი ინტერესი შემდგომი პერიოდის საქმეა. აქ საქმე იმით იწყება, რომ ბავშვს თვითონ საგნები და მოვლენები როდი აინტერესებს თავისთავად, არამედ მათი კავშირები. მათი ურთიერთმიმართება: ახსნა ანუ ინტერპრეტაცია იმისა, რაც მის თვალწინ ხდება და რისი აღწერაც ეგოდენ იტაცებდა მას განვითარების წინა საფეხურზე. ბინეს მიხედვით, მიმართებათა წვდომის ინტერესი 12 წლისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, ბობერტაგის დაკვირვებით, იგი არც ცხრა წლის ბავშვისთვისაა უცხო. ოღონდ ამისთვის

ერთგვარი სტიმულაციაა გარედან საჭირო: მაგალითად, როდესაც 9 წლის ბავშვს სათანადო კითხვებს აძლევ, იგი მიმართებებსაც აქცევს ყურადღებას და მათ შესახებ ანგარიშის მოცემას ცდილობს. უეჭველია, კონკრეტული, ხატოვანი აზროვნება ამ შემთხვევაში საკმარისი აღარაა: აქ უკვე განყენებული აზროვნების საჭიროება ჩნდება.

ამრიგად, ბავშვის ინტელექტუალური ინტერესი სამს ძირითად პერიოდს შეიცავს: პირველი საგნობრივი მოცემულობის ფარგლებით განისაზღვრება: ბავშვს მოცემული საგნების რაც შეიძლება სრული ჩამოთვლა აინტერესებს. მეორე პერიოდში საქმე უფრო აღწერას ეხება: ბავშვის ინტერესს სინამდვილის ფენომენალური მოცემულობა უფრო იტაცებს, ვიდრე სხვა რამ. დასასრულ, მესამე პერიოდში ინტერესი უმთავრესად უკვე იმ ფარული ძაფებისკენ, იმ კავშირებისკენ მიიმართება, რომელიც სინამდვილის ცალკეულ მოვლენათა შორის არსებობს.

3. ცნებითი აზროვნების განვითარება

ძალიან საინტერესოა, რომ ცნებითი აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები სწორედ შემეცნებითი ინტერესის ამ პერიოდთა თავისებურებებს შეესატყვისებიან. ისე როგორც იქ, განვითარების პროცესი აქაც სამ საფეხურს განვლის, რომელთაგანაც პირველი სკოლის წინარე ასაკისთვისაა დამახასიათებელი, მეორე - დაწყებითი სკოლისა და მესამე - საშუალო სკოლის პერიოდისთვის.

როგორც ვხედავთ, ინტელექტუალური ინტერესი და ინტელექტუალური შეიარაღებულობა მჭიდროდ არიან ურთიერთთან დაკავშირებული: ბავშვს არა მარტო გარკვეული ინტერესი აქვს, მას აქვს აგრეთვე უნარიც ამ ინტერესის დაკმაყოფილებისა.

სკოლის წინარე ასაკის ბავშვის შემეცნებითი ინტერესი, როგორც ვიცით, დადასტურებითი ხასიათისაა: რაც ირგვლივ ხდება - მისს შედარებით ვიწრო გარემოში - მას ყველაფრის ამის შემჩნევა, ყველაფრის ამის დადასტურება სწადია. თვითონ ბუნება ამ მოვლენათა, ურთიერთკავშირი, რომელიც ამ მოვლენათა

შორის არსებობს, მას ჯერ კიდევ არა აქვს მთავარი ინტერესის საგნად გადაქცეული.

ვნახოთ, როგორია მისი აზროვნება! როგორც ცნობილია, ბავშვი საკმაოდ ადრე იწყებს აზროვნებას. კ. ბიულერმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ აზროვნების ელემენტები უკვე პირველი წლის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში გვხვდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ე.წ. პრაქტიკული ინტელექტის გამოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენ კი უფრო აზროვნების ის ფორმა გვაინტერესებს, რომელიც სიტყვასთანაა დაკავშირებული და თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე ცნებითი აზროვნების დასრულებულ ფორმებში გადადის.

ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილი ცნების შესადგენად საგანთა თუ მოვლენათა მსგავსების შემჩნევაა საჭირო, მათი საერთო ნიშნების გამოყოფა, სიტყვის საშუალებით მათი ფიქსაცია და ახალ საგნებზე გავრცელება; მოკლედ, საჭიროა კლასიფიკაციის უნარი, აბსტრაქციის, სახელდებისა და განზოგადების.

რაც შეეხება არსებითი ნიშნის მონახვის უნარს, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ შემეცნების განვითარების რამდენად მაღალ დონეზე დგას სუბიექტი. ყოველ შემთხვევაში, სწორად იქნება არსებითი ნიშანი მონახული თუ არა, ზემოთ აღნიშნული ოპერაციები, სულერთია, ორივე შემთხვევაში აუცილებელია. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ როდის ეუფლება ბავშვი ამ ოპერაციებს.

ამ საკითხის გამოსარკვევად შემდეგი ხერხი იყო გამოყენებული: ბავშვს აძლევენ სხვადასხვა ფერისა და ფორმის, სხვადასხვა სიდიდის მუყაოს ფიგურას და ავალებენ ყველა ეს ფიგურა სხვადასხვა ჯგუფად გაჰყოს. თითოეულ ჯგუფს რაიმე სახელი ეძლევა (მაგალითად, დიდს მრგვალ ფერად ფიგურებს "ედეზა"). სწარმოებს საუბარი ამ სახელის გამოყენებით, მაგალითად, "რამდენი ედეზაა კიდევ მაგიდაზე?" "მომეცი ორი ედეზა". ცდისპირს უჩვენებენ რაიმე ახალ საგანს, რომელსაც იგივე ნიშნები აქვს, რაც ახალ ცნებებში იგულისხმება, მაგალითად, რაიმე მოზრდილს მრგვალ ობიექტს. ბავშვმა ისიც "ედეზად" უნდა სცნოს: მოახდინოს განზოგადება. ბოლოს, მას ახალი ცნების გან-

საზღვრა ევალება.

როგორც ვხედავთ, მეთოდი კლასიფიკაციის, აბსტრაქციის, სახელდების, განზოგადებისა და დეფინიციის ოპერაციების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ოპერაცია აქ სრულიად თვალსაჩინო მასალაზე მოწმდება: სააბსტრაქციო ნიშნები ყველა გრძნობადი შინაარსისაა (ფერი, ფორმა, სიდიდე). მაშასადამე, თუ ვინიცობაა, რომელიმე აღნიშნულმა ოპერაციამ რომელიმე ასაკობრივ საფეხურზე თავი არ იჩინა, ეს მასალის სიძნელეს ვერ მიეწერება.

რა შეიძლება ითქვას სკოლის წინარე ასაკის ბავშვის აზროვნების შესახებ? ერთი, რაც ამთავითვე უნდა იქნეს აღნიშნული, ეს ისაა, რომ სკოლის წინარე ასაკის ბავშვს ჩვენი სიტყვები კარგად ესმის და მათ, საჭიროებისდა მიხედვით, თვითონაც ხმარობს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთიდაიმავე სიტყვის მნიშვნელობა დიდსა და პატარას ერთნაირი როდი აქვთ: თუ ჩვენთვის სიტყვის მნიშვნელობას ცნება წარმოადგენს, ბავშვისთვის იგივე სიტყვა ამავე ცნებას კი არა, რაღაც თავისებურ შინაარსს შეიცავს, რაც ცნების როლს ასრულებს და, მაშასადამე, მის ფუნქციონალურ ეკვივალენტად უნდა ჩაითვალოს.

ცნებითი აზროვნების განვითარების შესწავლის ამოცანა, ამისდა მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ გამორკვეული იქნეს, თუ როგორ იცვლება განვითარების პროცესში ცნების ეს ფუნქციონალური ეკვივალენტი.

სკოლის წინარე ასაკის აზროვნების გასაცნობად საკმარისი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რას წარმოადგენს ამ მხრივ დასაწყისი წლები (3 წელი) და ბოლო წლები (7 წელი).

სამი წლის ბავშვების დიდი უმრავლესობა მარტო ერთი ნიშნის (მაგალითად, ფერის) მიხედვით აჯგუფებს საექსპერიმენტო მასალას. სხვა ნიშნებს იგი მხედველობის გარეთ სტოვებს. როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა მის წინაშე მდებარე ობიექტში ნიშანთა სიმრავლე დაადასტუროს. მისი აღქმა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ დიფუზიურია, ჯერ კიდევ გაუნაწევრებელ მთლიანობითია, ჯერ კიდევ, როგორც იტყოდა კლაპარედი, სინკრეტულია.

აქედან გასაგები ხდება, რომ სამწლიანი ბავშვების უმრავლესობა ცდებში აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას ვერ ახერხებს. ამისდა შესაბამისად, იქ, სადაც ბავშვი ახალი სიტყვის გაგებასა და გამოყენებს ეუფლება, ირკვევა, რომ მის მნიშვნელობად იგი მთლიანს, გაუნაწევრებელს, სინკრეტულ ხატს გულისხმობს და არა ნიშანთა კრებულს. ამიტომაც ამ ახალი სიტყვების გამოყენებას ახალი საგნების მიმართ, ახალი "ცნების" განზოგადებას, სამწლიანი, ჩვეულებრივ, ვერ ახერხებს; და ახალი "ცნების" დეფინიციის ამოცანა ხომ სრულიად ხელმიუწვდომელია მისთვის: ნაცვლად იმ ნიშნების დასახელებისა, რომელთა საობიექტივაციოდაც არის ცდებში სიტყვა განზრახული, ბავშვი თვითონ ფიგურებს ასახელებს: "ედეზა ასეთია"-ო, ამბობს იგი.

აქედან შეგვიძლია ასე დავასკვნათ. სამწლიანი ბავშვი ჯერ კიდევ დიფუზიური, სინკრეტული სახეებით აზროვნებს. იგი ვერ ხედავს მთელში ცალ-ცალკე ნაწილობრივ შინაარსებს, დამოკიდებულ მომენტებს. ნიშნის იდეა მისთვის სრულიად უცხოა და აბსტრაქცია მაშასადამე, მიუწვდომელია. მისი სიტყვების მნიშვნელობა ცალკეული საგნების დიფუზიური წარმოდგენაა. ასეთია მისი "ცნება"; ეს არის, რაც მის აზროვნებაში ცნების ფუნქციებს ასრულებს. ადვილი გასაგებია, რომ ამ ფუნქციების წრე უაღრესად განსაზღვრულია.

სამწლიანის მსჯელობისა და დასკვნის თავისებურებები სავსებით მისი "ცნების" თავისებურებებს ეყრდნობა. მაგალითად, ცნობილია, რომ ამ ასაკის ბავშვს არც ნამდვილი ინდუქცია აქვს და არც ნამდვილი დედუქცია. შტერნისა და პიაჟეს დაკვირვებით, მას მხოლოდ ანალოგიით დასკვნის ძალა შესწევს, იმიტომ რომ იგი მხოლოდ მთლიანი, გაუნაწვერებელი ხატებით აზროვნებს. სულ სხვა სურათს წარმოადგენს შვიდწლიანის აზროვნება. ცდების შედეგი არავითარ ეჭვს არ სტოვებს იმაში, რომ უკვე სკოლის წინარე ასაკის მიმდინარეობაში ეუფლება ბავშვი ყველა იმ ოპერაციას, რომელიც ცდებში მიწოდებული ამოცანების გადასაწყვეტადაა საჭირო: შვიდწლიანი საერთოდ სწორად ახერხებს მიწოდებულ ფიგურათა დაჯგუფებას; როდესაც იგი ანგარიშს იძლევა, თუ რატომ ათავსებს ამა თუ იმ ფიგურას სწორედ

ამ გარკვეულ ჯგუფში, ნათლად ჩანს, რომ მას ფიგურის მთლიანი, სინკრეტული ხატი კი აღარ აქვს მხედველობაში, არამედ გარკვეული ნიშნები, რომელიც ფიგურალურად სრულიად განსხვავებულ ობიექტებშიც გვხვდება. შვიდწლიანების უმრავლესობა გარკვევით ახერხებს თვალსაჩინო ნაწილობრივი შინაარსების გამოყოფას, მათს აბსტრაქციას და, ამასთან ერთად, სიტყვის საშუალებით, მათ ფიქსაციას. სიტყვის მნიშვნელობად შვიდწლიანი გარკვევით ამ აბსტრაჰირებული მომენტების ერთობლიობას გულისხმობს. ეს ნათლად ჩანს დეფინიციებიდან, რომელთაც იგი იძლევა: როგორც წესი, შვიდწლიანის დეფინიციაში ყველა იმ ნიშანს ვხვდებით, რომელიც სიტყვის მნიშვნელობადაა ნაგულისხმევი. ოღონდ ეს ნიშნები ჯერ მხოლოდ მექანიკურად არიან შეერთებული: მათი ნამდვილი სინთეტური გამთლიანება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ამისდა მიხედვით, ეჭვი არაა, შვიდწლიანი ბავშვი უკვე დაუფლებულია - ოღონდ თვალსაჩინო მასალაზე - ყველა იმ ძირითად ოპერაციას, რომელიც ცნების შესადგენადაა საჭირო: მის წინაშე მდგომი საგნები მას ნაწილობრივი შინაარსების, როგორც ნიშნების, მიხედვით შეუძლია ურთიერთს შეადაროს, აბსტრაქცია მოახდინოს ამ ნიშნების, ასე თუ ისე გააერთიანოს ისინი სიტყვის მნიშვნელობის სახით და ასე შემუშავებული ახალი "ცნება" არა მარტო სწორად გამოიყენოს, არამედ სწორადაც განსაზღვროს. მართალია, ყოველს შვიდწლიან ბავშვს ყველაფერი ეს არ შეუძლია. მაგრამ საერთოდ ამ ასაკში აზროვნების ეს საფეხური მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვიდწლიანი ბავშვის სიტყვაში ნამდვილი ცნება იგულისხმებოდეს. არა, ამისთვის ზოგიერთი პირობა კიდევაა საჭირო, რომლის შესრულებაც ჯერ კიდევ აღემატება მის ძალებს.

საქმე ისაა, რომ ზემოთ აღნიშნული ცდების მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობაში, როგორც ჩანს, ჯერ მხოლოდ ფიგურათა ჯგუფის საერთო ნიშნები შედის. მაგრამ უდაოა, რომ ნამდვილი ცნების შინაარსი მარტო ზოგადობის პრინციპით ვერ განისაზღვრება: არის მთელი რიგი ზოგადი ნიშნებისა, რომელთაც

არაფერი აქვს საერთო არსებითთან, და ამიტომ შესატყვისი შემეცნებითი ღირებულება არა აქვთ. ნამდვილი ცნება არსებითს ნიშნებს შეიცავს. ამიტომ იმის გადასაწყვეტად, ნამდვილ ცნებასთან გვაქვს საქმე შვიდწლიანის აზროვნების შემთხვევაში, თუ აქაც მხოლოდ მის თავისებურ ეკვივალენტთან, უნდა გამოირკვეს, რა შემეცნებითი ღირებულება აქვთ იმ ნიშნებს, რომელნიც შვიდწლიანი ბავშვის ცნების შინაარსს შეადგენენ. ზემოაღნიშნული ცდები ამის შესაძლებლობას არ იძლევა. სამაგიეროდ, ჩვენს განკარგულებაში რ. ნათაძის საფუძვლიანი ექსპერიმენტული გამოკვლევაა, რომელიც სწორედ ამ თვალსაზრისით სწავლობს ცნების განვითარებას ბავშვობის ასაკში.

თანახმად ამ გამოკვლევის შედეგებისა, უეჭველი ხდება, რომ შვიდწლიანი ბავშვის ცნება მხოლოდ ზოგად ნიშნებს შეიცავს, რომ ამ ასაკის ბავშვი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა იმ დონემდე, რომ ზოგად ნიშნებს შორის მეტ-ნაკლები შემეცნებითი ღირებულების მქონე ნიშნების ძებნა დაიწყოს. მაშასადამე, მისი ცნება ისეთ წარმონაქმნად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მოცემული ობიექტების ჯერ მხოლოდ ზოგადი სახე ან უკეთ ზოგადი ხატი აინტერესებს და არა მათი არსი, მათი ადგილი სამყაროში.

თუ გავიხსენებთ, რომ შვიდწლიანის ცნების შინაარსში ჩვენი ცდების მიხედვით მხოლოდ თვალსაჩინო ნიშნები (ფერი, ფორმა, სიდიდე) შედის, მაშინ ნათელი შეიქნება, რომ შვიდწლიანი ბავშვი ყველა ზემოაღნიშნულ ოპერაციას ე.წ. ზოგადი წარმოდგენის შესადგენად ხმარობს. ცნების როლს მისთვის ეს ზოგადი წარმოდგენა ასრულებს.

არ უნდა თქმა, ამ უკანასკნელს გაცილებით მეტი სააზროვნო ფუნქციის შესრულება შეუძლია, ვიდრე სამწლიანი ბავშვის სინკრეტულ წარმოდგენებს, ხოლო დასრულებული ცნების მაგიერობას იგი მაინც ვერ სწევს. მაგრამ ეს არც ესაჭიროება მას. საქმე ისაა, რომ წინამდებარე ასაკის ბავშვს, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, მხოლოდ შემჩნევა, მხოლოდ აღნიშვნა, მხოლოდ ჩამოთვლა აინტერესებს იმისა, რასაც ირგვლივ ხედავს. ამისთვის კი, რასაკვირველია, არა თუ არსებითი ნიშნების მონახვა არაა საჭირო, არამედ არც სპეციფიკური ნიშნებისა: წარ-

მოდგენა, მეტად იქნება იგი განაწევრებული თუ ნაკლებად, სულერთია, ამ მიზნისთვის ასე თუ ისე, ყოველთვის გამოდგება.

ცნებითი აზროვნების შემდგომი განვითარება ძირითადად მისი შემეცნებითი ღირებულების ცნობიერების ზრდაში მდგომარეობს. ყველაფერი ახალი, რასაც ამ მიმართულებით იძენს ბავშვი - განსაკუთრებით მისი თანდათანობითი განთავისუფლება თვალსაჩინოების ტყვეობიდან - უმთავრესად ცნების შემეცნებითი ღირებულების განვითარებას ეხება, თორემ ძირითადი ოპერაციები სათანადო მასალაზე - შედარება, აბსტრაქცია, ფიქსაცია - მას უკვე წინა ასაკობრივ საფეხურზე აქვს დაპყრობილი. ამათი შემდგომი განვითარება ახალ მასალასთან მჭიდრო კავშირში ხდება.

სანამ მოზარდი დასრულებული ცნებითი აზროვნების დონეს მიაღწევდეს, მან განვითარების რამდენიმე განსხვავებული პერიოდი უნდა განვლოს კიდევ: ერთი - 8-10 წლამდე, მეორე - 11-13 წლამდე და მესამე - 14-17 წლამდე.

4. დაწყებითი სკოლის პერიოდი (8-10 წ.) საგულისხმო ნაბიჯს წარმოადგენს წინ ცნებითი აზროვნების განვითარების გზაზე, ეს ნაბიჯი სასკოლო ასაკის პირველივე წლიდან იჩენს თავს და 10 წლისთვის თავისი განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. იგი ცნების შემეცნებითი ღირებულების ცნობიერების პირველ გაღვიძებაში მდგომარეობს. საქმე ისაა, რომ ამ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვისთვის ყველა მის მიერ გამოყოფილი, თუნდ ზოგადი ნიშნებიც, თანაბარი ღირებულების მოვლენებს აღარ წარმოადგენენ: მათში, მისი აზრით, ზოგი უფრო მნიშვნელოვანია და ზოგი ნაკლებ მნიშვნელოვანი. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მთლიანად თვალსაჩინოების ნიადაგზე განაგრძობს დგომას, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს განყენებითი ნიშნების შემჩნევასა და გამოყოფას, და შეიძლება ამიტომ არსებული ნიშნის ღირებულების ცნობიერება მას ჯერ მხოლოდ განვითარების დასაწყის ფორმებში აქვს. სამაგიეროდ. სრულიად უდაოა, რომ 8-10 წ. ასაკობრივ საფეხურზე სპეციფიკური ნიშნის ხმარების განვითარება იწყება და საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. რ.ნათაძის ცდების მიხედვით, ამ ასაკობრივი საფეხურის ძირითად მონაპოვარს განსა-

კუთრებით ეს გარემოება შეადგენს.

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ პერიოდის ბავშვს თითქოს არსებითი ნიშნის ღირებულების ცნობიერებაც ეღვიძება, მაგრამ სპეციფიკური ნიშნის ცნობიერების წინაშე ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს; და როდესაც საკითხი დგება, თუ რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, თვალსაჩინოსა და სპეციფიკურ ნიშანს თუ არსებითს, მაგრამ ნაკლებ თვალსაჩინოს, ბავშვი, ბოლოსდაბოლოს, მაინც პირველის მხარეზე იხრება.

ამრიგად, განვითარების ამ საფეხურზე ბავშვის ცნება, ჩვეულებრივ, სპეციფიკურს, მაგრამ ჯერ კიდევ კონკრეტულ ნიშნებს შეიცავს. არსებითი ნიშნის ცნობიერების განვითარება შემდგომი საფეხურის ამოცანას წარმოადგენს.

ბავშვის ცნების ასეთი ხასიათი კარგად ეთანხმება იმ მოთხოვნილებებს, რომელიც მისი აზროვნების წინაშე დგას. მას ხომ ჯერხნობით განსაკუთრებით აღწერის ინტერესი აქვს, იგი ხომ ჯერჯერობით ფენომენალური მოცემულობით არის გატაცებული. რაც შეეხება მოვლენათა არსს, ეს ჯერ კიდევ მისი აქტუალური ინტერესების ფარგლებს სცილდება. საგანთა და მოვლენათა ფენომენოლოგიისთვის კი სპეციფიკური ნიშნების ცნობიერებაც საკმარისია. არსებითი ნიშნის ძიება მოზარდს განსაკუთრებით შემდგომ ასაკობრივ საფეხურზე დასჭირდება.

თუ რაოდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საფეხურის ბავშვის აზროვნებისთვის თვალსაჩინოებას, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ შემდეგში იჩენს თავს: როდესაც ბავშვს მხოლოდ სიტყვიერად, ყოველი გათვალსაჩინოების გარეშე აწვდიან სწორედ იმ ცნებებს, რომელსაც იგი კონკრეტული მასალის ნიადაგზე შედარებით ადვილად ეუფლება, იგი ამ ცნებების გაგების ამოცანის წინაშე სრულ უმწეობას იჩენს. მას არ ესმის ეს ცნებები, ამახინჯებს მათ, ვერ სწვდება მათში ნაგულისხმევ სპეციფიკურ ნიშნებს.

წინამდებარე ასაკობრივ საფეხურზე აზროვნების განვითარების აქტივში აღსანიშნავია ის თავისებური წარმატება, რომელსაც ბავშვი ცნებათა განზოგადებისა და განსაკუთრებით ცნებათა

ლოღიკური კავშირის ამოცანებში აღწევს.

როდესაც ბავშვის წინაშე ცნებათა განზოგადების ამოცანა დგას, როდესაც მან მოცემული ცნებების ნიადაგზე ახალი ცნება უნდა შეადგინოს, იგი ამას ამ ცნებების შეჯამების, უბრალო არითმეტიკული შეკრების გზით ახერხებს და არა მათი სინთეზის გზით. გამოდის, რომ მისთვის ადამიანი, მაგალითად, ყველა ქალისა და ვაჟის ერთობლიობას (ჯამს) წარმოადგენს და მეტს არაფერს. რასაკვირველია, ნამდვილი ზოგადი ცნების შინაარსი აქ სრულიად არაა მოცემული. თითქოს ბავშვი ჯერ მხოლოდ ცნების მოცულობას ღებულობს მხედველობაში, ესე იგი, საგანთა ერთობლიობაა, რომელსაც აღნიშნული ცნება ეხება. მაგრამ ზოგადი ცნების არსი მარტო ის კი არაა, რომ მას გარკვეული მოცულობა გააჩნია, არამედ განსაკუთრებით ის, რომ მას სპეციფიკური შინაარსიც აქვს, რომელიც სრულიად გარკვეულ კავშირში იმყოფება ქვემდებარე ცნებებთან, სახელდობრ, მათ სინთეტურ გაერთიანებას წარმოადგენს და ამით ცნების ნამდვილი მოცულობის ფარგლებსაც განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ცნების - თუნდ მარტო მოცულობის თვალსაზრისითაც - განზოგადების წვდომა უდაოდ თვალსაჩინო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ეს რომ მართლა მიღწევაა, ეს იმწამსვე ცხადი ხდება, როგორც კი ბავშვის წინაშე ცნებათა ლოღიკური ურთიერთობის ამოცანას დავაყენებთ. ბავშვი მაშინვე აღნიშნავს, რომ რაოდენობრივის მხრივ ზოგად ცნებასა და ქვეცნებებს შორის დიდი განსხვავებაა, რომ ზოგადი უფრო ფართოა, ვიდრე თითოეული ქვემდებარე ცნება თავისთავად: მაგალითად, ადამიანები უფრო ბევრია, ვიდრე ქალები ან ვაჟები. მაშასადამე, მას მხოლოდ რაოდენობის, მხოლოდ მოცულობის თვალსაზრისი აქვს მხედველობაში. რაც შეეხება შინაარსეულს, ლოგიკურ დამოკიდებულებას, რომელიც ზოგად ცნებასა და ქვეცნებებს შორის არსებობს, ეს 8-10 წლის ბავშვისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი ჩანს. თუ ბავშვისთვის ქალი ან ვაჟი ადამიანად იგულისხმება, ეს იმიტომ როდი ხდება, თითქოს ამის საფუძველს ქვემდებარე და ზემდებარე ცნებათა შინაარსეული ურთიერთმიმართება წარმოადგენდეს, თითქოს ბავშვს ადამიანის ცნებისა და მისი

ქვეცნებების ლოღიკური ურთიერთობა ჰქონდეს გააზრებული, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მოცულობის თვალსაზრისია მისთვის გასაგები, და მან ემპირიულად იცის, რომ ქალსაც და ვაჟსაც ადამიანს უწოდებენ.

4. ცნება საშუალო სკოლის დასაწყის წლებში (11-13 წ.)

რა ცვლილებები ხდება ბავშვის ცნებითს აზროვნებაში საშუალო სკოლის დასაწყის წლებში, არასრული საშუალო სკოლის ასაკში? რ.ნათაძის გამოკვლევის მიხედვით, 11-13 წლების მიმდინარეობაში ბავშვის აზროვნებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები დასტურდება.

პირველ რიგში ცვლილება ნიშნის ცნობიერებას ეხება. თუ წინა საფეხურზე ბავშვისთვის სპეციფიკური ნიშნის მნიშვნელობა შეიქნა ნათელი, ხოლო არსებითი ნიშანი მისთვის ჯერ მხოლოდ მეორე პლანზე იდგა, ეხლა მდგომარეობა იმ მხრივ იცვლება, რომ არსებითი ნიშნის მნიშვნელობა, პრაქტიკულად მაინც, სრულიად უდაო ხდება მოზარდის აზროვნებისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ამოცანა, სადაც იგი არსებითი ნიშნის უპირატესობას არ სცნობდეს. ბავშვს რომ ერთიდაიმავე ცნების ორგვარი განსაზღვრება მისცე - ერთი სპეციფიკური ნიშნებისა და მეორე არსებითი ნიშნების გამოყენებით - იგი არა მარტო უპირატესობას მიანიჭებს მეორეს, არამედ მას ერთადერთ სწორ განსაზღვრებადაც კი აღიარებს: სპეციფიკური ნიშანი, როგორც მხოლოდ სპეციფიკური, მას აღარ აკმაყოფილებს. მას ისეთი ცნება აინტერესებს, რომ სინამდვილის ზედაპირს კი არა, მისს არსებითს მხარეებს ასახავდეს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ 11-13 წლის ბავშვი საბოლოოდ და სისრულით დაეუფლა არსებითი ნიშნის ცნობიერებას. საქმე ისაა, რომ წინამდებარე ასაკობრივ საფეხურზე მოზარდი არსებითად მხოლოდ პრაქტიკულადაა არსებითის მნიშვნელობას დაუფლებული.

მართალია, როდესაც მას თავისი ოპერაციების სისწორის დასაბუთება უხდება, იგი ამას არსებითი ნიშნების მითითებით

ახერხებს. მაგრამ სიმპტომატურია, რომ მოზარდი ამ შემთხვევაში არსებითი ნიშნის მხოლოდ მითითებით, მხოლოდ დასახელებით კმაყოფილდება და, ჩვეულებრივ, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ვერ ახერხებს აღნიშნოს, რომ საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს ნიშანი არსებითია: ბავშვს არსებითი ნიშნის შემეცნებითი ღირებულების ცნობიერება ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისად განვითარებული. იგი მხოლოდ პრაქტიკულად უწევს ამ ნიშანს ანგარიშს.

მაგრამ არსებითი ნიშნის ცნობიერების ეს დონეც საყოველთაოდ მხოლოდ კონკრეტული ნიშნების ფარგლებში აქვს ამ პერიოდის ბავშვს მიღწეული. როდესაც მას საქმე უფრო განყენებულ მასალასთან აქვს, როდესაც მას სააზროვნო ოპერაციების წარმოება განყენებული მიმართებითი ნიშნების ნიადაგზე უხდება, მაშინ იგი, ჩვეულებრივ, არა თუ არსებითის, არამედ ხშირად სპეციფიკური ნიშნის ცნობიერების დონესაც ვერ ინარჩუნებს და კვლავ განვითარების განვლილ საფეხურებს უბრუნდება.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის ბავშვის მიღწევა მაინც ღრმა მნიშვნელობისაა. შეიძლება ითქვას, რომ თვალსაჩინო, კონკრეტული მასალის ფარგლებში ბავშვის ცნება ეხლა უკვე თითქმის ნამდვილი ცნების - არა მარტო ეკვივალენტის - როლს ასრულებს, ისეთი ეკვივალენტისას, რომელსაც თავისი შინაარსით ბევრი არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ცნებასთან: ბავშვის ცნება პრაქტიკულად ეხლა უკვე არსებითი ნიშნების გაერთიანებას წარმოადგენს.

ერთადერთი, რაც ხელს გვიშლის, იგი ნამდვილ ცნებად ჩავთვალოთ, ეს ისაა, რომ ეს გაერთიანება ჯერ კიდევ არ არის ისეთი, როგორიც ნამდვილ ცნებაში იგულისხმება: სათანადო ცდები ამტკიცებენ, რომ ნიშნების ნამდვილი სინთეტური გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ უცხოა ამ საფეხურის ბავშვისთვის.

ეს იქედან ჩანს, რომ ყოველი ზოგადი ცნება - თუნდ კონკრეტულიც - მას ქვეცნებების უბრალო შეჯამებად მიაჩნია და არა მათი არსებითი ნიშნების სინთეტურ გაერთიანებად და, მაშასადამე, ახალ ცნებად. მაგალითად, მან იცის, რომ ადამიანის ძა-

ლით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებაც არსებობს და ცხოველის ძალითაც. რომ მისცეთ ეხლა მას, ვთქვათ, ამ ცნებების უფრო მაღალ ცნებაში გაერთიანების ამოცანა, იგი მათ სინთეზს კი არ მოახდენს - ცოცხალი ძალით მოძრავი საშუალებაო როდი იტყვის - არამედ უბრალოდ მათ შეჯამებას მოგვცემს: ადამიანისა და ცხოველის ძალით მოძრავი საშუალებაო, გვეტყვის.

აქედან ცხადია, ამ ასაკის ბავშვის აზროვნებაში ცნება ჯერ კიდევ ნიშანთა ნამდვილ სინთეზს არ წარმოადგენს. მაგრამ საკმარისია, ერთგვარი სტიმული მისცეთ მას ამ მიმართულებით, ერთგვარი დახმარება გაუწიოთ სათანადოდ შერჩეული შეკითხვების საშუალებით, ან ცნების განსაზღვრა მისცეთ, რომ ბავშვი შედარებით ადვილად მისვდეს, რომ საქმე აქ სინთეზშია და არა შეჯამებაში.

მაშასადამე, მართალია 11-13 წლის მოზარდს დამოუკიდებლად, სპონტანურად, არსებითი ნიშნების სინთეტური გზით ერთ ცნებაში გაერთიანება არ შეუძლია; მაგრამ სინთეზი სულ მიუწვდომელი მაინც არ არის მისთვის, და ეს უკანასკნელი გარემოება ამ ასაკობრივი საფეხურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მიღწევაც მხოლოდ კონკრეტულის, მხოლოდ თვალსაჩინოს ფარგლებით შემოიზღუდება: განყენებული მიმართებითი ნიშნების სინთეზს ამ პერიოდის ბავშვი დახმარების შემთხვევაშიც ვერ ახერხებს.

ცნებითი აზროვნების განვითარების მეორე საყურადღებო მიღწევად ამ პერიოდში შემდეგი უნდა ჩაითვალოს: წინა საფეხურების ბავშვის აზროვნების უმწეობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვერბალური მასალის ნიადაგზე ჩანს: ის, რაც მისთვის შედარებით ადვილია კონკრეტულ, თვალსაჩინო მასალაზე, სრულიად მიუწვდომელი ხდება, რაწამს საქმე ვერბალურ მასალას ეხება. სამაგიეროდ, 11-13 წლის მოზარდი უაღრესად მნიშვნელოვან ნახტომს აკეთებს ამ მიმართულებით: იგი იმდენად სწრაფად და იოლად ეუფლება ვერბალურ მასალას, რომ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მისთვის, ვერბალურ მასალაზე უხდება მას თავისი ინტელექტუალური

ოპერაციების წარმოება და ცნების შედგენა თუ თვალსაჩინოზე. ყოველ შემთხვევაში, ამის თქმა ამ პერიოდის მოზარდთა უმრავლესობის შესახებ შეიძლება.

ამრიგად, ამ ასაკობრივი საფეხურის ერთ-ერთს უდიდეს მიღწევას ვერბალური აზროვნების დაუფლების დაწყება შეადგენს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამას განსაკუთრებით პედაგოგიური პრაქტიკისთვის. საშუალო სკოლაში თვალსაჩინოების მეთოდს ისეთი განუსაზღვრელი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც დაწყებითი სკოლის საფეხურზე.

თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების უნარიც სწორედ ამ ასაკში იჩენს თავს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდია ცნებითი აზროვნების ონტოგენეტური განვითარების ისტორიაში ამ ასაკობრივი საფეხურის მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ წინა ასაკობრივ საფეხურებზე ბავშვის ცნებითი აზროვნება მჭიდროდ იყო ცნებების შინაარსთან დაკავშირებული: იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ცნებათა შორის არსებობს, იგი მხოლოდ იმის მიხედვით მსჯელობდა, თუ რა იცოდა ემპირიულად ამ ცნებათა, შინაარსის მიხედვით, ურთიერთობის შესახებ. თუ ამ მხრივ მან არაფერი იცოდა, იგი თითქმის აბსოლუტურად უმწეო იყო მათი ურთიერთობის შესახებ რაიმე საგულისხმო ეთქვა: ფორმალური, ალგებრული აზროვნება მისთვის სრულიად მიუწვდომელი იყო.

ეხლა კი, 11-13 წლის ასაკში, ესეც იცვლება. მოზარდმა შეიძლება სრულიად არ იცოდეს მიღებული ცნების შინაარსი, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს ამ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თავისი აზრი გამოთქვას: იგი ამ შემთხვევაში არა ემპირიული, არამედ მხოლოდ ლოღიკური, ფორმალური ურთიერთობით ხელმძღვანელობს. მაგალითად, ამ ასაკობრივ საფეხურზე რომ ბავშვს ასეთი ამოცანა მისცე: თუ x = a + b, a = c, მაშინ x უფრო დიდი რიცხვი იქნება თუ c, იგი ამას ადვილად გადაჭრის, მიუხედავად იმისა, რომ არც x-ის შინაარსი იცის და არც c-სი: თუ x a-საც შეიცავს და b-საც, ხოლო c a-ზე მეტი არ არის, მაშინ იგი x-ზე ნაკლები ყოფილაო, იტყვის ბავშვი. წინა ასაკობრივ საფეხურზე კი ასეთი ფორმალური, ალგებრული აზროვნების

შემთხვევებს მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ შეხვდებით.

ამრიგად, ცნებების ლოღიკურ ურთიერთობას პირველად 11-13 წლის პერიოდში ეუფლება მოზარდი.

5. ბოლო საფეხური სასკოლო ასაკში (14-17 წ.)

ის, რაც დამთავრებული ცნების შემუშავებას წინა ასაკობრივ პერიოდში აკლდა, აქ, განვითარების ამ საფეხურზე, სრულდება, და მოზარდი ცნებითი აზროვნების იმ უმაღლეს საფეხურს აღწევს, რომელიც საზოგადოდაა სასკოლო ასაკში მისაწვდომი.

პირველ რიგში განვითარება არსებითი ნიშნის ცნობიერებას ეხება: 14-17 წლის მოზარდისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იგი თავისი ინტელექტუალური ოპერაციების დასაბუთების საჭიროებას თვითონვე გრძნობს და აქ - ამ დასაბუთებაში - ჩვეულებრივ, არსებითი ნიშნის მაღალ შემეცნებითს ღირებულებას აღნიშნავს. ის, რაც წინა პერიოდში მოზარდთა მხოლოდ ნაწილს შეეძლო, აქ თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს წარმატება ეხლა მარტო კონკრეტული ნიშნებით როდი განისაზღვრება: მოზარდისთვის ამიერიდან განყენებული მიმართებითი ნიშანიც დაძლეულ სფეროს წარმოადგენს. მიმართების ცნობიერება მაღალ დონეზე დგება, და ეს გარემოება ცნებითი აზროვნების მთელ ხაზზე ახდენს თვალსაჩინო გავლენას.

პირველ რიგში ეს ვერბალური აზროვნების კიდევ უფრო მძლავრ განვითარებაში იჩენს თავს: 14-17 წლის მოზარდისთვის, საზოგადოდ, აღარ აქვს მნიშვნელობა ვერბალურ მასალასთან აქვს მას საქმე თუ თვალსაჩინოსთან; 14-17 წლების მიმდინარეობაში ეს მიღწევა საყოველთაო კუთვნილებად იქცევა. თუ წინა ასაკობრივ საფეხურს ცნებაში ნაგულისხმევ ნიშანთა ნამდვილი სინთეზის სპონტანური ცნობიერება აკლდა, აქ, ამ ასაკობრივ პერიოდში, სულ სხვა მდგომარეობა იჩენს თავს: მოზრდილთა უმრავლესობას სრულიად აღარ ესაჭიროება გარედან მომდინარე სტიმულები, როცა მას ამოცანა აქვს, მიწოდებულ კონკრეტულ ცნებათა სინთეტური გაერთიანება მოახდინოს და, ამრიგად,

სრულიად ახალი ცნება მოგვცეს: იგი ამას სპონტანურად, თავისით აკეთებს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სინთეზის სიძნელე საბოლოოდაა დაძლეული. საქმე ისაა, რომ განყენებულ ცნებათა უფრო მაღალ ცნებაში გაერთიანება და ამ გზით ახალის, კიდევ უფრო ზოგადი ცნების შექმნა, როგორც წესი, არც ამ ასაკის მოზარდს შეუძლია.

ადვილი გასაგებია, რომ ცნებათა ლოღიკური კავშირების წვდომა და ფორმალური, ალგებრული აზროვნების განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ: ამ ასაკობრივ საფეხურზე ყველაფერი ეს უკვე საყოველთაო კუთვნილებად იქცევა: 14-17 წლის ჩვეულებრივი, ნორმალურად განვითარებული მოზარდი ლოღიკურ დამოკიდებულებათა ნაცვლად არასდროს მხოლოდ რაოდენობრივს ან მხოლოდ ემპირიულ დამოკიდებულებას არ გულისხმობს.

ასეთია ცნების განვითარების პროცესი ონტოგენეზში. ხოლო აზროვნების სხვა ფორმების განვითარება უმთავრესად ამზეა დამოკიდებული, და მათ განხილვაზე აქ არ შევჩერდებით.

სარჩევი

აზროვნება.....3
1. აღქმა და აზროვნება.....3
2. აღქმისა და აზროვნების განსხვავება.....6
3. გაკვირვება როგორც აზროვნების აქტუალიზაციის პირობა...11
4. დეტერმინაციის ფაქტორი.....15
5. აქტიურობა.....16
6. ტრანსპოზიცია.....17
პრაქტიკული აზროვნება.....18
1. კელერის ცდები.....19
2. „ცდისა და შეცდომის თეორია“.....22
3. „გადასვლის განცდის“ თეორია.....24
4. ანთროპოიდის აზროვნების საკითხი.....26
5. პრაქტიკული აზროვნება.....30
6. მომსახურება და პრაქტიკული აზროვნება.....37
ხატოვანი აზროვნება
1. ხატოვანი აზროვნება.....40
2. მეტყველება და ხატოვანი აზროვნება.....41
3. საგნის აზროვნება.....42
4. ხატოვანი აზროვნება და მიმართებათა ასახვა.....49
ცნებითი აზროვნება
1. ასოციაციონიზმი პიროვნების ფსიქოლოგიაში.....55
2. აზრი როგორც არათვალსაჩინო განცდა.....56
3. ცნებითი აზროვნება და თვალსაჩინო შინაარსი.....58
ა. ცნება
1. აზრი და თვალსაჩინოება.....65
2. ცნება და ზოგადი წარმოდგენა.....66
3. ცნების გაგება.....71
მსჯელობა
1. მსჯელობის რაობა.....74
2. მიმართების აღქმა და მსჯელობა.....74
3. დარწმუნებულობის პრობლემა.....76

გ. დასკვნა

1. დასკვნა.....83
2. დასკვნის პროცესი.....84

აზროვნების განვითარება ონტოგენეზში

1. აზროვნების განვითარების პირობები ფილოგენეზსა და ონ-ტოგენეზში.....87
2. ინტელექტუალური ინტერესის განვითარების ძირითადი პერიოდები..... 88
3. ცნებითი აზროვნების განვითარება.....90
4. ცნება საშუალო სკოლის დასაწყის წლებში (11-13წ.).....99
5. ბოლო საფეხური სასკოლო ასაკში (14 -17წ.).....103

დიმიტრი უზნაძე

აზროვნების ფსიქოლოგია

რედაქტორი: თამაზ თურმანიძე
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი მანდენაშვილი
გამოცემის რედაქტორი: მარინე მარკოზაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ალექსანდრე კუზანაშვილი
გამომცემლობა „გეო“